

თომას მანი

ტონიო კრიოგერი

გერმანულიდან თარგმნეს როზეტა დანელიამ

1.

ზამთრის მზე უნიათოდ ანათებდა, ფენა-ფენა ღრუბლებს მიღმა რძისფერ, მკრთალ ნათელს გამოსცემდა ვიწროქუჩებიანი ქალაქის თავზე. სველ, ფრონტონებიან შენობებს შუა გამავალ შუკებში ქარი დაძრწოდა, დროგამოშვებით კი რაღაც სეტყვისმაგვარი თუ წამოვიდოდა – არც ყინული იყო, არც თოვლი.

გაკვეთილები დამთავრდა. მოკირწყლულ ეზოში მოსწავლეთა მთელი გროვა ჟრიაშილით მოაწყდა გისოსებიან ალაცაფის კარს და სხვადასხვა მხარეს გაიფანტა, თითქოს ეს-ეს არის ტყვეობიდან გათავისუფლდნენო. უფროსკლასელები შედარებით დადინჯებული მანერით იმაგრებდნენ ცალი ხელით ზურგზე მოკიდებულ ჩანთას, მეორეს კი ნიჩაბივით იქნევდნენ ქარის გასარღვევად, სადილზე მიეჩქარებოდათ. უმცროსკლასელები კი მხიარულად, ტყაპატყუპით მოხტოდნენ თოვლ-ჭყაპში, შხეფებს აქეთ-იქით ისროდნენ და სასკოლო ავლადიდებით დატენილ სელაპის ტყავის ზურგჩანთებს მოაბრაგუნებდნენ. თუმცა კი ყველა მოკრძალებით იხდიდა ქუდს დინჯად მომავალი იუპიტერისწვერა[1] უფროსი მასწავლებლის წინაშე, ვოტანისეული[2] ქუდი რომ ეხურა...

– ხომ მოდიხარ, ჰანს? – გასძახა ტონიო კრიოგერმა მეგობარს, რომელსაც კარგა ხანია ქუჩაში ელოდებოდა.

ამხანაგებთან ლაპარაკში გართული ჰანსი ის-ის იყო, ჭიშკრიდან გამოდიოდა და უკვე აპირებდა კიდევ მათ გაჰყოლოდა. ტონიოს ხმაზე მისკენ ღიმილით გამოემართა...

– რაო, მელოდები? – იკითხა და ტონიოს გახედა, – ჰო, მართლა,

გამახსენდა! მოდი, ცოტა გავიაროთ.

ტონიომ წუთით ხმა ვერ ამოიღო, თვალებში ნალველი მოერია. ნუთუ ჰანსს მხოლოდ ახლა გაახსენდა, რომ დღეს, შუადღისას, მცირე ხნით ერთად აპირებდნენ გასეირნებას? არადა, როგორ უნაროდა, როცა ამაზე შეთანხმდნენ!

– აბა, კარგად! – გასძახა ჰანს ჰანსენმა ამხანაგებს, – წავედი. მე და კრიოგერი ერთად გავისეირნებთ ცოტას.

ორივემ მარცხნივ გაუხვია, დანარჩენებმა კი მარჯვნივ აიღეს გეზი.

ჰანსსა და ტონიოს გაკვეთილების შემდეგ მცირეოდენი დრო რჩებოდათ სასეირნოდ, რადგან ორივე ისეთ ოჯახებს განეკუთვნებოდნენ, სადაც მხოლოდ დადგენილ დროს – ოთხ საათზე სადილობდნენ. მათი მამები ცნობილი კომერსანტები იყვნენ, მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი თანამდებობები ეჭირათ და ქალაქში უაღრესად დიდი გავლენითაც სარგებლობდნენ. ჰანსენებს ლამის ადამის მოდგმიდან ეკუთვნოდათ ვეებერთელა ხეტყის საწყობები მდინარის პირას, სადაც მძლავრი სახერხი დანადგარები გაბმული ხრიალ-ღრჭიალით ხერხავდნენ მორებს და სასურველ ზომაზე ჭრიდნენ. ტონიო კი კონსულ კრიოგერის ვაჟი იყო. კრიოგერების დიდ, შავდამღიან მარცვლეულის ტომრებს ყოველდღე დაატარებდნენ ქუჩებში ფირმის ეტლით. ტონიოს წინაპრების დიდი, ძველი სახლი კი ერთ-ერთი ყველაზე მდიდრული და გამორჩეული იყო მთელ ქალაქში.

სასეირნოდ მიმავალ მეგობრებს, იმის გამო, რომ ქალაქში მათ ყველა იცნობდა, გამუდმებით უხდებოდათ ქუდის მოხდა, ხოლო იმდენად პატივდებული ოჯახების შვილები იყვნენ, რომ ზოგიერთი, ასაკით უფროსი, შეხვედრისას მისალმებასაც კი ასწრებდა თოთხმეტი წლის ბიჭებს...

ორივეს სკოლის ჩანთა მხარზე გადაეკიდა. გემოვნებით შერჩეული თბილი სამოსი ეცვათ: ჰანსს მოკლე მეზღვაურის ქურთუკი, მეზღვაურისვე კოსტიუმის განიერი, ლურჯი საყელოთი, მხრებსა და ზურგს რომ უფარავდა, ტონიოს კი ნაცრისფერი, ქამრიანი პალტო. ჰანსს მოკლებათიანი მეზღვაურის ქუდი ეხურა, საიდანაც ქერა კულულები მოუჩანდა. ის არაჩვეულებრივად ლამაზი და ტანადი იყო, ვიწრო თეძოებით, განიერი მხრებით, ლურჯი, მკვირცხლი

თვალეებით და ფოლადივით მოელვარე მახვილი მზერით. ტონიოს შავგვრემანი და ზედმიწევნით სამხრეთული იერის სახე ჰქონდა, მრგვალი ბეწვის ქუდქვეშ მეოცნებე, მუქი და ხშირი წარბებით დაჩრდილული თვალები ოდნავ მორიდებით იმზირებოდნენ, პირი და ნიკაპი ნატიფად გამონაკვთოდა. იგი არეული ნაბიჯით, მოშვებული დადიოდა, მაშინ, როცა ჰანსი შავწინდებიანი გრძელი ფეხებით ასე მოქნილად და რიტმულად დააბიჯებდა...

ტონიო ხმას არ იღებდა. გულდაწყვეტილი იყო. ამ დროს იგი დაშვებულ წარბებს კიდევ უფრო ჭმუხნიდა, ტუჩებს თითქოს სასტვენად ამობურცავდა და თავგადახრილი შორს, სივრცეს მიაპყრობდა მზერას. თავის ამგვარად დაჭერა და სახის ასეთი გამომეტყველება ხშირად სჩვეოდა.

უცებ ჰანსმა ტონიოს ხელი გაუყარა და გვერდულად ამოხედა, რადგან მშვენივრად ხვდებოდა მეგობრის დაღონების მიზეზს. ტონიოსაც ერთბაშად მოეშვა გულზე, თუმცა გზას მაინც დუმილით განაგრძობდა.

– ისე, რომ იცოდე, მე არ დამვიწყებია, ტონიო, – უთხრა ჰანსმა და ტროტუარს დააჩერდა, – უბრალოდ, გავიფიქრე, დღეს გაგვიჭირდებოდა გასეირნება, რადგან ასეთი თოვლ-ჰყაპი და ქარია. მაგრამ, არა უშავს, გამიხარდა, რომ მაინც მელოდებოდი. არადა, მეგონა, უკვე შინ წახვედი და ცოტათი კიდევაც ვბრაზობდი...

ამ სიტყვებმა ტონიოს ერთბაშად ყველა წყენა დაავიწყა, მთელ სხეულში სიხარულის ჟრუანტელმა დაუარა.

– ჰოდა, მოდი, ნანგრევებზე წავიდეთ! – წამოიძახა მკვირცხლად, – მიუღენჯალისა და ჰოლსტენვალის გავლით სახლამდე მიგაცილებ, ჰანს... რა უშავს, მერე მარტო თუ გავუყვები შინისკენ გზას! ოღონდ დაიმანსოვრე, სხვა დროს შენ გამაცილებ, კარგი?

კაცმა რომ თქვას, ბოლომდე მაინც არ სჯეროდა მეგობრის სიტყვების და მშვენივრადაც გრძნობდა, რომ ჰანსისთვის ბევრად ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ერთად გასეირნებას, ვიდრე მისთვის. მაგრამ, იმასაც ამჩნევდა, ჰანსი რომ ნანობდა თავის გულმავიწყობას და ეს ცუდ განწყობასაც უქარწყლებდა. თანაც თვითონ სულაც არ სურდა შერიგებისთვის თავი აერიდებინა...

საქმე ის იყო, რომ ტონიოს ჰანს ჰანსენი ძალიან უყვარდა და უკვე ბევრი რამაც გადაეტანა მის გამო. ეს ხომ ასეა – ვისაც მეტად უყვარს, ის დამთმობიც უნდა იყოს, მორჩილად აიტანოს ყველაფერი. ეს უბრალო და მკაცრი გაკვეთილი თოთხმეტი წლის ყმაწვილის სულს უკვე მიეღო ცხოვრებისგან. ტონიოც ისეთი ბუნებისა იყო, რომ ცხოვრებისეულ გამოცდილებას ყურადღებით მოინიშნავდა და მაშინვე გულში ჩაიბეჭდავდა. გარკვეულწილად ყოველივე თავისებურად ახარებდა კიდეც, მაგრამ არასოდეს უხელმძღვანელია ამ გამოცდილებით და არც პრაქტიკული დასკვნები გამოუტანია. საერთოდ, ისე იყო მოწყობილი, რომ ამგვარად მიღებულ ცოდნას უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებდა. ეს ცოდნა ბევრად უფრო საყურადღებო და საინტერესო იყო მისთვის, ვიდრე იმის დასწავლა, რასაც სკოლაში, გოტიკური[3] სტილის თაღებიან საკლასო ოთახებში აძალებდნენ გაკვეთილებზე. უფრო იმაში იყო გამეცადინებული, ასეთი შეხედულებები ძირფესვიანად აღექვა და ღრმად გაეაზრებინა. ყოველივე ეს ისეთივე კმაყოფილებას სძენდა, როგორსაც ვიოლინოთი (რადგან იგი ვიოლინოზე უკრავდა) თავის ოთახში წინ და უკან სიარულში ჰანგების ისე მსუბუქად და ნაზად აკვნესება, რამდენადაც მას შეეძლო გადმოეცა და აემეტყველებინა ეს ჰანგები შადრევნის მოელვარე შხეფებში, რომლებიც ქვემოთ, ბაღში, ძველი კაკლის ხის ტოტებქვეშ ცეკვით ამოჩქეფდა...

შადრევანი, ძველი კაკლის ხე, ვიოლინო და უზარმაზარ სივრცეზე გადაშლილი ბალტიის ზღვა, ადგილები, სადაც არდადეგების დროს ზაფხულისეულ ზმანებებს ეძლეოდა, სწორედ ის გარემო იყო, ასე ძლიერ რომ უყვარდა, რომელშიც მუდამ უნდოდა ყოფნა და რომელშიც ყალიბდებოდა მისი სულიერი ცხოვრება. ეს ყოველივე ამავდროულად სწორედ ის ცნებებია, რომლებიც ლექსისთვისაა ზედგამოჭრილი და, ხშირადაც განმეორებულია იმ ლექსებში, რომელთაც ტონიო კრიოგერი დროდადრო თხზავდა.

ის, რომ საკუთარი ლექსების რვეული ჰქონდა, მისივე დაუდევრობით გახდა ცნობილი და ამით ძალიან ბევრიც დაუშავდა როგორც თანაკლასელების, ასევე მასწავლებელთა თვალში. კონსულ კრიოგერის ვაჟს, ერთი მხრივ, ბრიყვობად, არაკეთილშობილებად მიაჩნდა ამისთვის ვინმეს გაკიცხვა და ამიტომაც სძულდა თანაკლასელებიც და მასწავლებლებიც, რომელთა ცუდი მანერები ისედაც აშორებდა მათგან. მათ

ადამიანურ სისუსტეებს ტონიო გასაოცარი გამჭრიახობით ჭვრეტდა. მეორე მხრივ კი, მელექსეობას თვითონაც ისე აღიქვამდა, როგორც არსებითად შეუფერებელს და უადგილოს, და გარკვეულწილად ამართლებდა კიდეც ყველას, ვინც ამის გამო კიცხავდა. მაგრამ ეს სულაც არ უშლიდა ხელს, ლექსების წერა კვლავ გაეგრძელებინა...

რადგანაც ასე უქმად ფლანგავდა დროს შინ, გაკვეთილზეც გონებით სხვაგან იყო, ამიტომაც მასწავლებლებს მაინცდამაინც თვალში არ მოსდიოდათ და ტონიოსაც გამუდმებით ცუდი ნიშნები მიჰქონდა შინ, რაზედაც მამამისი – მაღალი, საგულდაგულოდ გამოწყობილი, ჭკვიანი ცისფერი თვალებით, საღილეში მუდმივად მინდვრის ყვავილმიბნეული მამაკაცი – ძალზე ბრაზობდა და ჯავრობდა კიდეც. იმავდროულად ვაჟიშვილის სასკოლო შეფასებას არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა ტონიოს ლამაზი, შავგვრემანი დედისთვის, კონსულო რომ ერქვა და რომელიც ქალაქის სხვა მანდილოსნებისგან ფრიად გამოირჩეოდა, რადგან მამამ იგი ოდესღაც შორეული, რუკაზე სულ სულ ქვემოთ, სამხრეთით მდებარე ქვეყნიდან ჩამოიყვანა...

ტონიოს უყვარდა თავისი შავგვრემანი, მგზნებარე დედა, რომელიც ასე საუცხოოდ უკრავდა როიალსა და მანდოლინაზე და უხაროდა, რომ მას ოდნავადაც არ ადარდებდა საზოგადოებაში თავისი ვაჟიშვილის საჭოჭმანო მდგომარეობა, თუმცა ბიჭი გრძნობდა, რომ მამის გაბრაზება ბევრად უფრო სამართლიანი და ღირებული იყო, ვიდრე დედის ამგვარი დამოკიდებულება. ამიტომაც, მიუხედავად იმისა, რომ მამა ხშირად ტუქსავდა, ტონიო გულის სიღრმეში მის მხარეზე იყო და ყოველთვის ეთანხმებოდა, მაშინ, როდესაც დედის მხიარულ გულგრილობას დაუდევრობას მიაწერდა. ზოგჯერ ტონიო ასეც ფიქრობდა: „კარგიცაა, მე რომ ის ვარ, რაც ვარ. არც ვაპირებ, შევიცვალო, და რომ შემძლია უთავბოლოდ და ჯიუტად ისეთ რამეებზე ვიფიქრო, რაზედაც არავინ ფიქრობს. ალბათ, ისიც სწორია, რომ სერიოზულად მეჩხუბებიან და მსჯიან ამისთვის, არც ხვევნა-კოცნით მაჯილდოებენ და არც მარტოოდენ ჩემი როიალზე დაკვრა აკმაყოფილებთ. სხვაგვარად ვერც იქნებოდა. ჩვენ ხომ მაწანწალა ბოშები არა ვართ, არამედ წესიერი ხალხი ვართ, კრიოგერები, კონსულ კრიოგერის ოჯახი“. მაგრამ ხშირად ასეც უფიქრია: „რატომ ვარ ყველასგან განსხვავებული, ყველასთან დაპირისპირებული,

რატომ ვერ ვურიგდები მასწავლებლებს და რატომ ვიქეცი უცხოდ ამხანაგებისთვის? ნახეთ, კარგ მოსწავლეებს და ისეთებს, ზომიერად საშუალოები რომ არიან, მასწავლებლები სასაცილოდ არ ეჩვენებათ. ისინი არც ლექსებს თხზავენ და მხოლოდ ისეთ რამეებზე ფიქრობენ, რაზედაც ყველა ფიქრობს და, რისი გამოთქმაც ხმამაღლა შეუძლიათ. როგორ მოწესრიგებულად და შეხმატკბილებულად გრძნობენ ისინი თავს ყველასა და ყველაფერთან! რა კარგია... აბა, მე რაღა მჭირს?! და საინტერესოა, როგორ და როდემდე გაგრძელდება ეს ყველაფერი?“

საკუთარ თავში ჩაღრმავების ჩვევამ, ცხოვრებისადმი პირადმა დამოკიდებულებამ ტონიოს სიყვარულზე ჰანს ჰანსენისადმი მნიშვნელოვნად იმოქმედა. ჯერ ერთი, პირველ ყოვლისა, იმიტომ შეუყვარდა, რომ ჰანსი ლამაზი იყო; მეორეც, მისგან სავსებით განსხვავდებოდა. მისგან სრულიად საწინააღმდეგო, საპირისპირო მხარეს აღმოჩნდა. ჰანს ჰანსენი წარჩინებული მოსწავლე იყო და, გარდა ამისა, საუკეთესო სპორტსმენი, კარგი მოჯირითეც, ტანვარჯიშსა და ცურვაში ბადალი არ ჰყავდა და საყოველთაო მოწონებას იმსახურებდა. მასწავლებლები ლამის სულში იძვრენდნენ, სახელით მიმართავდნენ და ყველაფერში ეხმარებოდნენ. ამხანაგები კი მისი გულის მოგებას ცდილობდნენ, ხოლო ბატონები და ქალბატონები ქუჩაში აჩერებდნენ, ერთი სული ჰქონდათ, მისი დანიური მეზღვაურის ქუდიდან გამოცვნილ ოქროსფერ კულულებზე ხელი შეეველოთ და ეთქვათ: – გამარჯობა, ჰანს ჰანსენ, ხუჭუჭთმიანო ბიჭო! ისევ პირველი ხარ ხომ, კლასში? მომიკითხე მამა და დედა, ჩემო სანაქებო, კარგო ბიჭო...

ასეთი იყო ჰანს ჰანსენი. ამიტომაც იყო, ტონიო კრიოგერი გაცნობიდანვე რომ მიელტვოდა მას. როგორც კი დაინახავდა, მოშურნეობის განცდა იპყრობდა, რომელიც გულში ჩაბუდებოდა, ღვიოდა და გამუდმებით თან სდევდა. „აბა, სხვას ვის აქვს ასეთი ლურჯი თვალები, – ფიქრობდა იგი, – ასე ჰარმონიულად და შეხმატკბილებულად სხვა ვინ ცხოვრობს მთელ ქვეყნიერებასთან, თუ არა შენ! შენ ხომ მუდამ სანიმუშო ხარ, საყოველთაოდ აღიარებული, საქებარი საქმეებით დაკავებული. როცა კი სკოლის დავალებებს მორჩები, საჯირითოდ გარბინარ ცხენოსნობის გაკვეთილებზე ან სულაც სახერხში მუშაობ. არდადეგების დროსაც ზღვაზე ნიჩბოსნობით, იახტით, ან კიდევ ცურვით ხარ გატაცებული. მე

ამ დროს, უსაქმური და დაბნეული, ქვიშაზე ვწევარ და ზღვის ტალღებზე მოსრიალე უცხო ფერების ციალს გავცქერი. ალბათ, ამიტომაცაა შენი თვალები ასეთი სუფთა და ნათელი. ნეტავი მეც შენნაირი ვიყო“...

ტონიოს არასოდეს უცდია, ისეთივე გამხდარიყო, როგორც ჰანს ჰანსენია, და ალბათ, გულში სერიოზულად არც არასოდეს გასჩენია ამგვარი სურვილი. თუმცა კი მთელი არსებით სწყუროდა, ჰანსს ისეთი შეჰყვარებოდა, როგორც იყო, და თავისებურად იბრძოდა კიდევაც მისი სიყვარულის მოსაპოვებლად. დაახლოებით ასე – თანდათანობით, მთელი არსებით, თავდავიწყებით, სევდითა და მოლოდინით – ჩუმი ტანჯვით, რომელიც გაცილებით მწვავედ გთუთქავს და გწვავს, ვიდრე აღტყინებული ვნება, რომელიც მისი უცხო, სამხრეთული იერის მიხედვით თუ ვიმსჯელებდით, მასში უთუოდ თვლემდა.

და ამოდ როდი ირჯებოდა, რადგანაც ჰანსი ამჩნევდა, რომ ტონიოს ერთგვარი უპირატესობაც კი ჰქონდა: ენაკვიმატობა, საზრიანობა, ემარჯვებოდა ურთულეს საგნებზე აზრის გამოთქმა, მსჯელობა და თანაც ჰანსი ძალიან კარგად ხვდებოდა, რომ მისგან მოდიოდა არაჩვეულებრივად ძლიერი და სათუთი გრძნობა. ამისთვის მაღლიერი იყო და თავის მხრივ მეგობარს გულს უხარებდა თბილი დამოკიდებულებით. ამ დამოკიდებულებას ამავე დროს ტონიოსთვის თან ახლდა ეჭვიანობის განცდა, იმედგაცრუება და ამო ზრუნვა საიმისოდ, რათა მათი სულიერი კავშირი, მეგობრობა შემდგარიყო. რადგანაც შესამჩნევი იყო, რომ ტონიო, რომელსაც ჰანს ჰანსენის ცხოვრების წესის ასე ძალიან შურდა, გამუდმებით ცდილობდა მის გადმობირებას, რასაც დიდი დიდი წუთიერად თუ აღწევდა და ეს წუთიერი გადმობირებაც, შეიძლება ითქვას, უფრო მოჩვენებითი იყო, ვიდრე რეალური.

– იცი, ახლახან გასაოცარი რამ წავიკითხე, მართლაც არაჩვეულებრივია... – დაიწყო ტონიომ.

ბიჭები მიდიოდნენ, თან ქალაქის პარკიდან ხილის კანფეტს იღებდნენ და შეექცეოდნენ. ეს კანფეტი მათ მიუღწევად იტრასეზე, ტკბილეულით მოვაჭრე ივერსენ კრემერთან შეიძინეს ათ პფენიგად[4].

– ეს უნდა წაიკითხო, ჰანს! ეს არის შილერის[5] „დონ

კარლოსი“... გათხოვებ, თუ გინდა! – აღტაცებას ვერ ფარავდა ტონიო.

– ოჰ, არა, არ მინდა! – წამოიძახა ჰანს ჰანსენმა, – კარგი რა, ტონიო, ეს ხომ საჩემო არ არის! იცი, მე ცხენებზე დაწერილ ჩემს წიგნებთან დავრჩები. მინდა გითხრა, გასაოცარი ილუსტრაციებია შიგ. თუ ერთხელ ჩემთან გამოივლი, გიჩვენებ. ეს არის მომენტური, მყისიერი ფოტოები. ვთქვათ, როგორ დგას ცხენი ყალყზე, როგორია ჩორთითა და ნავარდით სვლისას ან თუნდაც, როგორ გამოიყურება ნახტომისას... ერთი სიტყვით, ყველა პოზიციაში, რის ნახვასაც სრულყოფილად ვერც კი მოასწრებ, რადგან ეს ყველაფერი ისე ძალიან სწრაფად ხდება...

– მართლა ყველა პოზიციაში? – იკითხა ტონიომ თავაზიანად, – ჰოო, ეს ჩინებულია. მაგრამ, „დონ კარლოსს“ რაც შეეხება, იგი ყველასა და ყველაფერს აღემატება. ამ ნაწარმოებში ისეთი ლამაზი ადგილებია... თვითონაც ნახავ, ისე წამოგახტუნებს, თითქოს მათრახი გადაგიჭირესო...

– მათრახი? კი მაგრამ, როგორ? – გაოცებულმა იკითხა ჰანს ჰანსენმა.

– იქ არის მაგალითად, ერთი ადგილი, სადაც მეფე ტირის, ვინაიდან მარკიზმა მოატყუა... მაგრამ მარკიზმა იგი პრინცის გამო მოატყუა, გესმის, რომელსაც კიდევ შესწირა თავი. და ამ დროს მისაღებ ოთახში კაბინეტიდან ხმა დაირხა, რომ მეფე ატირდა.

– ატირდა?!

– მეფე ატირდა?! – ისმოდა აქეთ-იქიდან.

ყველა კარისკაცი საშინლად შეძრა ამ ამბავმა. აღარ იციან, რა ოღონონ, რადგან ის ხომ ძალიან გულქვა და მრისხანე მეფეა. მაგრამ ისიც მისახვედრია, რატომაც იტირა, და, კაცმა რომ თქვას, მე მეფე უფრო მეცოდება, ვიდრე პრინცი და მარკიზი ერთად აღებული. მეფე ხომ სულ მარტოდმარტოა და არავის უყვარს! ძლივს ერთი ადამიანი ჰყავდა გვერდით, რომლისაც სჯეროდა და... მანაც უღალატა...

ჰანს ჰანსენმა გვერდიდან გახედა ტონიოს. ჩანს მის გამომეტყველებაში ისეთი რამ იპოვა, რამაც „დონ კარლოსისადმი“ განაწყო. მერე უცებ მკლავში ხელი გაუყარა

ტონიოს და შეეკითხა:

– მერედა, როგორ უღალატა მეფეს მარკიზმა, ტონიო?

ტონიო გამოცოცხლდა.

– ჰო, საქმე ის არის, რომ, – დაიწყო მან, – ბრაბანტსა და ფლანდრიაში ყველა წერილი...

– აგერ, ერვინ იმერტალი მოდის! – წამოიყვირა ჰანსმა.

ტონიო გაჩუმდა. „ნეტავ მიწა გაუსკდეს და შიგ ჩაიტანოს ეგ იმერტალი, – გაიფიქრა ტონიომ, – რაღა ახლა გამოჩნდა ხელის შესაშლელად! უთუოდ აგვეკიდება, რომ მთელი გზა ცხენოსნობის სკოლაზე ილაპარაკოს“. ცხენოსნობის გაკვეთილებზე ხომ ისიც დადიოდა ჰანსთან ერთად. იმერტალი ბანკის დირექტორის ვაჟი იყო და აქვე, მახლობლად ქალაქის ჭიშკართან ცხოვრობდა. წვრილთვალება, დაბრეცილი ფეხებით უკვე უჩანთოდ მოემართებოდა ხეივანში მათკენ.

– გაუმარჯოს იმერტალს! – მიესალმა ჰანსი, – მე აგერ, კრიოგერთან ერთად ვსეირნობ ცოტას. ...

– მე კი ქალაქში მივდივარ, – თქვა იმერტალმა, – რაღაც მაქვს საყიდელი, მაგრამ ცოტაზე გამოგყვებით... მოიცა, ეგ რა გაქვთ მანდ, ხილის კანფეტია? კარგი, გმადლობთ, ერთ-ორ ცალს ავიღებ. ხომ გახსოვს, ხვალ ისევ გაკვეთილი გვაქვს, ჰანს! – რა თქმა უნდა, ცხენოსნობის გაკვეთილი იგულისხმებოდა.

– მაგარია! – წამოიძახა აღფრთოვანებულმა ჰანსმა, – იცი, ახლა მე ტყავის გამაშებს[6] მივიღებ საჩუქრად. იმიტომ, რომ წინა კვირას საშინაო დავალებაში ფრიადი მივიღე...

– შენ ხომ არა გაქვს ჯირითის გაკვეთილი, კრიოგერ? – ჰკითხა იმერტალმა ტონიოს და ამ დროს თვალები კიდევ უფრო დაუწვრილდა.

– არა, – უპასუხა გაუბედავად ტონიომ.

– უნდა სთხოვო მამაშენს, – შენიშნა ჰანს ჰანსენმა, – კარგი იქნება, შენც რომ გატაროს, კრიოგერ!

– ჰო, – წამოიძახა ნაჩქარევად და აგდებულად ტონიომ. წამით თითქოს ყელში რაღაც გაეჩხირა, რადგან ჰანსმა მას გვარით მიმართა. და, ჰანსმაც, ეტყობა, იგრძნო ეს, და დააყოლა:

– კრიოგერი გიწოდე, რადგან შენი სახელი ისეთი უცნაურია, მაჰატიე, მაგრამ, რა ვქნა, ვერ ვიტან ამ სახელს. ტონიო... საერთოდ, რა სახელია ეს ტონიო... თუმცა, რა თქმა უნდა, რა შენი ბრალია!

– არა, შენ ალბათ იმიტომაც დაგარქვეს ასე, რომ უცხოურად ჟღერს და ერთგვარად გამოჩეულიცაა... – ვითომ თანაგრძნობით უთხრა იმერტალმა.

ტონიოს ტუჩები აუთრთოლდა. მაგრამ ძალა მოიკრიბა, რომ ეთქვა:

– ჰო, ეს მართლა სულელური სახელია. მე კი მინდოდა... ღმერთმანი, მერჩივნა ჰაინრიხი ან ვილჰელმი დაერქმიათ ჩემთვის. შეგიძლიათ მერწმუნოთ, ასეა. მაგრამ ეს სახელი დედაჩემის ძმას ერქვა და მეც ანტონიოდ მომნათლეს. დედაჩემი ხომ უცხო მხრიდანაა...

შემდეგ გაჩუმდა და ორივე თავის ნებაზე მიუშვა, რომ თავიანთ ცხენებსა და მათ ტყავის აღკაზმულობაზე ელაჰარაკათ. ჰანსმა იმერტალს ხელკავი გამოსდო და ისე ხალისიანად და ცოცხლად გაუბა საუბარი, რომ, ცხადია, მსგავს ინტერესს „დონ კარლოსი“ ვერასოდეს გაუღვიძებდა... ტონიო გრძნობდა, თანდათანობით როგორ ეტირებოდა, როგორ უღიტინებდა ცხვირში რაღაც, ნიკაპსაც ვერ იმაგრებდა და მთლად უცანცაზებდა...

ჰანსი მის სახელს ვერ იტანდა! რა გაეწყობოდა! თვითონ ჰანსი ერქვა, იმერტალს კი – ერვინი! კი ბატონო, შესანიშნავია! ორივე საყოველთაოდ აღიარებული სახელი იყო, რომლებიც არავის ეუცხოებოდა. მაგრამ „ტონიო“ უცხოურად, რაღაც განსაკუთრებულად და უსიამოვნოდ ჟღერდა. საჭმე ის არის, რომ თვით ტონიო კრიოგერში იყო მთლიანად რაღაც განსაკუთრებული და არაჩვეულებრივი. სურდა მას ეს თუ არა, იგი მარტო იყო, გარიყული ყველასა და ყველაფრისგან, წესიერებისა და ჩვეულებრივისგან. და, ეს მიუხედავად იმისა, რომ ბოშათა ბანაკიდან კი არ ყოფილა, არამედ კონსულ კრიოგერის ვაჟი გახლდათ, კრიოგერების დიდი ოჯახიდან... თუმცა, საინტერესოა, რატომ ეძახდა მას ჰანსი ტონიოს, რატომ მიმართავდა სახელით, სანამ მარტონი იყვნენ, მაგრამ როგორც კი მესამე შემოუერთდათ, მაშინვე დაირცხვინა მასთან მეგობრობა? ზოგჯერ სჯეროდა, რომ ახლოს იყვნენ ერთმანეთთან და ერთმანეთისა ესმოდათ, დიახ, ასე იყო!

– მაინც, რანაირად უღალატა მეფეს, ტონიო? – ჰკითხა ჰანსმა და ხელკავი გაუყარა. მაგრამ, როგორც კი იმერტალი მოვიდა, თითქოს შვებით ამოისუნთქა, მიატოვა იგი და სულაც არ ეჩოთირა, რომ მისთვის უცხო სახელის გამო ესაყვედურა. რარიგ მტკივნეულია, როცა ამას საკუთარი თვალთ უყურებ!.. კაცმა რომ თქვას, ჰანს ჰანსენს ცოტათი მაინც უყვარდა ტონიო, როცა მარტონი იყვნენ, ამას გრძნობდა და ტონიომაც იცოდა ეს. მაგრამ, როგორც კი მესამე მოვიდა, შერცხვა მასთან ყოფნა, მეტიც, გაწირა იგი. და ტონიო ისევ მარტო დარჩა. ბიჭი ისევ მეფე ფილიპზე ფიქრობდა. მეფემ იტირა...

– ღმერთო, შენ მიშველე, – მოულოდნელად წამოიძახა ერვინ იმერტალმა, – ახლა კი მართლა დროა ჩემი ქალაქში წასვლისა! აბა, ნახვამდის და მადლობა ხილის კანფეტებისთვის!

ერვინი ძელსკამზე შეხტა, რომელიც გზის პირას დაედგათ. დაბრეცილი ფეხებით გაირბინა მასზე და დაოთხილი გავარდა.

– ერვინ იმერტალი მომწონს, – ჰანსმა ეს ხაზგასმით თქვა. მას შეეძლო ნებიერად და თავდაჯერებული ტონით თავისი სიმპათიისა და ანტიპათიის გამოხატვა, თითქოს ამით მოწყალებას გასცემდა. მერე ისევ ცხენოსნობაზე განაგრძო ლაპარაკი, რადგან უკვე საღერღელი აშლილი ჰქონდა. ახლა არც ისე შორს იყო ჰანსის სახლამდე. გზას ციხესიმაგრის ნანგრევთა გავლით დიდი დრო არ წაურთმევია. ბიჭებმა ყურებზე ქუდები მაგრად ჩამოიფხატეს და თავი დახარეს, რათა ასე გამკლავებოდნენ ძლიერ და ნოტიო ქარს, რომელიც ხეების შიშველ ტოტებში ზუზუნებდა და კვნესოდა. ჰანს ჰანსენი განაგრძობდა ლაპარაკს. ამ დროს ტონიო შიგადაშიგ ხელოვნურად თუ ჩაურთავდა ხან აჰ-ს და ხან კიდევ ჰო-ს, და, როცა ჰანსმა გულმოდგინედ გაბმულ საუბარში ისევ ხელკავი გამოსდო, მაშინაც სიხარული დიდად არ დასტყობია, რადგან გრძნობდა, რომ ეს მოჩვენებითი სიახლოვე იყო, სრულიად უმნიშვნელო ტონიოსთვის.

მალე უკან მოიტოვეს ციხესიმაგრის ნანგრევები და რკინიგზის სადგურთან გადმოუხვიეს. ნახეს როგორ ჩაიქროლა მატარებელმა. ერთხანს იდგნენ და ვაგონების თვალთვლით ერთობოდნენ. ხელიც კი დაუქნიეს ბოლო ვაგონში, უკანა ბაქანზე მჯდომ მამაკაცს, ქურქში რომ განხვეულიყო.

ბიჭები ცაცხვების მოედანზე, კომერსანტ ჰანსენის ვილასთან

გაჩერდნენ. ჰანსი ტონიოს საგულდაგულოდ უჩვენებდა და უხსნიდა, რა სახალისო იყო ქვევით, ბაღჩის პატარა კარზე ჩამოკიდება და აქეთ-იქით ქანაობა მის ღრჭიალში. და ბიჭებიც რიგრიგობით ქანაობდნენ პატარა ჭიშკარზე. მალე დამშვიდობების დროც დადგა.

– ჰო, ახლა კი წავედი, – წამოიძახა ჰანსმა, – ნახვამდის, ტონიო! შემდეგში უეჭველად მე მიგაცილებ სახლამდე.

– ნახვამდის, ჰანს, – უპასუხა ტონიომ, – სასიამოვნო იყო ერთად გამოსეირნება.

ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს. თითები დასველებოდათ და ჟანგით მოთხუპნოდათ პატარა რკინის ჭიშკარზე ქანაობისას. და როცა ტონიოს ნაღვლიან თვალებში ჩახედა ჰანსმა, სინანული აღებეჭდა ლამაზ სახეზე.

– სხვათა შორის, უახლოეს დღეებში წავიკითხავ „დონ კარლოსს“! – წამოიძახა სწრაფად, – ალბათ, მართლაც შესანიშნავი იქნება თავის კაბინეტში მოტირალი მეფის ამბავი! – შემდეგ ჩანთა ილლიაში ამოიჩარა და ბაღჩის ბილიკს გაუყვა. სანამ სახლში შევიდოდა, კიდევ ერთხელ დაუქნია ხელი მეგობარს.

და ტონიო კრიოგერიც გასხვივოსნებული და ფრთაშესხმული გაემართა შინისკენ. ქარი ახლა ზურგში ურტყამდა, მაგრამ მარტო ეს არ იყო იმის მიზეზი, რომ ასე მსუბუქად მიუყვებოდა ქუჩას.

ჰანსი „დონ კარლოსს“ რომ წაიკითხავდეს, მაშინ ხომ გვექნება საერთო თემა, რომელზე საუბარშიც ვერც იმერტალი და ვერც სხვა ვინმე ვერ ჩაყოფს მერე ცხვირს! რა კარგად გაუგებდნენ ერთმანეთს! ვინ იცის, იქნებ იქამდეც მივიდეს საქმე, რომ ლექსების წერაც დააწყებინოს?.. არა, არა, ეს არც უნდა! ჰანსი ისეთივე უნდა დარჩეს, როგორც არის, ტონიოს კი არ უნდა დაემსგავსოს, ისეთივე ნათელი და ძლიერი უნდა იყოს, როგორც ყველას უყვარს, მათ შორის, ყველაზე მეტად ტონიოს! მაგრამ „დონ კარლოსს“ თუ წაიკითხავს, მით უფრო არაფერში შეუშლის ხელს... და მიდიოდა ტონიო ძველი, დაბალი ჭიშკრის გაყოლებაზე, ჩაუარა ნავსადგურს და აუყვა ციცაბო, ქარიან და სველ ფრონტონებიან ქუჩას თავისი მშობლების სახლისკენ. გული ნეტარებით უცემდა. მასში ვნებაც უხვად იყო და დამამძიმებელი მომურნეობაც.

2.

თექვსმეტი წლის ტონიოს მოულოდნელად შეუყვარდა ინგე, ინგებორგ ჰოლმი, ექიმ ჰოლმის ქერათმიანი ქალიშვილი, რომელიც ბაზართან ცხოვრობდა, იქ, სადაც არაერთი მაღალი, წვეტიანი გოტიკური შადრევანი იდგა.

როგორ მოხდა ეს? ტონიოს ასიათასჯერ მაინც ენახა ინგე. ერთ საღამოს კი იგი უჩვეულოდ გასხივოსნებული იხილა. უყურებდა მეგობარ გოგონასთან საუბრისას როგორ მომხიბვლელად აკისკისდა, როგორ მოხდენილად გადახარა თავი გვერდზე და დახვეწილი მანერით ასწია მთლად ბავშვური, მაგრამ არც ისე სუსტი, არც ისე ჩამოქნილი ხელი და კეფასთან მიიტანა. ამ დროს თეთრი აბრეშუმის სახელო იდაყვზე ჩამოუცურდა. ესმოდა, როგორ დაურთო მახვილი ერთ სიტყვას, ერთ არაფრისმთქმელ სიტყვას, თუმცა კი ამ დროს მისი თბილი ხმა ზარის რეკვასავით გაისმა, და ტონიოს გულსაც აღტაცების ტალღამ გადაუარა, გაცილებით უფრო ძლიერმა, ვიდრე კი ოდესმე უგრძნია. ასეთი რამ არც მაშინ განუცდია, ჰანს ჰანსენს რომ აკვირდებოდა, როცა ჯერ კიდევ პატარა, გულუბრყვილო ბიჭი იყო.

ტონიოს იმ საღამოდან გამოჰყვა ინგეს სახე, სქელი, ქერა ნაწნავით, მოღიმარი, ცისფერი, ნუშისებრი თვალებით და ცხვირს ზემოთ ნაზად დაყრილი ჭორფლით. ვერა და ვერ იძინებდა, რადგან თავში სულ მისი ზარივით წკრიალა ხმა ჩაესმოდა. შეეცადა, ოდნავ მაინც მიებაძა მისთვის. მახვილი ისე დაესვა, როგორც ინგემ იმ არაფრისმთქმელ სიტყვაზე და... ტონიო შეკრთა. გამოცდილებამ მიახვედრა, რომ ეს სიყვარული იყო! და, მიუხედავად იმისა, რომ ზუსტად იცოდა, სიყვარული როგორ ტკივილს, სიმწარესა და დამცირებას მოუტანდა, თანაც ყველაფერს აუწეწავდა, გულს სევდიანი მელოდიებით აუვსებდა, ააფორიაქებდა და მოსვენებას დაუკარგავდა, რაც ხელს შეუშლიდა საქმისთვის თავი მოება, რომ მერე სიმშვიდეში, მყუდროებაში მთელიდან რაღაც გამოეძერწა... დიახ, მიუხედავად ამ ყველაფრისა, სიყვარულს მაინც სიხარულით შეეგება, მთლიანად მიენდო და მთელი არსებით დაეწაფა, რადგან ისიც იცოდა, რომ სიყვარული გაამდიდრებდა

და სიცოცხლეს აუვსებდა, და ტონიოც უფრო მიილტვოდა მშვენიერი და სრულფასოვანი ცხოვრებისკენ, ვიდრე სიმშვიდეში თუნდაც რაიმე სრულყოფილის გამოსაძერწად...

ამგვარად, ტონიო კრიოგერს ყურებამდე შეუყვარდა ხალისიანი ინგე ჰოლმი, რაც კიდევ უფრო აშკარა გახდა ერთ საღამოს, კონსულ ჰუსტედეს სასტუმრო დარბაზში, საიდანაც ავეჯი გაეტანათ, რათა იქ ცეკვის გაკვეთილი ჩატარებინათ. ეს იყო ცეკვის კერძო გაკვეთილები, რომლებიც ტარდებოდა წარჩინებულ ოჯახთა შვილებისთვის, რომლებიც რიგრიგობით იკრიბებოდნენ ხან ერთი, ხან მეორე მშობლის სახლში. ამ გაკვეთილებზე ცეკვასთან ერთად გოგო-ბიჭები კარგ მანერებსაც ეუფლებოდნენ. ამაში კი მათ ყოველ კვირადღეს საგანგებოდ მათთვის ჰამბურგიდან ჩამოსული ბალეტმაისტერი ეხმარებოდათ.

ბალეტმაისტერი გახლდათ ფრანსუა კნააკი და თანაც რა კაცი!

– J'ai l'honneur de me vous représenter, – იტყოდა იგი, – mon nom est Knaak,[7] და დასძენდა, – ეს უნდა წარმოითქვას არა თავის დაკვრისას, არამედ მაშინ, როცა ისევ წელში გაიმართები: ხმადაბლა და უსათუოდ მკაფიოდ. მართალია, ადამიანს ყოველდღე არ უხდება ფრანგულ ენაზე თავის წარდგენა, მაგრამ თუ ამ ენაზე დახვეწილად და უზადოდ მოახერხებს ამას, მერე არც მშობლიურ ენაზე გაუჭირდება.

როგორ საუცხოოდ შემოტმასნოდა აბრეშუმის სერთუკი ფრანსუა კნააკს ჩასუქებულ თეძოებზე! ნაკეცებიანი რბილი ქსოვილის მარვალი ნატიფად ეშვებოდა მის განიერი ატლასის ბაფთებით გაწყობილ ლაკის ფენსაცმელზე, თაფლისფერი, მეტყველი თვალებით აქეთ-იქით იმზირებოდა საკუთარი მშვენიერებით დამტკბარი და ამავე დროს, ოდნავ მოთენთილი...

ჰერ კნააკი ყველას თრგუნავდა მოჭარბებული თავდაჯერებულობითა და წესიერებით. ისე მიაბიჯებდა, როგორც ალბათ ვერავინ – ელასტიკურად, მოზომილად, მეფურად... მიუახლოვდებოდა დიასახლისს, თავს დაუკრავდა და ელოდებოდა, ვიდრე ხელს გაუწვდიდნენ. როგორც კი ხელს გაუწვდიდნენ, დაბალი ხმით მადლობას გადაუხდიდა ამისთვის. უკან დახევისას, თითქოს ზამბარებზე ყოფილიყო შემდგარი, მარცხენა ფეხზე შემოტრიალდებოდა, ოდნავ წელში

მოხრილი მარჯვენა ფეხის წვერით იატაკს მოსწყდებოდა და თეძოების რწევით ისევ უკან გაეშურებოდა...

საზოგადოებისა და დარბაზის დატოვება ისე არ შეიძლებოდა, თუ არა აუცილებლად კარისკენ ზურგშექცევით და წამდაუწუმ თავის დაკვრით. სკამის მირთმევის შემთხვევაში, ის იატაკზე არ უნდა გაგეხობებინათ, არც ფეხში წაგველოთ ხელი, არამედ საზურგეში მსუბუქად ხელმოკიდებული უნდა აგელოთ და უხმაუროდ დაგედგათ თავის ადგილზე. დგომისას, ხელები მუცელზე არ უნდა დაგეწყოთ და არც ენა გამოგეყოთ. და თუ ისევ შეეშლებოდა ვინმეს რამე, ჰერ კნააკი შავ დღეს დააყრიდა. თანაც ისე გამოაჯავრებდა, რომ დაწუნებული პოზის განხენებისას გულისამრევი შეგრძნება გაჰყვებოდა მთელი დარჩენილი ცხოვრება...

ასეთი იყო კარგი მანერების სწავლების წესი. ხოლო, ცეკვას რაც შეეხებოდა, კნააკს მართლაც არ ჰყავდა ამ საქმეში ბადალი. დაცარიელებულ დარბაზში ჭადზე აირი ენთო და ბუნარზე სანთლები. იატაკზე ტალკი მოეყარათ და ნახევარწრეში გაყუჩებული იდგნენ მოსწავლეები. მეორე მხარეს კი, გვერდით ოთახში ხავერდის სკამებზე დედები და დეიდები ისხდნენ და ლორწეტებით ხელში მისჩერებოდნენ ჰერ კნააკს, რომელსაც ორ-ორი თითით აეწია ოდნავ მოხრილს სერთუკის კალთები და მოსრიალე ფეხებით მაზურკის ცალკეულ ილეთს უჩვენებდა მოწაფეებს. მაგრამ, საერთოდ, თუ პუბლიკის გაოგნებას მოისურვებდა, მოულოდნელად ააჩქარებდა რიტმს, ელვის უსწრაფესად მოსწყდებოდა იატაკს და გამოგნებელი სისწრაფით ჰაერში მელოდირად აათამაშებდა ფეხებს, თან ღიღინს მიაყოლებდა და ყრუდ, მაგრამ გულისშემძვრელად კვლავ დედამიწაზე დაეშვებოდა...

– მართლაც წარმოუდგენელი მაიმუნია, – ფიქრობდა ტონიო, მაგრამ ამასთანავე სიამოვნებით მისჩერებოდა ინგე ჰოლმს. ხალისიან ინგეს, რომელიც ჰერ კნააკის თითოეულ მოძრაობას თავდავიწყებით, ღიმილით ადევენებდა თვალს. მარტო ესეც კმაროდა, რომ მის სხეულს, რომელსაც ბალეტმაისტერი მართლაც საუცხოოდ ფლობდა, ყველა აღტაცებაში მოეყვანა! მერედა, რა მშვიდი და აუმღვრეველი თვალები ჰქონდა ჰერ კნააკს! მისი თვალები საგანთა სიღრმეში კი არ ატანდნენ, არამედ იქამდე, ვიდრე ამ საგანთა რთული თუ მსახვრალი ბუნება აღიქმებოდა. ამ თვალებმა მხოლოდ ერთი რამ

იცოდნენ, რომ თაფლისფერი და ლამაზები იყვნენ. ამიტომაც ეჭირა ასე ამაყად თავი მათ პატრონს! ბრიყვი უნდა ყოფილიყავი, ისე შეგძლებოდა გავლა, როგორც ჰერ კნააკს. და ამ დროს იგი მართლაც ყველას უყვარდებოდა, რადგან თავისთავადაც საყვარელი იყო. ტონიოს მშვენივრად ესმოდა, რატომ მისჩერებოდა ინგე, ტკბილი, ქერა ინგე ჰერ კნააკს ასეთი აღფრთოვანებით. ნუთუ ასე მასაც შეხედავდა ოდესმე ვინმე?

თუმცა როგორ არა, იყო ასეთი გოგონაც! აი, თუნდაც მაგდალენა ფერმერენი, ადვოკატ ფერმერენის ქალიშვილი, ნაზი პირსახისა და დიდი, მუქი ფერის, მოელვარე თვალებით, სერიოზული და მეოცნებე გამომეტყველებით. ოღონდ ეგ იყო, ცეკვისას ხშირად ეცემოდა. იმ დროს, როცა გოგონები ირჩევდნენ კავალერს, მაგდალენა მაშინვე ტონიოსთან მირბოდა. გოგონამ იცოდა, რომ ტონიო ლექსებს წერდა, ორჯერ კიდევაც სთხოვა, წაეკითხებინა მისთვის. მაგდალენა ხშირად შორიდან უყურებდა ხოლმე ტონიოს თავდახრილი, მაგრამ ბიჭს ეს გოგო არაფრად ეპიტნავებოდა! მას ხომ ინგე ჰოლმი უყვარდა, ქერა, ხალისიანი გოგონა, რომელსაც ტონიო ალბათ იმიტომ არ მოსწონდა, რომ ლექსებს წერდა... ტონიო ინგეს მისჩერებოდა, უყურებდა მის ვიწროჭრილიან ცისფერ თვალებს, რომლებშიც უზომო ბედნიერება და დაცინვა გამოსჭვიოდა, და მოშურნე ლტოლვა, მწარე, გულის განმგმირავი ტკივილი, მისგან უარყოფილისა და, მისთვის მუდმივად უცხოდ დარჩენილისა, ტონიოს მკერდს მოსდებოდა და ცეცხლივით სწვავდა.

– პირველი წყვილი en avant![8] – შესძახა ჰერ კნააკმა, და ენა ვერ იტყვის, თუ როგორ დიდებულად წარმოთქვამდა ბალეტმაისტერი ნაზალურ[9] ბგერებს. კადრილში[10] ვარჯიშობდნენ და ტონიო კრიოგერის გაცეხას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ინგე ჰოლმთან ერთად, ერთსა და იმავე წრეში აღმოჩნდა. ტონიო ინგეს თავს არიდებდა რამდენადაც შეეძლო და მაინც მუდამ მის სიახლოვეს ხვდებოდა. ცდილობდა, მისკენ არ გაეხედა და თვალი მაინც სულ მისკენ გაურბოდა... აგერ, წითურთმიან ფერდინანდ მატისენტან ხელჩაკიდებული მოსრიალდა, ნაწნავი უკან გადაიგდო, ძლივძლივობით ამოისუნთქა და ტონიოს პირისპირ დადგა. პიანისტმა, ჰერ ჰაინცელმანმა გაძვალტყავებული თითები მთელი ძალით დასცნო კლავიშებს, ჰერ კნააკმა განკარგულება გასცა და

კადრილიც დაიწყო.

ინგე ტონიოს წინ მოძრაობდა, ხან ერთ მხარეზე მოექცეოდა, ხან მეორეზე. ხან წინ მოიწევდა, ხანაც უკან იხევდა. თავბრუდამხვევად ტრიალებდა და სურნელი, რომელსაც მისი თმა თუ მისი კაბის ნაზი და თეთრი ქსოვილი გამოსცემდა, ტონიოს აღაგზნებდა და თვალები სულ უფრო მეტად ემღვრეოდა.

„მე შენ მიყვარხარ, მიყვარხარ, სულზე უტკბესო ინგე“, – იმეორებდა გულში და ამ სიტყვებში აქსოვდა მთელ თავის გულისტკივილს იმაზე, თუ როგორ მხიარულად და მონდომებით ცეკვავდა, მას კი ყურადღებას არ აქცევდა.

ტონიოს ფიოდორ შტორმის[11] ულამაზესი ლექსი გაახსენდა:

მე მინდა ძილი,

შენ კი –

ცეკვა და ლხინი...

რაც იმას ნიშნავდა, რომ ბიჭს გამუდმებით ტანჯავდა დამთრგუნველი გრძნობა იმისა, რომ რა დროს ცეკვაა, როცა უყვარხართ...

– პირველი წყვილი en avant! – წამოიძახა ჰერ კნააკმა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ახალი ტური იწყებოდა, – Compliment! Moulinet des dames! Tour de main![12] და ენით ვერავინ აღწერს, თუ როგორი გრაციოზულობით ახერხებდა იგი ყრუ ე-ს გამოყოფას დე-სგან.

– მეორე წყვილი en avant! – აქ უკვე ტონიო კრიოგერი და მისი მეწყვილე იყვნენ. Compliment! და ტონიომაც თავი დაუკრა, – Moulinet[13] des dames!

და ტონიო კრიოგერმა, თავდახრილმა და წარბშეკრულმა, ხელი დაადო ოთხი ქალიშვილისგან ერთ-ერთის, ინგე ჰოლმის ხელს და დაიწყო კიდევაც moulinet-ი.

მოულოდნელად ირგვლივ სიცილ-კისკისი ატყდა. ჰერ კნააკმა ისეთი საბალეტო პოზა მიიღო, რომელიც სტილიზებულ აღმწვანებას გამოხატავდა.

– ღმერთო, შენ მიშველე! – აღმოხდა მას, – შეჩერდით,

შეჩერდით! კრიოგერს შეეშალა და თავი გოგონად მიიჩნია. En arrière[14], ფროილან კრიოგერ, უკან! Fi donc![15] ყველამ გაიგო, როგორ იცეკვოს, თქვენ კი ვერა! აბა, ახლავე გადით აქედან! გაქრით! უკან დაიხიეთ!

და ბალეტმაისტერმა ყვითელი აბრეშუმის ცხვირსახოცით მიუთითა ტონიო კრიოგერს, რომ უკან, თავის ადგილს დაბრუნებოდა.

ყველა ხარხარებდა, ბიჭები, გოგონები, კრეტსაბმელების მიღმა მსხდომი ქალბატონებიც სიცილს ვერ იკავებდნენ, რადგან ბატონმა კნააკმა ამ ინციდენტით ისარგებლა და ისეთი სასაცილო შესტი გააკეთა, ხალხი ისე გაართო, თითქოს თეატრში ყოფილიყვნენ. მხოლოდ ჰერ ჰაინცელმანი ელოდებოდა გახევებული სახით დაკვრის გაგრძელების ნიშანს, რადგან იგი უკვე შეჩვეული იყო ბალეტმაისტერის ამგვარ გამონადომებს.

შემდეგ კადრილი გააგრძელეს. მერე კი შესვენება დაიწყო. მოახლემ სინზე დაწყობილი ღვინის ჟელეს ჭიქები ააწკარუნა კარში, მის კილვატერს[16] ჭიშმიშიანი კექსით დატვირთული მზარეული მოჰყვებოდა. ტონიო კრიოგერი ამასობაში ჩუმად გაიპარა, ფარულად გავიდა დერეფანში და იქ, ზურგზე ხელებდაწყობილი ჟალუზებჩამოწეული ფანჯრის წინ დადგა. არც კი დაფიქრებულა იმაზე, რომ დახურულ ჟალუზებში არაფერი ჩანდა და, რომ სასაცილო იყო ამ ფანჯრის წინ დგომა და ისეთნაირად თავის დაჭერა, თითქოს რამეს ხედავდა.

მაგრამ ტონიო იდგა და თავის სულში იხედებოდა, სადაც ამდენი სირცხვილის გრძნობა და ვნება ეგულებოდა. რატომ, რატომ იყო იგი აქ? რატომ არ იჯდა თავის ოთახში, არ კითხულობდა შტორმის „იმენზეეს“[17] და დროდადრო რატომ არ გაიხედავდა სალამოს ბინდბუნდში თავის ბაღში, სადაც ძველი კაკლის ხე მძიმედ ირხეოდა? იქ იყო მისი ადგილი. დაე, სხვებმა იკუნტრუმონ, იცეკვონ და იყოჩალონ აქ, ამ არენაზე!.. მაგრამ არა! მაინც აქ იყო მისი ადგილი, სადაც ინგეს სიახლოვეს გრძნობდა თავს, მაშინაც კი, როცა მისგან შორს, განმარტოებით იდგა და საცეკვაო დარბაზის ხმაურში, ზუზუნსა და სიცილ-კისკისში ცდილობდა საყვარელი გოგონას ხმა გაერჩია. ხმა, რომელშიც სიცოცხლის სითბო და მხიარულება ჟღერდა. ო, როგორი მოგრძო ჭრილის, ცისფერი, მოღიმარი თვალები გაქვს ჩემო ქერათმიანო ინგე! როგორ შეიძლება ასეთი ლამაზი და

მზიარული იყო მაშინ, როცა „იმენზეეს“ არ კითხულობ და არც არასოდეს გიცდია, თვითონაც მსგავსი რამ შეგექმნა. აი, ეს არის სამწუხარო!..

რატომ არ მოდის მასთან ინგე! მას უნდა შეემჩნია, რომ იქ აღარ იყო ტონიო! უნდა ეგრძნო! რა მოუვიდა, მალულად რატომ არ დაედევნა, თუნდაც თანაგრძნობის ნიშნად ხელი დაედო მხარზე და ეთქვა: – შემოდი, ჩვენთან იყავი, გამზიარულდი, მე შენ მიყვარხარ. და ტონიო გულის ფანცქალით ელოდა უგუნურად დაძაბული, ვინ იცის, იქნებ ჩემთან გამოუწიოს გულმამო. ინგე კი არა და არ მოდიოდა. ასეთი რამ იშვიათად ხდებოდა დედამიწაზე...

ნუთუ წელან, სხვებთან ერთად ინგემაც დასცინა? ჰო, ინგეც იცინოდა! როგორი დიდი სიამოვნებით უკუაგდებდა ამ აზრს თავისსა და ინგეს გულისთვისაც. მას ხომ ინგეს სიახლოვემ დააკარგვინა გონება და ააცეკვა ამ moulinet des dames-ში. და, ასეთი რა დაშავდა ამით? ერთხელაც ხომ მორჩებიან სიცოცხლე! ამას წინათ, აგერ, ერთმა ჟურნალმა მოიწონა ჩემი ლექსი და ალბათ, დაბეჭდავდა კიდევ, მოულოდნელად რომ არ დახურულიყო. მოვა დრო, როცა სახელგანთქმული გახდება, როცა ყველაფერი, რასაც იგი წერს, დაიბეჭდება და მერე ვნახოთ, ინგე ჰოლმზე მოახდენს ეს თუ არა შთაბეჭდილებას... არა, არავითარ შთაბეჭდილებასაც არ მოახდენს! და სწორედ ეს არის უბედურება. ხოლო, მაგდალენა ფერმერენზე, აი, იმ გოგონაზე, სულ რომ ეცემოდა, უსათუოდ მოახდენდა შთაბეჭდილებას. ინგე ჰოლმზე კი არასოდეს! ამ ცისფერთვალა, ხალისიან ინგეზე არასოდეს! და, გამოდის, რომ ყველაფერი ამას ყოფილა!..

ამის გაფიქრებაზე ტონიო კრიოგერს მტკივნეულად შეეკუმშა გული. სავალალოა, როცა გრძნობ, რა საოცარი ძალით თამაშობენ და ცოცხლდებიან შენში მგზნებარე და მჭმუნვარე გრძნობები, და ამავე დროს, ისიც იცი, რომ ისინი, ვისკენაც შენ ეგზომ მიილტვი, მათივე მზიარული მიუდგომლობით ასე გემიჯნებიან, და როგორ გტკენს ეს გულს. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მარტოდმარტო, გარიყული და უიმედო იდგა ჩამოშვებული ჟალუზების წინ, თითქოს რამეს ხედავსო, და თავის დარდს მისცემოდა, მაინც ბედნიერი იყო. მაშინ მისი გული ცოცხლობდა. მხურვალე და ნაღვლიანი ძგერდა ის შენთვის, ინგებორგ ჰოლმ! ხოლო მისი სული მოეცვა

ნეტარების თვითუარყოფელ ქერა, ლალ და ქედმაღალ, ჩვეულებრივ პატარა არსებას.

არაერთხელ მდგარა ტონიო კრიოგერი სახეზე აღმურმოდებული ასე განმარტოებით, იქ, სადაც ძლივს აღწევდა მუსიკის ხმა, ყვავილების სურნელი და ჭიქების წკარუნი და ამ საზეიმო ჟრიალში შორიდან ცდილობდა შენი წკრიალა ხმის გარჩევას. შენ სიახლოვეს იდგა ტკივილით შეჭირვებული და მაინც ბედნიერი იყო. რამდენჯერ დასწყვეტია გული იმაზე, რომ მაგდალენა ფერმერენს, წამდაუწუმ რომ ეცემოდა ცეკვისას, ხშირად ელაპარაკებოდა. მაგდალენას ესმოდა ტონიოსი, იცინოდა მასთან ერთად და სერიოზულ თემებზეც შეეძლოთ ერთად საუბარი. ამ დროს კი ქერა ინგე, მაშინაც, როცა მის გვერდით იჯდა, ტონიოსთვის შორეული და უცხო იყო, ვინაიდან მათ არ ესმოდათ ერთმანეთის, თითქოს სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდნენ. მაგრამ მიუხედავად ამისა, ტონიო მაინც ბედნიერი იყო. რადგან ბედნიერება, როგორც თავისთვის ამბობდა, ის კი არ არის, რომ სხვას უყვარდე, რაც ზიზღის მომგვრელი კმაყოფილებაა პატივმოყვარეობის დასაცხრობად. ბედნიერებაა, როცა შენ გიყვარს და ალბათ ისიც, სატრფოსთან სიახლოვის მაცდური წამებით რომ განიცდი ნეტარებას. და ტონიომაც გონებაში აღიბეჭდა ეს აზრი, სავსებით გაისიგრძეგანა და შეისისხლხორცა.

„ერთგულება! – ფიქრობდა ტონიო კრიოგერი, – ინგებორგ, მე ვიქნები შენი ერთგული და მეყვარები, ვიდრე პირში სული მიდგას!“ დიახ, ასეთი კეთილშობილი იყო ტონიო, მაგრამ ჩუმი შიშისა და ჭმუნვის ხმა გამუდმებით ჩასჩურჩულებდა, რომ მიუხედავად ყოველდღიური შეხვედრებისა, ჰანს ჰანსენი ხომ უკვე ლამის სულ მთლად გადაავიწყდა. და ყველაზე საშინელი და სამარცხვინო სწორედ ის იყო, რომ ეს ჩუმი და ცოტა არ იყოს ცბიერი ხმა მართალი გამოდგა. გავიდა დრო და დადგა დღეები, როცა ტონიო კრიოგერი უწინდებურად თავს აღარ გასწირავდა მზიარული ინგესთვის. მას უკვე შინაგანად სიცოცხლის ისეთი ხალისი და ძალა მოზღვავებოდა, რომ გრძნობდა მზადყოფნას, ამქვეყნად უამრავი ღირსშესანიშნავი რამ შეექმნა.

და იგი ფრთხილად დასტრიალებდა საკურთხეველს, სადაც მისი სიყვარულის წმინდა და უბიწო ალი გიზგიზებდა, ჩაიჩოქა მის წინ და, რამდენადაც შეეძლო აღვივებდა ცეცხლს, რადგან

ერთგული უნდოდა დარჩენილიყო. მაგრამ რაღაც წამებში, შეუმჩნევლად, უშფოთველად და უხმაუროდ ალი მაინც ჩაქრა.

ტონიო კრიოგერი კიდევ ერთხანს იდგა ცივი საკურთხევლის წინ, გაკვირვებული და იმედგაცრუებული იმით, რომ დედამიწაზე ერთგულება შეუძლებელი ყოფილა. შემდეგ მხრები აიჩეჩა და თავის გზას დაადგა.

3.

ტონიო იმ გზას მიუყვებოდა, რომელზედაც უნდა ევლო, ოდნავ დაუდევრად და ოდნავ არეული ნაბიჯებით. სტვენა-სტვენით გაჰყურებდა შორეთს გვერდზე გადახრილი თავით, მაგრამ დროდადრო თუ გზას გადაუხვევდა, ეს იმიტომ, რომ ზოგიერთათვის საერთოდ არ არსებობს სწორი გზა. როცა ეკითხებოდნენ, ვინ უნდა გამოხვიდეო, არეულ პასუხს იღებდნენ, რადგან ტონიოს ჩვეულებად ჰქონდა ეთქვა (თან ეს აზრი უკვე ჩაიწერა კიდევ), რომ საკუთარ თავში ყოფიერების ათასგვარ ფორმათა შესაძლებლობებს მოიცავდა, თუმცა იდუმალად გრძნობდა, რომ ეს არსებითად, პირწმინდა შეუძლებლობანი უფრო იყო.....

ძაფები, ვიწროქუჩებიან მშობლიურ ქალაქთან რომ აკავშირებდა, გაცილებით ადრე დაწყდა, ვიდრე ტონიო ქალაქს დატოვებდა. კრიოგერთა ძველი ოჯახი თანდათანობით დაადგა დაცემის, დაკნინებისა და ნგრევის გზას, და ხალხი ამის დამამტკიცებელ საბუთად არცთუ უსაფუძვლოდ მიიჩნევდა თვით ტონიო კრიოგერის ყოფა-ცხოვრებასა და ხასიათს. ჯერ დიდდა მოუკვდა მამის მხრიდან, გვარში უხუცესი და დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც მამამისიც მიჰყვა, მაღალი, გონიერი, ყოველთვის საგულდაგულოდ გამოწყობილი ბატონი, რომელსაც მინდვრის ყვავილი ეკეთა მუდამ საღილეში. ღირსეული ისტორიის მქონე კრიოგერთა დიდი სახლი გასაყიდად გამოცხადდა და ფირმაც დაიხურა. ტონიოს დედა კი, მისი ლამაზი, მგზნებარე დედა, რომელიც ასე საუცხოოდ უკრავდა როიალსა და მანდოლინაზე და, რომელიც დიდად არაფერს დაგიდევდათ, დაქვრივებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ მეორედ გათხოვდა იტალიური

წარმომავლობის ვირტუოზ მუსიკოსზე, რომელსაც თან გაჰყვა ცისფერ შორეთში. ტონიო კრიოგერისთვის ეს ცოტათი ქარაფშუტული საქციელი იყო, მაგრამ რა უფლება ჰქონდა დაეშალა, დედას ხომ ვერ შეეწინააღმდეგებოდა? თვითონაც ხომ ლექსებს წერდა და ვერც ერთხელ ვერ შეძლო პასუხი გაეცა კითხვაზე, ვინ უნდოდა გამოსულიყო...

და მან დატოვა პატარა მშობლიური ქალაქი, რომლის ფრონტონებზეც ნოტიო ქარი დაზუზუნებდა, დატოვა შადრევანი, ძველი კაკლის ხე ბაღში, მისი ყრმობის განუყრელი მეგობრები, დატოვა ზღვა, რომელიც აგრერიგად უყვარდა, და გული ოდნავაც არ სტკენია. რადგან ის გაიზარდა და ჭკუაც მოემატა. მიხვდა, რა ემართებოდა, რა სჭირდა და უკვე დაცინვით უყურებდა იმ ტლანქ და მდაბალ ყოფიერებას, რომელმაც ასე დიდხანს ამყოფა თავის წიაღში.

ტონიო მთლიანად მიენდო იმ ძალას, რომელიც დედამიწაზე მისთვის ყველაზე ამაღლებულად მიაჩნდა, რომლის სამსახურშიც გრძნობდა თავის მოწოდებას და, რომელიც მას დიდებასა და პატივს ჰპირდებოდა; სულისა და სიტყვის ძალას, რომელსაც ღიმილით დაუდგამს ტანტი გაუცნობიერებელი და უტყვი ცხოვრების თავზე. ახალგაზრდული გატაცებით მიენდო მას და მანაც არგუნა ყველაფერი, რაც ხელეწიფებოდა და სამაგიეროდ, შეუბრალებლად გამოსტაცა ყოველივე ის, რისი წაღებაც საზღაურის სახით სჩვევია ხოლმე.

ამ ძალამ გაუმახვილა ტონიოს თვალსაწიერი და დიად სიტყვათა აღქმის საშუალება მისცა; იმ სიტყვათა, რომლებიც კაცის სულს აღავსებს, და რომელთაც განუღეს როგორც სხვათა, ასევე საკუთარი ბჭენი სულისა. ნათელი მოჰფინა, დაანახვა სამყაროს წიაღი და დასასრული, რაც სიტყვათა და ქმედებათა მიღმაა. ხოლო, ის, რასაც ხედავდა, იყო კომიზმი და სილატაკე! კომიზმი და სილატაკე!

მაშინ, შემეცნებით აღძრულ ტანჯვასა და მედიდურობასთან ერთად მარტოობის განცდაც დაეუფლა, რადგან მას გონებაშეზღუდულ გულუბრყვილობათა და მხიარულთა წრეში ვერ იტანდნენ, აშფოთებდათ მის შუბლზე აღბეჭდილი დამლა. მაგრამ სულ უფრო მეტად და მეტად იღვიძებდა მასში სიტყვითა და ფორმით ტკბობის ხალისი. მას სჩვეოდა თქმა (და უკვე ჩაწერილიც ჰქონდა ეს), რომ მარტო სულის შეცნობა

გულს აგვიმღვრევდა, რომ არა გამოხატვის სიამოვნებანი, რომლებიც გვინარჩუნებენ სიფხიზლესა და მხნეობას...

ტონიო ცხოვრობდა სამხრეთით, დიდ ქალაქებში. იქაური მზე მის დაოსტატებას ფუფუნებით სიმწიფეს ჰპირდებოდა; და ეს ალბათ, დედამისის სისხლი იყო, რომელიც მას იქით ეწეოდა. მაგრამ, რადგანაც მისი გული უსიცოცხლო და სიყვარულს მოკლებული იყო, ხორციელ ვნებებში იძირებოდა, მორევში ეშვებოდა, მერე კი ნანობდა ამ საქციელს და ამის გამო იტანჯებოდა. იქნებ ეს იყო, რაც მამამისისგან ერგო მემკვიდრეობით, მაღალი, ჩაფიქრებული, საგულდაგულოდ გამოწყობილი მამაკაცისგან, საღილეში მუდამ მინდვრის ყვავილით, რომელიც აღვიძებდა მასში სანუკვარ მოგონებას იმ სულის სიამეზე, რომელიც ოდესღაც მისი იყო, ხოლო მერე ველარ მიეგნო.

იგი შეიპყრო გრძნობიერებისადმი სიძულვილმა, მოენატრა სიწმინდე და წესიერი, მშვიდი ცხოვრება. ამ დროს კი ხელოვნების ჰაერს ისრუტავდა, რომელიც მარადიული გაზაფხულის ტკბილი და საამო სურნელით იყო გაჟღენთილი, როცა იკვირება, იჩეკება, ახალი სიცოცხლე ჩნდება და იდუმალებით მოცული განცხრომის დრო დგება. სანაცვლოდ კი ყველაფერი ისე წარიმართა, რომ შეუჩერებლივ აშკარა უკიდურესობებს შორის, გაყინულ სულიერებასა და არაქათგამომცლელ გრძნობათა მორევში აქეთ-იქით გადაშვებული, დამქანცველ ცხოვრებას ეწეოდა, ერთობ აღვირაზნნილ, გარყვნილ და უჩვეულო ცხოვრებას, რომელიც მას, ტონიო კრიოგერს, სინამდვილეში სძაგდა. „რაოდენ გზის გადახვევაა! – ასე ფიქრობდა ზოგჯერ, – განა როგორ შეიძლებოდა, ასეთ ახირებულ თავგადასავლებში გავბმულიყავი? მე ხომ ბოშათა ბანაკიდან არა ვარ, ისეთი ოჯახიდან ვარ“...

მაგრამ, რამდენადაც ძალ-ღონე ელეოდა, მით უფრო უმძაფრდებოდა ხელოვნებისადმი ჟინი, უფრო ნატიფი, მომთხროვნი, გამორჩეული, დახვეწილი გახდა, ბანალურის მოძულე და უაღრესად მგრძნობიარე ტაქტისა და გემოვნებისადმი. როცა პირველად წარდგა მკითხველის წინაშე, მისთვის არც აპლოდისმენტებს იშურებდნენ და არც ხმამაღლა სიხარულის გამოხატვას ისინი, ვისაც ხელოვნება მართლა აინტერესებდათ. რადგან ის, რაც მას საჯაროდ გამოჰქონდა,

მართლაც ღირებული იყო და გაჟღენთილი იუმორითა და ადამიანურ ვნებათა ცოდნით. და მალე მისი სახელი, რომელსაც ადრე მასწავლებლები ასე უდიერად წარმოთქვამდნენ, სახელი, რომლითაც კაკლის ხის, შადრევნისა თუ ზღვისადმი მიძღვნილ პირველ, გაუბედავ ლექსებს აწერდა, მისი სამხრეთული და ჩრდილოური ყაიდის ნაზავი ჰანგები, მისი ეგზოტიკური შეფერილობის ბიურგერული სახელი უბრწყინვალესი შემოქმედების სიმბოლოდ იქცა. ამავედროულად გამოცდილებათა მტკივნეულ საფუძვლიანობას იშვიათი, გაუგონრად მედგარი და პატივმოყვარე მუყაითობაც შეენივთა, რაც შემოქმედს მისივე პრეტენზიულ გემოვნებასთან განუწყვეტლივ ჭიდილში ეხმარებოდა მწარე ტანჯვით შეექმნა არაჩვეულებრივი ნაწარმოებები.

იგი სხვებივით მარტოოდენ არსებობისთვის როდი მუშაობდა, არამედ იმათ მსგავსად, ვისაც შრომის მეტი არაფერი სურს. რადგანაც თავის თავს, როგორც ცოცხალ ადამიანს არარაობად მიიჩნევს და მხოლოდ და მხოლოდ შემოქმედად ცნობს. სხვაგვარად გრიმჩამორეცხილი მსახიობივით უსახური და შეუმჩნეველი ივლის, რომელიც არაფერს წარმოადგენს როლის მორგებამდე. იგი მუშაობდა უჩუმრად, კარჩაკეტილად, სხვათათვის შეუმჩნეველად და, ზიზღნარევი განცდით იმ პატარა ადამიანებისადმი, რომელთათვისაც ტალანტი თავმოსაწონებელ სამკაულად ქცეულა, და რომელნიც, ღარიბები თუ მდიდრები, ბობოქარი, დაუცხრომელნი თუ დაკნინებულ-დაჩაჩანაკებულნი, ანდა უჩვეულო ჰალსტუხებით მორთულნი დააბიჯებენ და პირველ ყოვლისა, იმითი ერთობიან, რომ რაც შეიძლება ბედნიერად, საამურად და არტისტულად მოაწყონ თავიანთი ცხოვრება. ის კი არ უწყიან, რომ კარგი ნაწარმოებები მხოლოდ გაუსაძლისი ცხოვრების უღელქვეშ იქმნება, და რომ, ვინც ცხოვრობს, ვერაფერს ქმნის, და რომ უნდა მოკვდე, შემოქმედი, მწერალი რომ გერქვას.

4.

– ხელს ხომ არ შეგიშლით? – იკითხა ტონიო კრიოგერმა სამხატვრო სახელოსნოს ზღურბლიდან. ქუდი ხელში ეჭირა და ოდნავ წელშიც მოიხარა, მიუხედავად იმისა, რომ ლიზავეტა ივანოვნა მისი მეგობარი იყო, რომელსაც ყველაფერს

უყვებოდა.

– ღმერთო კი მომკალი, ტონიო კრიოგერ, თავი დაანებეთ ცერემონიებს და შემოდით! – მიუგო ქალმა მისთვის ჩვეული წყვეტილი ინტონაციით, – ვინ არ იცის, რომ კარგად აღგზარდეს და, მშვენივრად უწყით, სად როგორ უნდა მოიქცეთ, – და ქალმა ფუნჯი მარცხენა ხელში გადაიტანა, რომელშიც პალიტრა ეჭირა, მარჯვენა ხელი კი გაუწოდა და ღიმილით და თავის ქნევით შეაცქერდა.

– ჰო, მაგრამ თქვენ ხომ მუშაობდით, – შეეპასუხა ტონიო, – ერთი შემახედეთ... ო, ძალიან წინ წასულხართ.

ტონიო რიგრიგობით ათვალეობდა მოლბერტის ორივე მხარეს სკამებზე მიყუდებულ ფერად ესკიზებსა და კვადრატულ უჯრებად დაყოფილ დიდ ტილოს, რომელზედაც ნახშირით მოხაზულ ქაოსურ, სქემატურ გამოსახულებებს ფერადი ლაქები ეს-ეს არის დასტყობოდა.

ეს მიუნხენში იყო, შელინგშტრასეზე, ქუჩის ბოლო შენობის მაღალ სართულზე. ჩრდილოეთის მხარეს, ფართო ფანჯრის იქით ლურჯი ცა მოჩანდა, მზის სხივებით ათინათებული და ფრინველთა ჭიკჭიკით ავსებული. გაზაფხულის საამო სუნთქვა იჭრებოდა ღია სარკმელში და ფიქსაცივისა[18] და ზეთის საღებავების სუნს ერეოდა, რომლითაც გაჟღენთილიყო მხატვარი ქალის საკმაოდ მოზრდილი სახელოსნო. ნაშუადღევის ნათელი, ოქროსფერი სხივი შეუფერხებლად ავსებდა სახელოსნოს ცარიელ სივრცეს, მოურიდებლად ანათებდა ოდნავ დაზიანებულ იატაკს, ბოთლებით, ტუბებითა და ფუნჯებით დახვავებულ შეუღებავ მაგიდას ფანჯარასთან და ჩარჩოში ჩაუსმელ ეტიუდებს უშპალერო კედლებზე; ანათებდა გაცრეცილი აბრეშუმის თეჯირს, რომელიც კართან პატარა, მოდურად გაწყობილ საცხოვრებელ და მოსასვენებელ კუთხეს შემოსაზღვრავდა; ანათებდა მოლბერტზე ჯერ დაუმთავრებელ ნახატსა და იქვე მყოფთ მხატვარ ქალსა და მწერალ მამაკაცს.

ქალი ალბათ კრიოგერის ხნისა იქნებოდა, ოცდაათს ოდნავ გადაცილებული. ტაბურეტზე იჯდა საღებავებით დალაქავებული ლურჯწინსაფრიანი კაბით, ნიკაპით ხელს დაყრდნობილი. უკან გაკრული ოდნავ შევერცხლილი, სწორად გადავარცხნილი წაბლისფერი თმა გვერდებზე ნაზ

კულულებად ჩამოშლოდა, საფეთქლებს უფარავდა და თითქოს ჩარჩოში ავარაყებდა მის შავგვრემან, სლავური მოყვანილობის უსაზღვროდ სიმჰათიურ სახეს აპრეზილი ცხვირით, მაღალი ლაწვებითა და შავი, ბღღვრიალა თვალებით. იგი დაძაბული, დაეჭვებული და თითქოს ამრეზილიც ათვალიერებდა თავის ნამუშევრებს...

ტონიო მის გვერდით იდგა, მარჯვენა ხელით დოინჯშემორტყმული მარცხენით წაბლისფერ ულვაშს იწიწკნიდა. დახრილი წარბები პირქუშად და დაძაბულად უთამაშებდა, თან, ჩვეულებისამებრ, თავისთვის რაღაცას უსტვენდა. უაღრესად საგულდაგულოდ და სოლიდურად გამოწყობილიყო ბაც ნაცრისფერ, შესანიშნავად შეკერილ კოსტიუმში. მაგრამ ბევრი შრომითა და ფიქრით დაღარული შუბლი, რომლის ზემოთაც მუქი ფერის თმა სადად და მოხდენილად ჰქონდა გაყოფილი, ნერვიულად უთამაშებდა, სამხრეთული სახის ნაკვთები კი უფრო გამოჰკვეთოდა, თითქოს ვიღაცას მაგარი გრიფელით[19] ხელმეორედ მოეხაზა და უფრო მკაფიოდ გამოესახა, მაშინ როცა პირი ნაზად გამოკვეთილი ჰქონდა და ნიკაპი ნატიფად ჩამოქნილი... ერთხანს ასე იდგა, მერე შუბლსა და თვალებზე ხელი მოისვა და გატრიალდა.

– არ უნდა მოვსულიყავი, – თქვა დანანებით.

– რატომ არ უნდა მოსულიყავით, ტონიო კრიოგერ?! – გაოცდა ლიზავეტა.

– ეს-ეს არის ჩემი სამუშაო მაგიდიდან ავდექი და თავში ზუსტად ის მიტრიალებს, რაც ამ ტილოზეა გამოსახული. ნაწარმოების ჩონჩხი, შესწორებებით აჭრელებული, მქრქალი მონახაზი და ორიოდე ფერადი ლაქა... ჰოდა, მოვდივარ აქ და აქაც იგივე მხვდება. აქაც იმავე კონფლიქტსა და წინააღმდეგობას ვხედავ, – ამ სიტყვებზე ტონიომ ჰაერი ხარბად შეისუნთქა და განაგრძო, – ის აზრი კი, თავში რომ გიტრიალებს, ხედავ, ყველგან აღბეჭდილა. მას ყველგან პოულობ, ზოგჯერ ქარშიც კი იყნოსავ მის სურნელს. ფიქსატივი და გაზაფხულის სურნელი, ასეა, არა? ხელოვნება და, – ის მეორე რაღაა? არ თქვათ, რომ ბუნებაა, ლიზავეტა! ბუნება ხომ ამოუწურავია. ო, არა, სასეირნოდ უნდა წავსულიყავი, თუმცა ეს კიდევ საკითხავია, რამდენად

უკეთესად ვიგრძნობდი მაშინ თავს. ხუთი წუთის წინ, აქვე ახლოს, ჩემს კოლეგას, ნოველისტ ადალბერტს შევხვდი. – „ღმერთმა დასწყევლოს ეს გაზაფხული! – მითხრა მან აგრესიული ტონით, – ის არის და დარჩება კიდევ, წელიწადის ყველაზე ამაფორიაქებელ დროდ! აბა, დაფიქრდით, კრიოგერ, შეგიძლიათ კი გაზაფხულზე რაიმე გონივრულ აზრს იოლად ჩასწვდეთ, შეგიძლიათ კი მშვიდად მოიფიქროთ თუნდაც ყველაზე უმნიშვნელო დეტალი და აწონ-დაწონოთ მისი ზემოქმედება, თუ სისხლი დაუდგრომლად გიჩქროლავს და ის ათასგვარი ამბავი გაღელვებს, რომელნიც როგორც კი გადაამოწმებ, ტრივიალურ და მთლად გამოუსადეგარ ხარახურად შეგრჩება ხელთ? მე თუ მკითხავთ, ახლა სჯობს კაფეში წავიდე. ეს ნეიტრალური ადგილია, რომელზეც წელიწადის დროთა ცვლილებანი საერთოდ არ მოქმედებს. შეიძლება ითქვას, იგი წარმოადგენს განყენებულ და ლიტერატურის უზენაეს სავანეს, სადაც მხოლოდ რჩეული აზრები მოგდის თავში“. და ის ჩემი მეგობარი ნოველისტი მართლაც კაფეში წავიდა. ვინ იცის, იქნებ მეც უნდა გავყოლოდი თან...

ლიზავეტას ართობდა ტონიოს მსჯელობა.

– კარგია, ტონიო კრიოგერ, ძალიან კარგი! როგორც ამბობთ, დაუდგრომელი ჩქროლვა. გარკვეულწილად თქვენი მეგობარი მართალია, რადგან გაზაფხულზე სწორედაც რომ ნაკლებად ხარ განწყობილი საქმისთვის. მაგრამ ყურადღებით შეხედეთ. მიუხედავად გაზაფხულისა, მე მაინც დავასრულებ ჩემს ნახატზე სულ მცირე, უმნიშვნელო დეტალს და შემდეგ ავწონ-დავწონოთ მისი ზემოქმედება, როგორც ადალბერტი ამბობს. მერე კი სასტუმრო ოთახში გადავინაცვლოთ და ჩაი დავლიოთ. თქვენც გულს იჯერებთ ლაპარაკით, რადგან ვხედავ, დღეს საღერღელი აშლილი გაქვთ. მანამდე კი სადმე მოკალათდით, თუნდაც აგერ, იმ ყუთზე, რა თქმა უნდა, თუ თქვენი პატრიციული[20] სამოსი არ შეგებრალებათ...

– შეეშვით ჩემს ტანისამოსს, ლიზავეტა ივანოვნა! ხომ არ გინდათ, რომ დახეული ხავერდის პიჯაკით ან წითელი აბრეშუმის ჟილეტით ვიარო? ხომ იცით, ხელოვანი შინაგანად ისედაც ავანტიურისტია! დალახვროს ეშმაკმა! გარეგნულად ხომ მაინც უნდა გამოიყურებოდე კარგად და ისე იქცეოდე, როგორც პატიოსან კაცს შეშვენის... არა, მე სულაც არა ვარ

დამუხტული, – ეუბნებოდა ტონიო ლიზავეტას და თან უყურებდა, როგორ ურევდა იგი პალიტრაზე საღებავებს, – თქვენ ხომ გესმით, რომ რაც მე ამეკვიატა და მუშაობაში ხელს მიშლის, მხოლოდ დილემა და გადაუჭრელი წინააღმდეგობაა... და რაზე ვლაპარაკობდით ახლახან? ნოველისტ ადალბერტზე და იმაზე, თუ რამდენად ამაყი და მტკიცე ადამიანია იგი. „გაზაფხული წელიწადის ყველაზე ამაფორიაქებელი დროა“, – თქვა და შვების საძიებლად კაფეს მიაშურა. ამ დროს, მთავარია, იცოდე, რა გინდა, არა? შეხედეთ, მეც ნერვებს მიშლის გაზაფხული, მაგიჟებს და თავგზას მიბნევს მოგონებებისა და შეგრძნებათა საამური ტრივიალოებით, რომელსაც ჩემში აღვიძებს; მაგრამ, მარტო იმისთვის, რომ ვერ მოვირგე ეს გაზაფხული, ვლანძლო და შევიძულო იგი?! საქმე ის არის, რომ მე მისი რიდი მაქვს, მოკრძალებით ვარ მისი უმანკო ბუნებრიობისა და მჯობთა მჯობი სიყმაწვილისადმი. არ ვიცი, ადალბერტისა უნდა მშურდეს თუ ნაკლებად უნდა ვაფასებდე იმისთვის, რომ ამის შესახებ არაფერი იცის...

– ცხადია, გაზაფხულზე ცუდად მუშაობს კაცი, – განაგრძობდა ტონიო, – და რატომ? იმიტომ, რომ შეგრძნება აქვს გამძაფრებული. და მხოლოდ მიამიტს ჰგონია, რომ შემოქმედს უფლება აქვს განიცდიდეს. ყოველ ჭეშმარიტ და პატიოსან ხელოვანს გაელიმება სულელური ცდომილების ამ გულუბრყვილობაზე. ალბათ სევდიანად, მაგრამ უთუოდ გაელიმება. ეს, როგორც ამბობენ, შეუძლებელია იყოს ძირითადი, რადგან შესაძლოა თავისთავად არაფრისმთქმელ მასალას წარმოადგენდეს, რომელზედაც ხელოვანი მაღლდება და ძალდაუტანებლად და ლაღად ქმნის ხელოვნების ნაწარმოებს. თუ რისი თქმაც გინდა, შენთვის ბევრს ნიშნავს და გულანთებულებს ხარ ამისთვის, მაშინ ჩათვალე, რომ სრული მარცხი გაქვს გარანტირებული. თქვენ იქნებით პათეტიკური, სენტიმენტალური, ცოტათი მძიმე, მოუქნელ-სერიოზული, თავშეუკავებელი, დაუდგრომელი, ირონიას მოკლებული და უმარილო, მოსაწყენი, ბანალური... მკითხველები თქვენს ნაწარმოებს გულგრილად შეხვდებიან, თქვენ კი ეს მხოლოდ გულს აგიცრუებთ და გატკენთ... რადგან, ასე არ არის, ლიზავეტა? გულთბილი გრძნობა ყოველთვის ბანალური და უსარგებლოა, არტისტულია მხოლოდ შელახული, ნერვიული გამოვლინებანი და დამცხრალი ექსტაზი. საჭიროა, რომ რაღაც იყოს ადამიანს მიღმა და ზეადამიანური, რათა

ადამიანურისადმი ასე უჩვეულოდ შორეული და მიუკერძოებელი პოზიცია დაიჭირო, რომ შეეცადო და საერთოდაც შეძლო თამაში, გაათამაშო, ზემოქმედების მქონე გახადო და გემოვნებით წარმოსახო. სტილის, ფორმის ალლო და გამოხატვის უნარი უკვე თავისთავად წანამძღვარია ამ ცივი და წუნია დამოკიდებულებისა ადამიანურისადმი, დიან, ეს განლავთ ადამიანურ ფასეულობათა გაღარიბება და დაცარიელება, ვინაიდან ჯანსაღი და ძლიერი გრძნობა, შევთანხმდეთ, გემოვნებასაა მოკლებული. დამთავრებულია ხელოვანის საქმე, თუკი ის გაადამიანურდა და შეგრძნება გაუჩნდა. ეს იცოდა ადალბერტმა და იმიტომაც მიაშურა კაფეს, ამ „განყენებულ სავანეს“!

– ჰოდა, ღმერთმა ხელი მოუმართოს, – წამოიძახა ლიზავეტამ და თან ხელებს სპილენძის ტაშტში იბანდა, – განა რაში გჭირდებათ, რომ გაჰყვეთ?

– არა, ლიზავეტა, არ გავყვები, და მხოლოდ იმიტომ, რომ გაზაფხული ასე თუ ისე მაიძულებს ოდნავ მაინც შემრცხვეს საკუთარი მწერლობისა. ნახეთ, დროდადრო ვიღებ უცხო ადამიანებისგან ქებისა და მადლობის წერილებს, აღფრთოვანებით აღსავსე ბარათებს ჩემს პუბლიკაციებზე. ვკითხულობ მათ და ავლელვებულვარ კიდეც თბილი, უმწეო ადამიანური გრძნობის გამო, რომ ჩემმა ხელოვნებამ მათზე ზემოქმედება მოახდინა, გარკვეულწილად თანაგრძნობა მეუფლება იმ მიამიტური აღტაცებისადმი, რაც მათი ნაწერებიდან გამოსჰვივის და ვწითლდები, როცა ვფიქრობ, თუ როგორ შეცბებოდა ეს წესიერი, გულუბრყვილო მკითხველი, კულისებში რომ შემოეხედა და აღეჰვა, რომ მართალი, ჯანსაღი და პატიოსანი კაცი საერთოდაც არ წერს, არ გაგაცურებს, არც მუსიკალურ ნაწარმოებს ქმნის... განა, რა მიშლის იმაში ხელს, რომ ჩემი გენიის დასტურად გამომეყენებინა მკითხველის აღტაცება, რათა სტიმული მქონოდა, უფრო გავძლიერებულიყავი და თან მეტიმეტად სერიოზულად მიმელო, გავბლენძილიყავი და სახე მაიმუნივით დამემანჭა, უფრო სწორად, იმ კაცივით, ვისაც თავი დიდ ადამიანად წარმოუდგენია... ოჰ, ნუ შემეპასუხებით, ლიზავეტა! გამოგიტყდებით, ზოგჯერ დაღლილობისგან როგორ გავსავათებულვარ, როცა ვცდილობ, ადამიანური გამოვხატო ისე, რომ არანაირად არ თავსდებოდეს ადამიანურში... საერთოდ, კაცია ხელოვანი? ამის შესახებ ქალს უნდა

დავეკითხოთ! მე მგონია, რომ ჩვენ, ხელოვანი ხალხი, ყველანი პაპის პრეპარირებული მგალობლების ხვედრს ვიზიარებთ... ჩვენც უაღრესად ამაღელვებლად ვგალობთ. თუმცა...

– ცოტათი უნდა გრცხვენოდეთ, ტონიო კრიოგერ! მოდი, ჩაი დავლიოთ. წყალი მალე ადუღდება და აგერ, პაპიროსიც. საუბარი მამაკაცის სოპრანოზე შეწყვიტეთ და შემდეგ გააგრძელეთ. ისე, უნდა გრცხვენოდეთ. მე რომ არ ვიცოდე, როგორი თავგანწირვით ეძლევით თქვენს პროფესიას...

– პროფესიაზე არაფერი თქვათ, ლიზავეტა! გეცოდინებათ, ლიტერატურა პროფესია კი არა, წყევლაა! და როდის იწყება ამის შეგრძნება? ადრიანად, საშინლად ადრიანად! იმ დროს, როცა ღმერთთან და სამყაროსთან თანხმობასა და თანახმიანობაში შეხმატკბილებულად ცხოვრება ძნელი არ არის. შენ, ნიშანდებული, გამოუცნობ წინააღმდეგობაში ხარ სხვებთან, ჩვეულებრივებთან, მოწესრიგებულებთან; იწყება ირონიის, უნდობლობის, პროტესტის, შემეცნების, გაცნობიერების უფსკრული, რომელიც სხვებისგან გამოგაცალკევებს და ეს უფსკრული თანდათანობით სულ უფრო ღრმავდება და ღრმავდება. თანაც ისე, რომ ადამიანური ურთიერთგაგება ისპობა და მარტო რჩები. რა საშინელი ხვედრია! აშკარაა, გული იმდენად გამოცოცხლებული, სიყვარულით აღსავსეა ისევ იმისთვის, რომ შეიგრძნოს, თუ რა საშინელებაა ეს!.. თავდაჯერებულობა მოიმატებს, რადგან ათასობით ადამიანში გამოარჩევ შუბლზე დაღს, რომელიც არავის გამოეპარება. მე ვიცნობდი ერთ უაღრესად ნიჭიერ მსახიობს, რომელიც, როგორც ადამიანი ებრძოდა თავის ავადმყოფურ მიკერძოებულობასა და არამდგრადობას. როლის, სცენური ამოცანების არქონასთან ერთად მისი მოჭარბებული მე-ს შეგრძნება ზემოქმედებას ახდენდა ამ სრულყოფილ ხელოვანსა და უბადრუკ ადამიანზე... ხელოვანს, ნამდვილ ხელოვანს და არა ისეთს, რომლის მოქალაქეობრივი მოწოდებაა ხელოვნება, არამედ წინასწარდადგენილსა და დაწყევლილს, გამორჩეულსა და მსხვერპლს ცოტაოდენი მახვილი თვალითაც კი გამოარჩევთ ადამიანთა ფართო ჯგუფიდან. მის სახეს ერთბაშად ატყვია განცალკევებულობისა და გამორჩეულობის ნიშანი, რისი გამოცნობა თუ შემჩნევა არც ისე რთულია. მის სახეზე ერთდროულად მეფურიცაა და მოკრძალებულიც. რაღაც მსგავსს ამოიკითხავ ასევე რომელიმე თავადის სახეზე, როცა იგი რიგითი მოქალაქის ტანსაცმელში გამოწყობილი ხალხის

ტალღაში მოყვება. მაგრამ აქ არანაირი სამოქალაქო ტანსაცმელი არ შველის, ლიზავეტა! გადაიცვით, შეინიღბეთ, გააცურეთ, გამოეწყვეთ ატაშეს ან შვებულებაში მყოფი გვარდიის ლეიტენანტის ფორმაში: თვალის გახელა და ხმის ამოღებაც კი არ არის საჭირო, ისედაც ყველა ხვდება, რომ თქვენ ადამიანი არა ხართ, არამედ ვიღაცა უცხო, უცნაური, სხვა...

კი მაგრამ, რა არის ხელოვანი? არც ერთი შეკითხვისადმი არ გამოუჩენია ინერტული ცნობიერებისა და სიმშვიდის მოყვარულ კაცობრიობას ისეთი სიმტკიცე, როგორც ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას. „ღვთით მომადლებული ნიჭი“ – ამბობენ მოკრძალებით კეთილი ადამიანები, რომლებიც რომელიმე ხელოვანის ზემოქმედებას განიცდიან და რადგან საამურ და ამაღლებულ ზეგავლენას, მათი გულუბრყვილო წარმოდგენით, უპირობოდ ასეთივე საამური და ამაღლებული საწყისი უნდა ჰქონდეს, ამდენად, ეჭვი არავის შეაქვს იმაში, რომ შეიძლება აქ საქმე ენებოდეს კარგად შენიღბულ, ძალზე საეჭვო ნიჭს... ყველამ იცის, რომ ხელოვანები იოლად განაწყენდებიან, და ასევე ყველამ იცის, რომ კეთილსინდისიერ ხალხს და ისეთებს, რომელთაც მყარად აქვთ გამჯდარი თავიანთი ღირსების გრძნობა, ეს არ ახასიათებთ... ჩაიხედეთ ლიზავეტა, ჩემი გულის სიღრმეში – სულში, მე ხელოვანის ტიპს ისევე ეჭვით ვუცქერი, როგორი ეჭვითაც შეხედავდნენ ჩემი დარბაისელი წინაპრები იქ, ჩრდილოეთში, იმ ძველ, ვიწროქუჩებიან ქალაქში, თავიანთ სახლში შემთხვევით მოხვედრილ მოხეტიალე მსახიობსა თუ ილუზიონისტს. აი, კიდევ რა მინდა ვთქვა: მე ვიცნობ ერთ ბანკირს, საქმიან კაცს შევერცხლილი თმით, რომელსაც ნოველების წერის ნიჭი აქვს. იგი ამ ნიჭს მთელ თავისუფალ დროს უთმობს და მართლაც, გამორჩეულია მისი ნაწერები. და, მიუხედავად ამისა, მე ხაზგასმით ვამბობ სიტყვას მიუხედავად! დიან, მიუხედავად ამ მიდრეკილებისა, ეს კაცი მთლად უბიწო როდია! პირიქით, მან უკვე თავის თავზე იწვნია თავისუფლების აღკვეთის სასჯელი, და თანაც, არცთუ ისე უსაფუძვლოდ. დიან, მან პირველად ციხეში შეიყვანა, წერის ნიჭი რომ ჰქონდა და მის ყველა ნაწარმოებში ძირითად მოტივად პატიმრის გამოცდილება იქცა. აქედან თამამად შეიძლება დავასკვნათ, თითქოს საჭიროა რომელიმე სახის გამასწორებელ დაწესებულებაში ყოფნა იმისთვის, მწერალი რომ გახდეს. მაგრამ, განა ეჭვი არ აღიძვრება, რომ მისი საპატიმროს

თავგადასავალი გაცილებით ნაკლებადაა შეზრდილი შემოქმედების ფესვებსა და სათავეებთან, ვიდრე წინა პირობა, რომელმაც ციხეში მიიყვანა? ბანკირი, რომელიც ნოველებს წერს, იშვიათობაა, არა? მაგრამ საერთოდ არ არსებობს არაკრიმინალი, პათოსანი და დარბაისელი ბანკირი, რომელიც ნოველებს წერს... დიახ, თქვენ ახლა გეცინებათ, და მეც სანახევროდ ვხუმრობ, რადგან, მთელ ქვეყნიერებაზე არაფერი, არც ერთი პრობლემა არ არის უფრო მტანჯველი, ვიდრე პრობლემა მხატვრული შემოქმედებისა და მისი შემოქმედებისა. აიღეთ ხელოვანის ყველაზე ტიპური, გასაოცრად ემოციური ქმნილება, ისეთი ავადმყოფური და ძალზე ორაზროვანი ნაწარმოები, როგორცაა „ტრისტანი და იზოლდა“ [21] და დააკვირდით მის შემოქმედებას ახალგაზრდა, ჯანსაღ, ძლიერ, ნორმალური აღქმის ადამიანებზე. თქვენ დაინახავთ ამაღლებულ, ძლიერ, თბილ, მართებულ აღფრთოვანებას, სტიმულსაც კი, საკუთარი „მხატვრული შემოქმედებისთვის“... აი, კარგი დილექტანტი! ჩვენში, ხელოვანებში ეს სულ სხვაგვარად ხდება, ვიდრე ვინმეს „თბილი გულითა“ და „ალალი ენთუზიაზმით“ შეიძლება დაესიზმროს. ბევრი ხელოვანი მინახავს თაყვანისმცემლებით, მათ შორის ქალებითა და ყმაწვილებით გარშემორტყმული და მაშინ, მათ შესახებ რაღა არ ვიცოდი... რაც შეეხება მხატვრულ შემოქმედებას, მის წარმომავლობას, მის თანამდევ მოვლენებსა და პირობებს, მუდამ ახალ და გასაოცარ აღმოჩენებს ვახდენთ...

– მაპატიეთ, ტონიო კრიოგერ, მაგრამ მხოლოდ სხვებში ახდენთ ასეთ აღმოჩენებს, თუ არა მხოლოდ სხვებში?

ტონიო გაჩუმდა. დახრილი, ხშირი წარბები შეჭმუხნა და სტვენა დაიწყო.

– გთხოვთ, ტონიო, თქვენი ფინჯანი მომაწოდეთ, მაგარი ჩაი არ არის. და, აჰა, ახალი სიგარეტი აიღეთ. სხვათა შორის, თქვენ მშვენივრად იცით, რომ სრულებითაც არ არის აუცილებელი, საგნებს ისე უყურებდეთ, როგორც თქვენ...

– ეს ჰორაციოს პასუხს ჰგავს, ძვირფასო ლიზავეტა. მაშასადამე, საგნებს ზედმიწევნით ჩავუღრმავდეთ, არა?

– მე ვამბობ, რომ მათი დანახვა სხვა კუთხითაც შეიძლება, თანაც სწორად, ტონიო კრიოგერ. მე იქნებ ერთი ჰკუამოკლე

მხატვარი ქალი ვარ, მაგრამ გეჰასუხებით, რათა თქვენივე აზრებისგან დაგიცვათ. იმიტომ კი არა, რაიმე ახალი გითხრათ! არა, არამედ შეგახსენოთ, რაც უთუოდ თვითონაც კარგად იცით... აი, რისი შეხსენება მინდა: ლიტერატურის წმინდა, განმკურნავი ზემოქმედება; შემეცნებისა და სიტყვის მეშვეობით ვნებათაღელვის დაცხრომა; ლიტერატურა, როგორც ურთიერთგაგების, მიტევების გზა სიყვარულისკენ; ენის, როგორც მხსნელის ძალა; ლიტერატურული გონი, როგორც უკეთილშობილესი გამოვლინება ადამიანთა სულისა; და ლიტერატორი, როგორც წმინდანი, სრულყოფილი ადამიანი... განა საგნების ასე დანახვა არ ნიშნავს მათ ზედმიწევნით აღქმას?

– უფლება გაქვთ ასე ილაპარაკოთ, ლიზავეტა ივანოვნა, და თუნდაც თქვენი მწერლების შემოქმედების გადმოსახედიდან, თაყვანისცემის ღირსია რუსული ლიტერატურა, რომელიც მართლაც წმინდა ლიტერატურას წარმოადგენს, და რომელზეც თქვენ ასე გატაცებით ლაპარაკობთ. მაგრამ თქვენი შენიშვნები მხედველობიდან არ გამომრჩენია, პირიქით, მე ისინი დღესაც თავში მიტრიალებს... შემომხედეთ, არცთუ ისე მხიარულად გამოვიყურები, არა? ცოტათი მობერებული, გამხდარი და გადაღლილი, ასე არ არის? ჰოდა, ისევ შემეცნებაზე საუბარს რომ დავუბრუნდეთ, შეიძლება წარმოვიდგინოთ ადამიანი, რომელიც თავდაჯერებული, უწყინარი, კეთილმოსურნე და სენტიმენტალური სახით გამოდის შინიდან, მაგრამ ფსიქოლოგიური ნათელხილვის წყალობით წამში ილაჯი გაუწყდეს და ბოლო მოეღოს. უნდა მსოფლიოს სევდა დასძლიო, ყველაფერს დაუკვირდე, შენიშნო, გაუძლო სატანჯველსაც კი და მაინც კარგ ადამიანად დარჩე. თავი იწუგე იმით, რომ ზნეობრივად ამაღლებულხარ იმ საზიზღრობაზე, რასაც ყოფიერება ჰქვია! დიახ, აბა, რა! თუმცა, ზოგჯერ იქამდე მიხვალ, რომ მეტი აღარ შეგიძლია, მიუხედავად თვითგამონატვით მიღებული სიამოვნებისა. და, განა ყველაფრის გაგება მიტევებას ნიშნავს? არ ვიცი. არის რაღაც, რასაც მე შემეცნებით აღძრულ ზიზღს ვუწოდებ, ლიზავეტა: ეს ის მდგომარეობაა, როდესაც ადამიანს ჰყოფნის ძალა, ერთი რამ გააცნობიეროს, რომ მომაკვდინებელი ზიზღით განიმსჭვალოს (და არა შემრიგებლურად განეწყოს). ესაა ჰამლეტის შემთხვევა, დანიის პრინცისა, ამ ლიტერატურული ტიპისა. მან იცოდა, რა არის ლტოლვა შემეცნებისადმი, თუმცა

ამისთვის როდი იყო მოვლენილი. წინასწარგანჭვრეტა გრძობამორეული აცრემლებული თვალებით, შემეცნება, მონიშვნა, დაკვირვება და ზოგჯერ დაკვირვების შედეგად მოძიებულის ღიმილით გვერდზე გადადება თვით ისეთ წუთებშიც კი, როდესაც შენი ხელები სხვისას ეჭდობა, ტუჩები ტუჩებს პოულობს, როცა ადამიანს ვნებათაღელვისგან თვალი ებინდება, ვერაფერს ხედავს... ეს საშინელებაა, ლიზავეტა, ეს დამამცირებელია, აღმაშფოთებელია... მაგრამ რამეს შველის აღშფოთება?

არანაკლებ მნიშვნელოვანი მხარეა ქედმაღლობა, გულგრილობა და გადაღლილობა, ირონიული დამოკიდებულება ყოველგვარი ჭეშმარიტისადმი, ვინაიდან ფაქტია, რომ მსოფლიოში არსად მოიძებნებიან აგრერიგად დამუნჯებულნი და იმედგადაწურულნი, როგორც გონიერ, ჭკუამახვილ ადამიანთა წრეში, რომლებმაც ყველაფერს მოუსინჯეს კბილი და ყველაფერი იწვნიეს. მათთვის ყველანაირი შემეცნება უკვე განცდილი და მოყირჭებულია. რაიმე ჭეშმარიტების მტკიცებისას, რომლის მოძიებასა და გააზრებას შესაძლოა მთელი ახალგაზრდობის წლები შეაღიეთ, მათგან ამოთქმულ ერთადერთ პასუხად ორდინარული „ჰმ“ მიიღოთ... დიახ, ლიტერატურა დამღლეელია, ლიზავეტა! გარწმუნებთ, შეიძლება ისეც მოხდეს, რომ საზოგადოებაში ვინმემ გონებაშეზღუდულად ჩაგთვალოს მხოლოდ სკეპტიციზმისა და გულჩათხრობილობის გამო, მაშინ როდესაც მხოლოდ ქედმაღალი, ამაყი, ხალისდაკარგული და გაუცხოებული ხარ... ეს, რაც შეეხება „შემეცნებას“. ხოლო რაც შეეხება „სიტყვას“, მას იმდენად შვება არ მოაქვს, რამდენადაც უფრო გრძობის გაცივება, რომელსაც გასაცივებლად თითქოს ყინულზე დებენ! და, მართლაც, ყინულივით ცივი და აღმაშფოთებლად თავხედური საქმეა ლიტერატურული ენის მეშვეობით ნაჩქარევად და ზედაპირულად ბოლო მოულო გრძობას. თუ სავსე გული გაქვთ, მთლიანად ხართ შეპყრობილი ტკბილი და ამღლებული განცდებით. მერედა რა, არაფერია ამაზე მარტივი! თქვენ მიდინართ ლიტერატორთან და იგი უმოკლეს ვადაში მოგიწესრიგებთ ყველაფერს. ლიტერატორი გააანალიზებს თქვენს შემთხვევებს და ზუსტი სიტყვებით ჩამოგიყალიბებთ, როგორ გამოითქვას და გამოიხატოს აზრი, მთელ საქმეებს მოგიგვარებთ და მათდამი გულგრილს გაგხდით, თანაც, საზღაურად მაღლობაც კი არ სჭირდება. თქვენ კი

შემსუბუქებული, საქმეში გარკვეული და გულგაცივებული მიემართებით შინისკენ და გაოცებთ, რამ დააცხრო თქვენს საქმესთან დაკავშირებული ვნებათაღელვა. და, ამის შემდეგ, მაინც გინდათ, მართლა გამოექომაგოთ ამგვარ ცივ და პატივმოყვარე თაღლითს? მისი სჯულის მცნება შეგვაგონებს – ითქვა და გათავდა. მთელი სამყარო თუ გამოითქვა, მაშინ ის მორჩა, გათავდა, აღესრულა, ცხონდა... ძალიან კარგი! თუმცა, მე ნიჰილისტი არა ვარ...

– თქვენ არა, – უთხრა ლიზავეტამ... ქალს ის-ის იყო ჩაის კოვზი პირთან უნდა მიეტანა, რომ ამ ჰოზაშივე გახევდა.

– დიანაც... დიანაც... მერწმუნეთ, ლიზავეტა! კიდევ ვიმეორებ, არა ვარ ნიჰილისტი, როდესაც საქმე ცოცხალ, ცხოველმყოფელ გრძნობას ეხება. ლიტერატორი ძირითადად ვერ ხვდება, რომ ცხოვრება კიდევ შეიძლება გაგრძელდეს და მას არ რცხვენია, რომ ცოცხლობს, მიუხედავად იმისა, რომ უკვე გამოითქვა და აღესრულა. მართალია, ლიტერატურის მეშვეობით განწმენდა ხდება, მაგრამ, შეხედეთ, ცხოვრება ისევ და ისევ სცოდავს, რადგან უმაღლესი გონის თვალში ყველა ქმედება ცოდვაა...

უკვე ახლოს ვარ მიზანთან, ლიზავეტა. ყური დამიგდეთ. მე მიყვარს ცხოვრება, – ეს აღიარებაა. მიიღეთ, შეინარჩუნეთ, გაუფრთხილდით. მე ჯერ ეს არავისთვის მითქვამს. ბევრი ამბობდა, წერდა, ბეჭდავდნენ კიდევ ჟურნალ-გაზეთებში, რომ მე მძულს ან მეშინია ცხოვრების, ან პატივს არ ვცემ, ან მეზიზღება. მე ამას სიამოვნებით ვისმენდი, სადღაც თავიც მომქონდა ამით; ამიტომ აქ ნაკლები სიყალბე როდია. მე მიყვარს ცხოვრება... თქვენ გელიმებათ, ლიზავეტა და ვხვდები, რატომაც. მაგრამ, რასაც ახლა გეტყვით გაფიცებთ, ლიტერატურას არ დაუკავშიროთ! არ გაიხსენოთ ჩეზარე ბორჯია[22] ან რომელიმე ნაბახუსევი ფილოსოფოსი, რომელიც მას ხოტბას შეასხამს. იგი ჩემთვის არაფერს ნიშნავს, ჩეზარე ბორჯიას არაფრად ვაგდებ და ვერც ვერასოდეს მივხვდები, თუ რატომ და როგორ შეიძლებოდა ყოვლად უწესოსა და დემონურის იდეალად მიჩნევა. არა, „ცხოვრება“ მუდმივ დაპირისპირებაშია გონსა და ხელოვნებასთან და არა მანკიერ სიდიადესა და ველური სილამაზის ზმანებასთან; არც უჩვეულოა, როგორც ჩვენ, მოკვდავთ წარმოგვიდგენია. ცხოვრება ჩვეულებრივია, წესიერი, საამური, როგორიც ჩვენი მისწრაფებების საუფლო თავისი მაცდუნებელი

ბანალურობით! ის არ არის ხელოვანი, ჩემო ძვირფასო, ვისი ოცნებაც რაფინირებულია, ექსცენტრიკული და დემონური, ვინც არ იცის სიმშვიდის, სისადავისა და სიცოცხლის მონატრება, გარკვეულწილად მეგობრობის, თავგანწირვის, სანდოობისა და საერთოდ, ადამიანური ბედნიერების ფასი, მონატრების ფარული და მწველი ნაღველი. დიახ, ლიზავეტა, ვისაც არ გაეგება ჩვეულებრივის, ყოველდღიურობის ფუფუნება!.. ადამიანი მეგობარი! დამიჯერეთ, განა სიამაყით არ ამავსებდა და ბედნიერს არ გამხდიდა ადამიანთა შორის მეგობარი რომ მყოლოდა? მაგრამ აქამდე მხოლოდ დემონთა, ალქაჯთა, ურჩხულთა და ჩლოუნგთა აჩრდილებს ვაწყდებოდით. აი, რას ნიშნავს ლიტერატორთა შორის – მეგობარი.

ხანგამოშვებით მიხდება რომელიმე დარბაზში ჩემს მოსასმენად მოსულთა წინაშე კათედრაზე დგომა, და წარმოგიდგენიათ, რას ვაკეთებ? საკუთარ თავს ვიჭერ, რომ პუბლიკას გადავხედავ თუ არა, შეფარვით ვსწავლობ აუდიტორიას და ვფიქრობ, ეს ვინ არის, ჩემთან რომ მოვიდა, ვისი ტაშისცემა და მადლობაც დავიმსახურე და ვისთანაც ჩემს ხელოვნებასთან ერთად იდეალურად გავმთლიანდი... და იმას, რასაც თვალით ვეძებ, ვერ ვპოულობ, ლიზავეტა! ჩემ წინაშეა სამწყსო, მრევლი, რომელსაც ძალიან კარგად ვიცნობ, ეს არის პირველ ქრისტიანთა საკრებულოს მსგავსი რამ: მოუქნელი სხეულისა და ფაქიზი სულის ადამიანები, ადამიანები, რომლებიც შენთვის, ასე ვთქვათ, თავს დადებენ. მათ ჩემი ესმით და მათთვის პოეზია ცხოვრებაზე შურისძიების სიტკბოა. მოდიან ყოვლად გატანჯულნი და ნაღველით აღსავსენი და საბრალონი და არასოდეს მინახავს და არასოდეს შემხვედრია მათ შორის სხვა, მაგალითად, ის ცისფერთვალეებიანი, ლიზავეტა, ისეთები, რომელთათვისაც სულიერი საზრდო ზედმეტია!..

დავიჯერო, ეს კანონზომიერების სავალალო გამონაკლისი, სხვანაირად რომ ყოფილიყო, გაგვიხარდებოდა? უაზრობაა, ცხოვრება გიყვარდეს და მაინც გინდოდეს ხელოვნებას დაეწაფო, მის შენკენ გადმობირებას ლამობდე, მუწუკიანთა და მელანქოლიით შეპყრობილთათვის, მთელი დაავადებული არისტოკრატიისთვის ლიტერატურას ქმნიდე. ხელოვნების საუფლო იზრდება, ხოლო ჯანსაღთა და არაბრალებულთა რიცხვი კლებულობს. და, რაც ამას გადაურჩა, უნდა სათუთად დაკონსერვდეს. ის ადამიანები, ვისაც ცხენებზე წიგნების

წაკითხვა და ცხენების მომენტური სურათების დათვალიერება ურჩევნია, არ უნდა ვაცდუნოთ პოეზიით!

დაბოლოს, ისმება კითხვა, – ამქვეყნად არსებობს უფრო უბადრუკი ნაბიჯი, ვიდრე ხელოვნებაში ძალების მოსინჯვა? ჩვენ, ხელოვანებს, არავინ გვეჯავრება ისე ძლიერ, როგორც დილეთანტი. ის ცოცხალი არსება, რომელსაც სჯერა, რომ ერთხელაც, თავის ძირითად პროფესიასთან ერთად, დამატებით შემთხვევას იყენებს იმისთვის, რომ ხელოვანიც შეიძლება გახდეს. მე გარწმუნებთ, ასეთი სახის ზიზღი თავად უკვე განმიცდია ცხოვრებაში. ერთხელაც, ერთ კარგ სახლში შევხვდი საზოგადოებას. ვჭამეთ, დავლიეთ და ვიმუსაიფეთ, ერთმანეთის შესანიშნავად გვესმოდა, მეც ვმხიარულობდი და მადლიერებით ვიყავი აღვსილი, რომ ერთხანს უწყინარ და წესების დამცველ ადამიანებთან შემეძლო გავთქვეფილიყავი. უეცრად წამოდგა ერთი ოფიცერი (ეს ჩემი თანდასწრებით მოხდა), ლეიტენანტი, მომხიბლავი და ჯანსაღი აღნაგობის, რომელზეც ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ თავისი მუნდირისთვის უღირს საქციელს ჩაიდენდა.. და, აგერ, ყოველგვარი ორაზროვანი სიტყვების გარეშე ითხოვს ნებართვას, რათა თავისი შეკოწიწებული რამდენიმე ტაეპი წაიკითხოს. დამსწრეთა გამოგნებელი ღიმილით იღებს ის ნებართვაზე დასტურს და ჩანაფიქრის შესასრულებლად შარვლის ჯიბეში საგულდაგულოდ შენახული ქალაქის ფურცლიდან თავისი ხელოვნების ნიმუშის ხმამაღლა წაკითხვას იწყებს, რაღაც ნაბოდვარს მუსიკასა და სიყვარულზე! მოკლედ, ეს იყო ისეთივე „ღრმად“ განცდილი, როგორიც „უდიდესი“ ზემოქმედების მომხდენი! ახლა კი ყურადღებას ვითხოვ: ნახეთ, ლეიტენანტი! სამყაროს მეუფე! მას ხომ მართლაც არაფერში სჭირდებოდა ასეთი რამ!.. და აი, ამას მოჰყვა ის, რაც უნდა მოჰყოლოდა: მოულოდნელობისგან სახეების დაგრძელება, გახევება, რამდენიმე ნაძალადევი ტაში და არასასიამოვნო განწყობილება ირგვლივ. პირველი სულიერი განცდა, რაც დამეუფლა, თავი თანამონაწილედ ვიგრძენი დაბნეულობაში, რომელიც ამ წინდაუხედავმა ახალგაზრდა კაცმა წვეულებაზე შემოიტანა. და ვინაიდან ჩემს ხელობაში თაღლითურად ჩაყო თავი, საზოგადოებისგან მეც დამცინავი და უკეთური მზერა მომხვდა. ხოლო მეორე იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი, რომლისადმიც დიდი პატივისცემით ვიყავი გამსჭვალული, უცბად ჩემს თვალში დაეცა და მერე როგორ!..

მისადმი თანაგრძნობამ შემიპყრო. მივუახლოვდი, რამდენიმე გულკეთილ და სულგრძელ ბატონთან ერთად, და გამოველაპარაკე. „გილოცავთ, ჰერ ლიტენანტო! რა ნიჭიერი ყოფილხართ! არა, ეს მართლაც საუცხოო იყო!“ – ვუთხარი, და ცოტალა მაკლდა, მხარზე დამერტყა ხელი. მაგრამ თანაგრძნობა განა ის განცდაა, რაც საზოგადოებას უნდა გამოეჩინა ლეიტენანტისადმი?.. ვისი ბრალია?! ჰოდა, იდგა იქ და დარცხვენილი იწვნევდა თავის შეცდომას – უფლება რომ მისცა თავს, ხელოვნების დაფნის ხიდან სიცოცხლის გაღების გარეშე ჩამოეწყვიტა ის ერთადერთი ფოთოლი. არა, ისევ ჩემი კოლეგა, კრიმინალი ბანკირი მირჩევნია. მაგრამ, ვერ ამჩნევთ, ლიზავეტა, რომ დღეს ჰამლეტისეულმა ენამჭევრობამ გამიტაცა?

– მორჩით, ტონიო კრიოგერ?

– ჯერ არა, მაგრამ უკვე მეტს აღარაფერს ვიტყვი.

– ისედაც საკმარისია. გაინტერესებთ ჩემი პასუხი?

– გაქვთ კი პასუხი?

– მგონი, კი! მე თავიდან ბოლომდე ყურადღებით გისმენდით, ტონიო, და ახლა ყველაფერზე, რაც თქვენ დღეს ნაშუადღევს აქ ილაპარაკეთ, მინდა ერთად გაგცეთ პასუხი და ეს იქნება იმ პრობლემის გადაჭრა, რომელიც ასე გაღელვებთ. მაშ, ასე! პრობლემის გადაჭრაა ის, რომ თქვენ, აი, აგერ როგორც მანდ ზინხართ, უბრალოდ ბიურგერი ხართ.

– მართლა? – ჩაილაპარაკა ტონიომ და თავი ჩაქინდრა...

– მაგრად მოგხვდათ გულში, არა? და ასეც უნდა იყოს! ამიტომაც მინდა, განაჩენი შევარბილო, ეს შემიძლია. თქვენ ხართ ბიურგერი, გზასაცდენილი, ტონიო კრიოგერ! ერთი თავგზააბნეული, დაბნეული ბიურგერი.

კარგა ხანს არც ერთი მათგანი არ იღებდა ხმას. მერე ტონიო წამოიჭრა და თავის ქუდსა და ჯოხს დაავლო ხელი.

– მადლობელი ვარ, ლიზავეტა ივანოვნა! ახლა მშვიდად შემიძლია წავიდე შინ. სათქმელი ამოვწურე!

5.

შემოდგომის პირზე ტონიო კრიოგერმა ელიზავეტა ივანოვნას უთხრა:

– ჰო, ახლა, სამოგზაუროდ მივდივარ, ლიზავეტა, ცოტა გული მინდა გადავაცოლო, შორს წავალ, სივრცე მომენატრა.

– როგორ, ბატყუშკა,[23] ისევ იტალიაში მიემგზავრებით?!

– ღმერთო, იტალიას ნუ გამახსენებთ, ლიზავეტა! იტალია დიდი ხანია მომბეზრდა. გავიდა დრო, როცა მიმაჩნდა, რომ მას ვეკუთვნი და მის გარეშე ვერ გავძლებდი. ხელოვნების ქვეყანა, ასეა არა? ხავერდოვანი ცისფერი ცა, ღვინო, რომელიც სისხლს გიჩქროლებს და სანეტარო გრძნობიერება... მოკლედ, ეს აღარ მინდა. უარს ვამბობ ამაზე. მთელი ეს bellezza[24] ნერვებს მიშლის. არც იმ საშინლად მკვირცხლი, თვალეზღვრიალა სამხრეთელთა ატანა შემიძლია. ამ რომაელებს თვალეზღვივე ეტყობათ, რომ სინდისი არ აწუხებთ... არა, ახლა მცირე ხნით დანიაში წავალ.

– დანიაში მიემგზავრებით?

– დიან! და ვფიქრობ, რომ ეს დიდ სარგებლობას მომიტანს. თუმცა მთელი ჩემი ახალგაზრდობის წლები იქვე, საზღვართან ახლოს გავატარე და მაინც რატომღაც ვერასოდეს მოვხვდი იქ. რამდენადაც ვიცი, იმ დროიდან მოყოლებული მიყვარს ეს ქვეყანა. ვფიქრობ, ჩრდილოურისკენ მიდრეკილება უფრო მამაჩემისგან გამომყვა, ვინაიდან დედაჩემი ხომ, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ყველაფერი სულერთი იყო, მაინც bellezza-სკენ უფრო იხრებოდა. აბა, აიღეთ ის წიგნები, რომლებიც იქ, ზემოთ, ჩრდილოეთში იწერება, სიღრმით, სიწმინდით გამორჩეული და იუმორით აღსავსე წიგნები, ლიზავეტა! მე ჭკუას ვკარგავ მათზე. აიღეთ სკანდინავიური კერძები, ეს შეუდარებელი კერძები, რომელთაც მხოლოდ მარილით გაჟღენთილ ჰაერში თუ შეირგებ (საერთოდ, არ ვიცი, ახლა თუ შემერგება), ჩემთვის კი საკმაოდ ნაცნობი, ვინაიდან ჩემს სამშობლოში სწორედ ასე იკვებებიან. თუნდაც, სახელები აიღეთ, ასე რომ ამშვენებს ამ ხალხს, მათგან ბევრი ხომ ჩვენთანაც გვხვდება. მაგალითად, ინგებორგი, არფაზე დაკრულ ბგერასავით რომ ჟღერს, ეს ხომ სუფთა პოეზიაა. მერე კიდევ ზღვა. მათ იქ, ზემოთ, ჩრდილოეთის ზღვა აქვთ... ერთი სიტყვით, იქით მივემგზავრები, ლიზავეტა! მინდა კიდევ ვნახო

ბალტიის ზღვა, მინდა კიდევ ერთხელ გავიგონო ეს სახელები, უშუალოდ ადგილზე წავიკითხო ეს წიგნები; მინდა კრონბერგის ტერასაზე დავდგე, იმ ადგილზე, სადაც ჰამლეტს მამის სული მოევლინა და საბრალო კეთილშობილ ყმაწვილ კაცს ტანჯვა-ვაება და სიკვდილი მოუტანა...

– ტონიო, როგორ წახვალთ, რომელ მარშრუტს აირჩევთ, თუ შეიძლება გკითხოთ?

– ჩვეულებრივს, – თქვა მან მხრების აჩეჩით და საგრძნობლად გაწითლდა, – დიახ, მე შევივლი ჩემს თავდაპირველ ადგილსამყოფელში, ლიზავეტა, ცამეტი წლის შემდეგ და ვფიქრობ, ეს საინტერესო იქნება...

ქალს გაეღიმა.

– ეს არის ის, რისი გაგონებაც მინდოდა, ტონიო კრიოგერ! მაშ, ღმერთი იყოს თქვენი მფარველი! ოღონდ არ დაგავიწყდეთ წერილის მოწერა, გესმით? სულმოუთქმელად ველი, შთაბეჭდილებებით აღსავსე წერილს დანიაში თქვენი მოგზაურობის შესახებ...

და ტონიო კრიოგერი გაემგზავრა ჩრდილოეთისკენ. იგი კომფორტულად მგზავრობდა (უყვარდა იმის თქმა, რომ ვისაც სხვაზე მეტად შინაგანად უწევს სიძნელეთა გადალახვა, უფლება აქვს გარეგნულად მაინც უფრო კომფორტულად იგრძნოს თავი). არსად გაჩერებულა, ვიდრე მის თვალწინ არ აღიმართა ნაცრისფერ ჰაერში გახვეული ვიწროქუჩებიანი ქალაქი თავისი კოშკურებით, საიდანაც დიდი ხანია წამოსულიყო. მცირე ხნით გაჩერდა ამ პატარა ქალაქში, და ეს უჩვეულო დღეები იყო...

საღამოვდებოდა, როცა მატარებელი ვიწრო, გაჭვარტლულ და ტონიოსთვის ასე ნაცნობ გადახურულ ბაქანში შევიდა; ჭუჭყიანი მინის ჭერქვეშ ადრინდელივით ტრიალებდა ბოლქვებად შეკრული კვამლი და დაგრძელებული ნაკუწებივით აწყდებოდა აქეთ-იქით, როგორც მაშინ, როცა ტონიო კრიოგერი გულში დამცინავი ღიმილით გაემგზავრა აქედან. ბარგი გამოიტანა, უბრძანა, სასტუმროში წაეღოთ და სადგურიდან გამოვიდა.

გარეთ, სადგურის წინ ჩამწკრივებულიყვნენ ორცხენიანი, უზომოდ მაღალი და განიერი მუქი ეტლები, მაგრამ არც ერთში

არ ჩამჯდარა; მხოლოდ გადახედა მათ, როგორც სხვა ყველაფერს, – ვიწრო ფრონტონებსა და წვეტიან კოშკებს, რომლებიც მომდევნო სახლების სახურავებიდან სალამს არ იშურებდნენ; მის ირგვლივ სწრაფად მოლაპარაკე ქერათმიან, ზანტ და მოუხეშავ ადამიანებს და ნერვიული სიცილი წასკდა, სლუკუნს რომ უფრო წააგავდა. იგი მიდიოდა ფეხით, ნელა, სახეში ნოტიო ქარი მოურიდებლად სცემდა. ხიდი გადაიარა, რომლის მოაჯირზეც მითური ქანდაკებები დაედგათ, ცოტაოდენი გზა პორტის გასწვრივაც გაიარა.

ღმერთო დიდებულო! როგორი პაწაწინა და მიხვეულ-მოხვეული, დაკლაკნილი ყოფილა აქაურობა! ნუთუ სახურავწაწვეტებულ შენობებს შორის გამავალი ეს ვიწრო ქუჩები ყველა დროში ასე ციცაბოდ მიემართებოდნენ ქალაქისკენ? ქარში გემების საკვამლე მილები და ანძები ნელა ირწეოდნენ და ამღვრეულ მდინარეს ბინდი გადაჰკროდა. აუყვეს ახლა აგერ, იმ ქუჩას, სადაც ის სახლი იდგა და, რომელიც სულ თავში ჰქონდა? არა, ხვალ! ახლა საშინლად ეძინება. მგზავრობას ერთიანად მოექანცა და ბურუსით მოცული აზრები ნელ-ნელა ერეოდა თავში.

ამ ცამეტი წლის განმავლობაში, ხანდისხან, როცა კუჭის ტკივილი აწუხებდა, ესიზმრებოდა, თითქოს ისევ იმ ძველ, თავის ხმაურიან სახლშია დამრეც ქუჩაზე, თითქოს მამამისიც ისევ იქ არის და მკაცრად კიცხავს უმსგავსო ცხოვრების წესის გამო, რაც ტონიოს ყოველთვის სამართლიანად მიაჩნდა. და ეს სინამდვილე არაფრით განსხვავდებოდა იმ გამაბრუებელი და სიზმრისეული აბლაბუდისგან, როდესაც თავს ეკითხები, ტყუილია ეს თუ მართალი, შენდა უნებურად მეორისკენ იხრები და ბოლოს ისევ გელვიძება...

ტონიო მეჩხრად დასახლებულ, ქარიან ქუჩებში, ქარის საპირისპიროდ თავჩაქინდრული, ძლივს მიაბიჯებდა ქალაქის საუკეთესო სასტუმროსკენ, სადაც უნდა გაჩერებულიყო. მის წინ მეზღვაურივით რწევა-რწევით მიდიოდა დაბრეცილფეხება კაცი ხელში გრძელი ჭოკით, რომლის თავშიც პატარა ცეცხლი ენთო და რომლითაც გაზის ფარნებს ანთებდა.

რა ხდებოდა ტონიოს სულში? რა იყო ეს ყველაფერი, ასეთი ბნელი და ტკივილნარევი, დაღლილობის ფერფლქვეშ რომ ღვიოდა და სადაცაა კამკაშა ალად იქცეოდა? ჩუმად, ჩუმად და არც ერთი სიტყვა! სიტყვები საჭირო არ არის! სიამოვნებით

ივლიდა კიდეც დიდხანს ასე, ქარში, ბინდბუნდიან სიზმრისეულ მიხვეულ-მოხვეულ ნაცნობ ქუჩებში. მაგრამ ყველაფერი ისეთი ვიწრო და ერთმანეთთან მიჯრილი იყო, რომ მაშინვე მიზანთან აღმოჩნდებოდი.

ქალაქის ზედა ნაწილში მორკალური ნათურები ეს-ეს არის გაჩირაღდნებულიყვნენ. აგერ სასტუმრო! აქვე ის ორი შავი ლომი, მის წინ რომ გაწოლილა და რომლებსაც ტონიოს საშინლად ეშინოდა პატარაობისას. ლომები ერთმანეთს ისეთი სახით მისჩერებოდნენ, თითქოს დაცემინებას აპირებენო; მაგრამ ეს ლომები სიდიდით იმაზე პატარები აღმოჩნდნენ, ბავშვობაში რომ ეგონა. ტონიო კრიოგერმა ლომებს შუა გაიარა.

სასტუმროში რადგან ფეხით მოვიდა, არც დიდი ზარ-ზეიმით შეხვედრიან. პორტიემ და ერთმა მეტად დახვეწილმა შავ კოსტიუმში გამოწყობილმა სასტუმროს თანამშრომელმა, რომელიც პატარა თითებით წამდაუწუმ უკან იჩრიდა ჩამოწეულ მანუეტებს პიჯაკის სახელოებში და, რომლის მოვალეობასაც ახალმოსულთა დაბინავება შეადგენდა, კარგად შეათვალიერეს სტუმარი, გამომცდელად ახედ-დახედეს თავიდან ფეხებამდე. აშკარა იყო, მიახლოებით მაინც უნდა დაედგინათ მოსულის საზოგადოებრივი სტატუსი და განესაზღვრათ მისი ადგილი ბიურგერულ-იერარქიულ საფეხურზე, რათა შესაბამისად, მეტად თუ ნაკლებად მიექციათ მისთვის ყურადღება. და ვინაიდან არცთუ მანუგეშებელი დასკვნის გამოტანა შეძლეს, გადაწყდა, ზომიერი თავაზიანობა გამოეჩინათ. ერთმა კელნერმა, მშვიდმა მამაკაცმა ქერა წვერით, რომელსაც ხშირი ხმარებისგან აპრიალეებული ფრაკი და ბაფთიანი უხმაურო ფეხსაცმელი ეცვა, ტონიო ორი სართულით მაღლა აიყვანა, სუფთა და მამაპაპურად მოწყობილ ნომერში, რომლის ფანჯრიდანაც არაჩვეულებრივი ხედი იშლებოდა სასტუმროს სიახლოვეს მდებარე ეზოებზე, წვეტიან სახურავებსა და ეკლესიის ვეებერთელა ნაგებობაზე. ტონიო კრიოგერი ერთხანს იდგა ამ ფანჯარასთან, შემდეგ გულხელდაკრეფილი ჩამოჯდა განიერ დივანზე, წარბები შეჭმუხნა და სტვენა მორთო.

ნომერში შუქი შემოიტანეს და ბარგიც მოვიდა. მშვიდმა კელნერმა იმავდროულად სასტუმროს სარეგისტრაციო ბარათი მაგიდაზე დაუდო, ტონიო კრიოგერს თავი გვერდზე გადაეწია და ზედ ისე მიაჩნაპნა რაღაც. ეტყობოდა, რომ მონაცემები იყო

თავისი ვინაობის, ოჯახური მდგომარეობისა და წარმომავლობის შესახებ. იქვე მსუბუქი ვახშამი შეუკვეთა და დივნის კუთხიდან შორს, ცარიელ სივრცეში დაიწყო ცქერა. ვახშამს დიდხანს არ მიჰკარებია, მაშინაც კი, როცა უკვე წინ ედგა. ბოლოს, როგორც იქნა, პირში ერთი-ორი ლუკმა ჩაიდო და მერე კიდევ ერთი საათი ოთახში ბოლთას სცემდა, მხოლოდ ხანდისხან თუ გაჩერდებოდა და თვალს მილულავდა. შემდეგ აუჩქარებლად გაიხადა და ლოგინში ჩაწვა. დიდხანს ეძინა და არეულ და სანეტარო სიზმრებს ხედავდა.

როცა გაეღვიძა, ოთახი დღის სინათლეს გაეჩახჩახებინა. დაბნეულმა სწრაფად გაიხსენა, სადაც იყო და ფარდების გადასაწევად წამოდგა. ცას უკვე გვიანი ზაფხულის ოდნავ მომკრთალო ფერი ქარისგან თხელ, გაწეწილ ფთილებად გადაჰკვროდა; მზე დანათოდა მის მშობლიურ ქალაქს.

ჩვეულებრივზე მეტი დრო დაუთმო თავის მოწესრიგებას, დაიბანა, მონდომებით გაიპარსა, ისე გამოცოცხლდა და განალიხდა, გეგონებოდა სადმე კარგ და პატივსაცემ ოჯახში ყოფილიყო სტუმრად მიწვეული, სადაც ჩაცმულობასთან ერთად, უნაკლო შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა; და ვიდრე იგი ტანსაცმლის შერჩევა-გადარჩევით იყო გართული, იგრძნო, რომ მღელვარებით უცემდა გული.

როგორ კაშკაშებდა გარეთ ყველაფერი! არადა, უკეთესად იგრძნობდა თავს, გუშინდელივით ბინდი რომ ყოფილიყო გაწოლილი ქუჩებში; ახლა კი მზის სხივებით განათებულ ხალხში უნდა იაროს ყველას დასანახავად. ნაცნობს წააწყდება, შეაჩერებენ, გამოჰკითხავენ და მანაც უნდა გაუბას საუბარი, მოუყვეს, თუ როგორ გაატარა ეს ცამეტი წელიწადი! არა, მადლობა ღმერთს, მას აქ არავინ იცნობს და თუ თვითონ გაახსენდება ვინმე, სხვა მაინც ვერ იცნობს, რადგან ამასობაში მართლაც ხომ კარგა გვარიანად შეიცვალა. ყურადღებით შეათვალიერა საკუთარი ორეული სარკეში. უცებ უსაფრთხოდ იგრძნო თავი ნიღბის ქვეშ, ჯერ კიდევ ადრე გამომუშავებული სახის გამომეტყველებით, როცა უფრო ასაკოვანი უნდოდა ჰგონებოდათ, ვიდრე სინამდვილეში იყო... უბრძანა, საუზმე მოეტანათ და გარეთ გავიდა, ვესტიბიულში გვერდით ჩაუარა პორტიესა და შავ კოსტიუმში გამოწყობილ ელეგანტურ მამაკაცს, რომლებმაც თვალი გააყოლეს და კარგადაც აწონდაწონეს, გაიარა ლომებს შუა და ქუჩაში აღმოჩნდა.

საით მიდიოდა? თვითონაც არ იცოდა. გუშინდელივით დაემართა, როგორც კი ქუჩაში გამოვიდა: ისევ ის გასაოცრად ღირსეული და ძველი დროიდან ერთ მთლიანად ქცეული ფრონტონებით, კოშკურებით, თალებითა და შადრევნებით გარშემორტყმული გარემო დაინახა. როგორც კი ქარის დაწოლა იგრძნო, ძლიერი ქარისა, რომელმაც შორეული სიზმრების ნაზი და გამაბრუებელი სურნელი ისევ სახეში შემოაფრქვია, თითქოს რაღაც საბურველი გადაეფარა მის გრძნობებს, ბურანში გაეხვია... სახის ნაკვთებზე დაძაბულება მოეხსნა, დამშვიდებული მზერით შეათვალიერა ხალხი და საგნები. ვინ იცის, იქნებ იქ, იმ ქუჩის კუთხეში, მაინც გამოელვდიხოს...

საით მიდიოდა? ეჩვენებოდა, რომ მიმართულება, რომელსაც იგი დაადგა, მის წუხანდელ ნაღვლიან და გასაოცარი სინანულით აღსავსე სიზმრებში გაჩერებულიყო... ბაზრის გზაზე რატუმის[25] რკალოვანი თაღის ქვეშ გაიარა, სადაც ყასბები დასისხლიანებული ხელებით წონიდნენ საქონელს. გაიარა ბაზრის მოედანზე, სადაც მაღალი, გოთური სტილის ჭაიდგა. იქ ერთ სახლთან შეჩერდა, ერთ ვიწრო და უბრალო, სხვების მსგავს სახლთან, მორყეულ და სახურავჩამტვრეულ სახლთან და მთელი არსებით ჩაეფლო მის ყურებაში. კარზე სახელისა და გვარის აბრას დააშტერდა და ცოტა ხანს სახლის თითოეულ ფანჯარაზეც შეაჩერა მზერა. შემდეგ ნელა შემოტრიალდა და გზას გაუდგა.

სად მიდიოდა? მშობლიური სახლისკენ. მაგრამ ვინაიდან დრო ჰქონდა, შემოვლით გზას დაადგა, გაისეირნა ქალაქის ჭიშკრის გარეთ, მიუღენვალი და ჰოლსტენვალიც გამოიარა, თან ხელით იმაგრებდა ქუდს ძლიერი ქარის გამო, ხეებს ასე რომ აშრიალებდა და ატკაცუნებდა. შემდეგ, რკინიგზის სადგურთან ახლოს ციხესიმაგრის ადგილებს ჩაუარა, მატარებელს შეხედა, ეგზომ სწრაფად რომ ჩაუქროლა, დროის გასაყვანად ვაგონებიც კი გადათვალა და თვალი გააყოლა მამაკაცს, რომელიც ზემოთ, ვაგონის ბოლოში იჯდა. ცაცხვების მოედანზე, იქ მდგომ ვილებს შორის ყველაზე ლამაზთან შეჩერდა, დიდხანს გადაჰყურებდა ბაღს, ასცქეროდა ფანჯრებს და ბოლოს იმით დაიოკა თავი, რომ ბაღის კარს აქეთ-იქით დაუწყო ქანაობა, სანამ არ ააჭრიალა. შემდეგ ერთხანს საკუთარ ხელს დააჩერდა, ასე რომ გასცივებოდა და ჟანგით მოთხუპნოდა და გზა განაგრძო. გაიარა მოძველებული, დაბალი ალაყაფის კარი, გაისეირნა ნავსადგურის გასწვრივ და აუყვა ქარიან ციცაბო

შესახვევს მშობლიური სახლისკენ.

სახლი მეზობელ მაღალ სახლებს შუა ისეთივე რუხი და პირქუში იდგა, როგორც სამი ათასი წლის წინათ. ტონიომ სახლის შესასვლელთან ფირფიტაზე ნახევრად წაშლილი ღვთის სადიდებელი ამოიკითხა, ამოიოხრა და შინ შევიდა.

გული საშინლად უცემდა. თითქოს ეშინოდა იმისი, რომ მამამისი შეიძლება ერთ-ერთი კარიდან სამუშაო ტანსაცმელში გამოსცხადებოდა, ყურს უკან გაჩრილი ფრთით, გაეჩერებინა და მისი ექსტრავაგანტური ცხოვრების წესის გამო მკაცრად გაეკიცხა, რასაც ტონიო მართებულად ჩაუთვლიდა. მაგრამ ყველაფერმა მშვიდად ჩაიარა. ტამბურის კარი დაკეტილი არ იყო, ის მხოლოდ მიეხურათ, რაც ტონიომ წესრიგის დარღვევად მიიჩნია, ამავე დროს კი სიზმარში ეგონა თავი, როცა დაბრკოლებები თავისთავად ირღვევა და ბედნიერების გასაოცარი შეგრძნებით დაუბრკოლებლივ მიიწევ წინ... განიერ დერეფანში, სადაც დიდი, ოთხკუთხედი ფილები დაეგოთ, ყოველი ნაბიჯის გადადგმა ხმას გამოსცემდა. სამზარეულოს პირდაპირ, საიდანაც ჩამიჩუმი არ ისმოდა, კედლიდან საკმაო სიმაღლეზე უწინდებურად გამოშვერილიყო უჩვეულოდ ტლანქი, მაგრამ სუფთა ლაქწასმული ხის წინკარი, მოახლეთა ოთახები, სადაც დერეფნიდან სახლის გარეთ მიდგმული კიბის რამდენიმე საფეხურის ავლით თუ მოხვდებოდი. მაგრამ იქ უწინდებურად აღარ იდგა დიდი კარადები და მოჩუქურთმებული სკივრი... სახლის პატრონის ვაჟიშვილი უშველებელი ფართო კიბის ავლისას ხელებით თეთრად შეღებილ ხის მოაჯირს ეყრდნობოდა, ხან აუშვებდა, ხან ისევ დაადებდა, თითქოს ამ წესით მორიდებულად ცდილობდა მოესინჯა ამ ძველი, სოლიდური მოაჯირის ადრინდელი სანდოობა... კიბის უჯრედზე, სართულსა და სართულს შუა შესასვლელთან გაჩერდა. კარზე თეთრი აბრა გაეკრათ, რომელზედაც შავი ასოებით ეწერა: „სახალხო ბიბლიოთეკა“.

სახალხო ბიბლიოთეკა?! გაიკვირვა ტონიო კრიოგერმა, რადგან აქ არც ხალხი ჩანდა და არც ლიტერატურა. კარზე დააკაკუნა... შიგნიდან ხმამაღლა გაისმა, – შემობრძანდითო და ისიც ამ ხმას მიჰყვა. დაძაბული და სახედაღვრემილი ათვალიერებდა შიგნით განხორციელებულ შეუსაბამო ცვლილებებს.

ამ სართულზე სამი ერთმანეთში გამავალი ოთახი იყო, რომელთა დამაკავშირებელი კარი გაღებული დახვდა.

კედლების მთელ სიმაღლეზე, მუქ თაროებზე თანაბარი სიდიდის წიგნები ჩაემწკრივებინათ. სათითაოდ ყველა ოთახში ისხდნენ დახლის მაგვარი ბარიერის მიღმა გამხდარი მამაკაცები და რალაცას წერდნენ. აქედან ორმა ტონიო კრიოგერისკენ მოატრიალა თავი, პირველი კი საჩქაროდ ადგა, თან ორივე ხელით დახლის მაგვარ ბარიერს დაეყრდნო, თავი წინ წამოსწია, ტუჩები მოპრანჭა, წარბები ასწია და მოსულს სწრაფად მოხამხამე თვალებით მიაჩერდა.

– მაპატიეთ, – თქვა ტონიო კრიოგერმა და თან თვალს არ აშორებდა წიგნებს, – მე ჩამოსული ვარ, ქალაქს ვათვალიერებ. მაშასადამე, ეს არის ქალაქის ბიბლიოთეკა? ხომ დამრთავთ ნებას, რომ ცოტა გადავხედო წიგნებს?

– სიამოვნებით! – უთხრა მოხელემ და კიდევ უფრო მაგრად აახამხამა თვალები... რასაკვირველია, ჩვენ ყველას ვაძლევთ ამის უფლებას. მხოლოდ გადახედვა გნებავთ? იქნებ კატალოგი ინებოთ?

– გმადლობთ, – უპასუხა ტონიო კრიოგერმა, – ისედაც იოლად გავერკვევი. და შეუდგა ნელ-ნელა კედლების გასწვრივ თაროების ჩამოვლას, ამასობაში ისეთ სახეს იღებდა, თითქოს წიგნების ყუებზე სახელწოდებებს სწავლობსო. ბოლოს ერთი ტომი გადმოიღო, გადაშალა და წიგნით ფანჯარასთან დადგა.

ადრე აქ სასაუზნო ოთახი იყო. დილაობით აქ საუზნობდნენ ხოლმე და არა იქით, იმ დიდ სასადილო დარბაზში, სადაც ცისფერი შპალერიდან ღმერთების თეთრი ქანდაკებები თითქოს გადმოსვლას ლამობდნენ. აგერ, ის, საწოლი ოთახი იყო. მამამისის დედა იქ გარდაიცვალა, მაღალი წრის ასაკოვანი ქალი, რომელიც ცხოვრებისა და ამქვეყნიურ სიამეთა მოტრფიალე იყო, სასტიკად ებრძოდა სიკვდილს და რაც ძალა და ღონე ჰქონდა სიცოცხლეს ებლაუჭებოდა. მოგვიანებით, თვით მამამისმაც იქ განუტევა სული, მაღალმა, ოდნავ სევდიანმა და ჩაფიქრებულმა ბატონმა მინდვრის ყვავილით საღილეში... მაშინ ტონიო მისი საწოლის ფერხითით იჯდა, თვალებაცრემლებული, ალალი და უტყვი გრძნობით მოცული, სიყვარულითა და ტკივილით მთლიანად შეპყრობილი. დედამისიც აქვე იყო ჩამუხლული, მისი ლამაზი, მგზნებარე დედა, რომელიც მდულარე ცრემლებად იღვრებოდა; და ამის შემდეგ გაჰყვა იგი სამხრეთელ ხელოვანს ცისფერ შორეთში... ხოლო იქ, უკან, მესამე, მომცრო ოთახი, რომელიც ახლა

წიგნებითაა გავსებული და, რომელსაც ვიღაც გამზდარი მამაკაცი დარაჯობს, მთელი იმ ხნის განმავლობაში ტონოს ოთახი იყო. იგი იქ ბრუნდებოდა გაკვეთილების დასრულებისა და გასეირნების შემდეგ, როგორც ახლა, ახლაც ხომ გასეირნების შემდეგ მოვიდა აქ. აგერ, იმ კედელთან იდგა მისი მაგიდა, რომლის უჯრაშიც ინახავდა თავის პირველ, იდუმალ და უმწეო ლექსებს... ბებერი კაკლის ხე... მწვავე ტკივილმა დაუარა მთელ სხეულში. გვერდით ფანჯარაში გაიხედა. ბაღი გაპარტახებულიყო, მაგრამ ძველი კაკლის ხე თავის ადგილზე იდგა, მძიმედ ჭრიალებდა და ფოთლებს აშრიალებდა ქარში. ტონომ თვალები კვლავ წიგნზე ჩამოაცურა, ხელში რომ ეჭირა. შესანიშნავი პოეტური ქმნილება, რომელიც მისთვის კარგად იყო ნაცნობი. დასჩერებოდა შავ სტრიქონებსა და წინადადებათა რიგს. თვალი გააყოლა რაღაც მანძილზე თხრობის ოსტატურ დინებას, როგორ თანდათანობით ივსებოდა ვნებებით, ადიოდა ზემოთ, აპოგეას აღწევდა და შემდეგ ისევ ეფექტურად ეშვებოდა დაბლა...

– ჰო, ერთობ კარგია, – თქვა მან. პოეტური ქმნილება თავის ადგილზე დადო და შემობრუნდა. მაშინ დაინახა, რომ მოხელე ისევ იქ იდგა და ისეთი სახით მისჩერებოდა, რომ მის გამომეტყველებაში გულმოდგინედ მომსახურების სურვილთან ერთად, უნდობლობის გრძნობაც გამოსჭვიოდა, თვალებსაც ისევ აფახურებდა.

– დავალებული ვარ თქვენგან, მშვიდობით! – თქვა და კარისკენ გაემართა. მაგრამ ეს უცნაური წასვლა იყო. ცხადად გრძნობდა, რომ ამ სტუმრობით გაოცებული მოხელე კიდევ დიდხანს იდგებოდა თვალების ფახურით.

ტონოს აღარ ჰქონდა სხვაგან შეღწევის სურვილი. შინ ხომ იყო. ზემოთ, სვეტებიანი დარბაზის უკან, დიდ ოთახებში უცხო ხალხი ცხოვრობდა. ამას ხედავდა, რადგან კიბის თავი მინის კარით დაეხურათ (ადრე კი ასე არ ყოფილა) და მასზე ვინაობის აღმნიშვნელი აბრაც ეკიდა. გამობრუნდა, კიბეზე დაემვა, ხმაურიანი დერეფანი გამოიარა და ასე დატოვა მშობლიური სახლი. ფიქრში გართული ერთ-ერთი რესტორნის წყნარ კუთხეში შეიყუჟა, მძიმე და მსუყე სადილი მიირთვა და მერე სასტუმროში დაბრუნდა.

– მე მოვრჩი ჩემს საქმეებს, – უთხრა შავ კოსტიუმში გამოწყობილ სასტუმროს სოლიდურ თანამშრომელს, – დღეს,

ნასადილევის გავემგზავრები.

ანგარიში მოითხოვა, ასევე შეუკვეთა მანქანა, რომელიც პორტამდე მიიყვანდა, რათა კოპენჰაგენში გემით გამგზავრებულიყო. შემდეგ ნომერში ავიდა და მაგიდას მიუჯდა. იჯდა გაუნძრევლად და მდუმარედ და ლოყებით ხელებზე დაყრდნობილი დასჩერებოდა მაგიდას. შემდეგ ანგარიში გაანაღდა და ნივთები შეკრა. დადგენილი ღროისთვის მანქანამ მოაკითხა და ტონიო კრიოგერიც გასამგზავრებლად გამზადებული ქვევით დაეშვა.

კიბის თავში ის ელეგანტური, შავ სამოსში გამოწყობილი მამაკაცი ელოდებოდა.

– მომიტევეთ! – უთხრა მან და თავისი პატარა თითებით მანუეტები სახელოში შეიტენა, – მაპატიეთ, ჰერ, მცირეოდენი დრო რომ უნდა წაგართვათ. ჰერ ზეეჰაზეს, სასტუმროს მფლობელს სურს თქვენთან ერთი-ორი სიტყვით გასაუბრება. ფორმლობაა და სხვა არაფერი... ის იქ, ქვევით იმყოფება... კეთილი ინებეთ და თან გამომყევით, თუ შეიძლება... მარტოდმარტო ჰერ ზეეჰაზეა, სასტუმროს პატრონი.

და მან ტონიო კრიოგერი ვესტიბიულის სიღრმეში შეიყვანა, თვითონ წინ მიუძღოდა და ტონიოს ხელებით ანიშნებდა, მას მიჰყვოლოდა. იქ მართლაც იდგა ჰერ ზეეჰაზე. ტონიო კრიოგერი ბავშვობიდანვე იცნობდა ამ დაბალი ტანის, ჩასუქებულ და დაბრეცილფეხება კაცს. ახლა მოკლედ გაკრეჭილი ულვაში გაჭაღარავებოდა; კვლავ ფართოდ ამოჭრილი სმოკინგი ეცვა და თავზე მწვანე ხავერდის ქუდი ეხურა. სხვათა შორის, არც მარტო იყო. მასთან იქვე, კედელზე მიმაგრებულ საპულტო თაროსთან იდგა თავზე ჩაფხუტიანი პოლიციელი. მას ხელთათმნიანი ხელი პულტზე მოთავსებულ რაღაც ნაწერით აჭრელებულ ფურცელზე ედო. ტონიო კრიოგერს ისე შეხედა, თითქოს ელოდა, ჩემს დანახვაზე გული გაუსკდებაო.

ტონიო კრიოგერი სრული სიმშვიდით უყურებდა ხან ერთს და ხან მეორეს და უცდიდა, რას ეტყოდნენ.

– თქვენ მოდიხართ მიუნხენიდან? – ჰკითხა ბოლოს პოლიციელმა უწყინარი, მაგრამ ძნელად გასაგები ხმით.

ტონიომ თანხმობის ნიშანი მისცა.

- და მიემგზავრებით კოპენჰაგენში, არა?
- დიახ, მე მივემგზავრები დანიის ერთ-ერთ ზღვისპირა კურორტზე.
- კურორტზე?
- დიახ!
- თქვენი საბუთები უნდა წარმოადგინოთ, – უთხრა პოლიციელმა ისე, რომ ბოლო სიტყვას განსაკუთრებული თავდაჯერება დაატანა.

საბუთები!.. ტონიოს ხომ არანაირი საბუთი არ ჰქონდა თან. საქალაქადე ამოიღო და შიგ ჩაიხედა, მაგრამ იქ ფულის გარდა ახალი ნოველის ვარიანტი ედო, რომლის ჩასწორებასაც მოგზაურობის დროს აპირებდა. ტონიოს არასოდეს მოსწონდა პოლიციისა თუ სხვადასხვა უწყების მოხელეებთან ურთიერთობა და აქამდე პასპორტი ამიტომაც არ აუღია...

- ძალიან ვწუხვარ, – განუცხადა პოლიციელს ტონიომ, – მაგრამ საბუთებს თან არ ვატარებ.
- აჰ, ასე? – წამოიძახა პოლიციელმა, – არანაირი საბუთი არა გაქვთ? – რა გქვიათ?

ტონიო კრიოგერმა უპასუხა.

- ეს სიმართლეა?! – ჰკითხა პოლიციელმა, წამოიწია და ერთბაშად ცხვირის ნესტოები მთელი ძალით დაბერა...
- სრული სიმართლე, – მიუგო ტონიო კრიოგერმა.
- კარგი, მაგრამ, რას საქმიანობთ?

ტონიო კრიოგერმა ნერწყვი გადაყლაპა და მტკიცე ხმით დაასახელა თავისი პროფესია. ჰერ ზეეჰაზემ თავი ასწია და ცნობისმოყვარეობით შეაცქერდა სახეში.

- აჰა, – შეიშმუშნა პოლიციელი, – და თქვენ ამტკიცებთ, რომ იდენტური არ ხართ იმ ინდივიდისა, რომლის სახელი და გვარია... – მან თქვა „ინდივიდი“ და აჭრელებული ფურცლიდან ასო-ასო ამოიკითხა უჩვეულოდ რთულად წარმოსათქმელი და რომანტიკული გვარ-სახელი, რომელიც სხვადასხვა რასის ბგერათა საინტერესო ნაზავი ჩანდა და, რომელიც ტონიო

კრიოგერს მეორე წამში გადაავიწყდა.

– და, – განაგრძო პოლიციელმა, – უცნობი მშობლების ნაშიერი და დაუდგენელი კომპეტენციის გამო, მხილებული მრავალგზის სიყალბესა და სხვადასხვა დანაშაულში მას მიუხედავად პოლიცია ეძებს და, როგორც ჩანს, აგერ, დანიაში აპირებდა გაქცევას?

– არათუ ვადასტურებ ამას, ეს ასეც არის, – თქვა ტონიო კრიოგერმა და ნერვიულად აიჩეჩა მხრები. ამან ერთგვარი შთაბეჭდილება მოახდინა.

– რაო? აჰ, ჰო, რა თქმა უნდა! – თქვა პოლიციელმა, – მაგრამ, ვერაფერს რომ ვერ წარმოადგენთ საბუთის სახით!

აქ ჰერ ზეეჰაზეც ჩაერია.

– ეს ყველაფერი ფორმლობაა და სხვა არაფერი! – უთხრა ტონიოს დამამშვიდებელი ტონით, – თქვენ უნდა დაფიქრდეთ და გაიაზროთ, რომ პოლიციელი მხოლოდ თავის მოვალეობას ასრულებს. იქნებ როგორმე თქვენი თავის ლეგიტიმურება მოახდინოთ... რაიმე ერთი საბუთი მაინც...

ყველა გაჩუმდა. ხომ არ მოელო ბოლო ამ საქმისთვის, გასცნობოდა, გამოცნაურობოდა ჰერ ზეეჰაზეც, რომ ვინმე უსაქმური და უსახლკარო თაღლითი ან წარმომავლობით ბოშათა ბანაკიდან კი არა, არამედ კონსულ კრიოგერის ვაჟი იყო, კრიოგერების ოჯახიდან. არა, ამის ხასიათზე არ იყო. არადა, ეს სამოქალაქო წესრიგის დამცველი ადამიანები არსებითად ხომ მართლები იყვნენ? გარკვეულწილად მათ კიდევაც ეთანხმებოდა... მხრები აიჩეჩა და უსიტყვოდ იდგა.

– რა გაქვთ მანდ? – ჰკითხა პოლიციელმა, – მანდ, იმ საქაღალდეში?

– აქ? არაფერი, ჩასასწორებელი ტექსტია, – მიუგო ტონიო კრიოგერმა.

– როგორ თუ ჩასასწორებელი ტექსტი? აბა, ერთი მაჩვენეთ.

და ტონიო კრიოგერმა თავისი ნაწერი მიაწოდა. პოლიციელმა პულტთან გადაშალა ფურცლები და კითხვას შეუდგა. ჰერ ზეეჰაზეც მიუახლოვდა და თვალი ნაწერს გააყოლა. ტონიო კრიოგერი მათ მხრებს ზემოდან მისჩერებოდა და ხვდებოდა,

ახლა რა ადგილზე იყვნენ. დადგა კარგი მომენტი, როცა კვანძი გაიხსნა და კულმინაციამდე მივიდა, რაც მას ზემოქმედებისთვის წინდაწინ ჰქონდა შემუშავებული. ტონიო თავისი ნახელავით კმაყოფილი იყო.

– შეხედეთ! – წამოიძახა მან, – აგერ ჩემი სახელი და გვარი. ეს მე დავწერე და ახლა უნდა გამოქვეყნდეს, ხომ გესმით.

– სავსებით საკმარისია! – დაასკვნა ჰერ ზეეჰაზემ გადაწყვეტილად, ფურცლებს თავი მოუყარა, დაკეცა და უკან დაუბრუნა ტონიოს, – საკმარისია-მეთქი, პეტერსენ! – კიდევ გაიმეორა მან და თან მალულად თვალს უკრავდა და თავის გაქნევითაც ანიშნებდა პოლიციელს, გაჩერდიო, – ჩვენ დიდხანს არ უნდა დავაყოვნოთ ჰერ კრიოგერი. გარეთ ეტლი ელოდება. გთხოვთ, გვაპატიოთ ცოტათი რომ შეგაფერხეთ, ჰერ! პოლიციის მოხელემ მხოლოდ თავისი მოვალეობა შეასრულა, მე კი ვეუბნებოდი სულ, რომ მცდარ კვალს ადგა...

„მაშ ასე?“ – გაიფიქრა ტონიო კრიოგერმა.

პოლიციელი, როგორც ჩანდა, მთლად არ ეთანხმებოდა ამ გადაწყვეტილებას; მან კიდევ ერთხელ სცადა რაღაცის წაბუტბუტება „ინდივიდისა“ და „საბუთების წარდგენის“ შესახებ, მაგრამ ჰერ ზეეჰაზემ, სინანულის გამოხატვის სხვადასხვა შესტით, სტუმარი ვესტიბიულში გაიყვანა, ორ ლომს შუა გაატარა, ეკიპაჟამდე მიაცილა და პატივისცემის ნიშნად თვითონ მიუხურა კარი. სულ მალე სასაცილოდ მაღალი და განიერი ეკიპაჟი ჯაყჯაყითა და ღრჭიალით გაგორდა და ხმაურით დაეშვა ნავსადგურისკენ მიმავალ დამრეც ქუჩაზე...

ასე უცნაურად დამთავრდა ტონიო კრიოგერის სტუმრობა მშობლიურ ქალაქში.

ღამე ჩამოდგა. ვერცხლისფრად მოელვარე მთვარე ცურვით მიიწევდა მაღლა, როცა ტონიო კრიოგერის გემი შუა ზღვაში გავიდა. იგი ხომალდზე წინ, ძელთან იდგა, პალტოში გახვეული, ქარისგან თავის დასაცავად, რომელიც უფრო და უფრო მძვინვარებოდა და ტონიო ზემოდან დასჩერებოდა ძლიერ, ლაპლაპა და აზვირთებულ ტალღებს სიბნელეში როგორ ბობოქრობდნენ, ხან ერთმანეთის გარშემო რომ ირწეოდნენ, ხან დგაფუნით ეგებებოდნენ ერთმანეთს, მოულოდნელი მიმართულებით გაიფანტებოდნენ და უცებ

აქაფებული თეთრად გამოანათებდნენ...

უჩვეულოდ მთვლემარე და მშვიდ განწყობას მოეცვა ტონიო კრიოგერი. ცოტათი შეცბუნებულიც კი იყო იმით, რომ მშობლიურ ქალაქში დაპატიმრება დაუპირეს, როგორც ავანტიურისტს. დიახ, – თუმცა კი რაღაც თვალსაზრისით, ეს სრულიად მართებულად მიაჩნდა. მაგრამ შემდეგ, გემბანზე ყოფნისას, ისევ ისე უყურებდა გემს, როგორ იტვირთებოდა საქონლით, როგორც ბავშვობაში ზოგჯერ მამამისთან ერთად, შეძახილებით – დანიურისა და ქვემო გერმანულის ნარევი კილოკავზე. უყურებდა, თუ როგორ ივსებოდა გემის ვეება სტომაქი ფუთებისა და ყუთების გარდა სქელ რკინისგისოსებიან გალიებში ჩასმული ზღვის დათვითა და სამეფო ვეფხვით, რომლებიც, ეტყობოდა, ჰამბურგიდან მოჰყავდათ და დანიის რომელიმე სამხეცისთვის იყო განკუთვნილი; და, ყოველივე ამან ფიქრი გაუფანტა. შემდეგ, როცა გემი მდინარის ბრტყელი სანაპიროს გასწვრივ მისრიალებდა, პოლიციელ პეტერსონის დაკითხვა სულ მთლად გადაავიწყდა და ყველაფერი ის, რაც მანამდე მოხდა, – მისი ტკბილი, ნაღვლიანი და სინანულით აღსავსე ღამის სიზმრები, გასეირნება მშობლიურ ქალაქში, ძველი კაკლის ხის ხილვა ისევ ისე ღრმად ჩაებეჭდა სულში. და ახლა, როცა ზღვა წინ გადაეშალა, შორიდან ხედავდა იგი სანაპიროს, რომელზედაც ბავშვობაში შეეძლო ყური მიეგდო ზღვის ზაფხულისეული ზმანებებისთვის, ხედავდა შუქურის ნათებას და სანატორიუმის სინათლეებს, რომელშიც უცხოვრია მშობლებთან ერთად... ბალტიის ზღვა! მან თავი მიუშვირა ძლიერ, მარილიან ქარს, რომელიც ნებიერად და დაუბრკოლებლივ ქროდა, ყურებს უხშობდა და თავბრუს ახვევდა, გაბრუებულს აყრუებდა ისე, რომ ნელ-ნელა და ნეტარად გაუქრო ყოველგვარი განხენება სიავისა, ტანჯვისა და ცდუნების, წადილისა და გასაჭირის, და მის ირგვლივ გამეფებულ ზუზუნს, დგაფუნს, ქაფის დუღილსა და შხუილში ეგონა, რომ ისმენდა ძველი კაკლის ხის შრიალსა და ტკაცუნს და ბაღჩის კარის ღრჭიალი ესმოდა... სულ უფრო მეტად და მეტად ისადგურებდა სიბნელე.

– Die Sderne, Gott, sehen Sie doch bloss die Sderne an![26] – შესძახა უეცრად ვიღაცამ დაგუდული, მაგრამ ნარნარი ხმით, რომელიც ქვევრიდან ამოძახილს ჰგავდა. ტონიო უკვე იცნობდა ამ ხმას. ეს იყო წითური, უბრალოდ ჩაცმული ახალგაზრდა მამაკაცის

ხმა. იგი მოწითალო ქუთუთოებითა და სველი პირისაზით ისე გამოიყურებოდა, თითქოს ეს-ესაა აბაზანიდან გამოვიდაო. კაიუტაში ვახშობისას ტონიო კრიოგერის გვერდით აღმოჩნდა და გააოცა კიდევაც იგი, მოკრძალებული მოძრაობებით იმდენად ბევრ ომლეტის ულუფას ილაგებდა თავის თეფშზე. ახლა კი, აგერ, მის გვერდით ქიმთან აყუდებულიყო, იდაყვზე საჩვენებელი და ცერა თითები მიედო და ცას მისჩერებოდა. აშკარა იყო, გარემოს საჭვრეტად არაჩვეულებრივ და საზეიმო განწყობაზე დამდგარიყო. ზუსტად იმ ზღვარზე იდგა, როცა ადამიანთა შორის არსებული ზღუდე იშლება, როცა მზად ხარ უცნობსაც გადაუშალო გული და ისეთ რამეებზე ელაპარაკო, რაზედაც სხვა დროს დაირცხვენდი, კრინტს არ დასძრავდი...

– Sehen Sie, Herr, doch bloss die Sderne an! Da sdehen Sie und glitzern, es ist, weiss Gott, der ganze Himmel voll![27] ზევით თუ ახედავ და იმასაც გაიაზრებ, რომ ბევრი მათგანი დედამიწაზე ასჯერ დიდია, როგორ გუნებაზე დადგები მაშინ? დიახ, ჩვენ, ადამიანებმა, გამოვიგონეთ ტელეგრაფი, ტელეფონი და ვინ იცის, რამდენი სხვა ახალი მონაპოვარია ჩვენს დროში. მაგრამ ზემოთ როცა ავიხედავთ, ხომ უნდა მივხვდეთ და შევიმეცნოთ, რომ არსებითად მხოლოდ ჭიაღუები ვართ, საბრალო ჭიაღუები და სხვა არაფერი! არადა, რას იტყვით, იქნებ ვცდები, ჰერ? დიახ, ჩვენ ჭიაღუები ვართ! – თავის თავს თვითონვე უპასუხა და ცის გუმბათს ისევ ახედა კრძალვითა და ქედმოხრით.

– აუ... არა, ამას ლიტერატურისა არაფერი გაეგება! – გაიფიქრა ტონიო კრიოგერმა. და უმაღლეს გაახსენდა, ამას წინათ რომ წაიკითხა, გამოჩენილი ფრანგი მწერლის სტატია კოსმო და ფსიქოლოგიური მსოფლმხედველობის შესახებ; მართლაც რომ ლაყბობა იყო.

გვერდით მდგომ ახალგაზრდას რაღაც უპასუხა მის მიერ ასე ღრმად განცდილ შენიშვნაზე და მერე საუბარიც გააბეს. თან ბორტზე მიყრდნობილები გაჰყურებდნენ ამაღელვებლად განათებულ ზღვის სივრცეს. გამოირკვა, რომ მისი თანამგზავრი ახალგაზრდა ჰამბურგელი კომერსანტი იყო, რომელსაც შვებულება სასიამოვნო მოგზაურობისთვის დაეთმო...

– გავიფიქრე, კარგი იქნება, თუ გემით წავალ კოპენჰაგენში-მეთქი. აგერ, აქ ვდგავარ და მართლაც სიამოვნებით ვტკბები. მაგრამ ის ომლეტი ამდენი არ უნდა მეჭამა, ჰერ! აგერ ნახავთ, ამაღამ ღელვა იქნება, თვით კაპიტანმა თქვა და კუჭში ასეთი

ძნელად მოსანელებელი საჭმლით მაგარი სიამოვნება მელის...

ტონიო კრიოგერი უსმენდა ამგვარ სისულელეებს მდუმარედ და მეგობრული განწყობით.

– დიახ, – უპასუხა მან თანამგზავს, – აქ, ჩრდილოეთში, საერთოდ მძიმე საჭმელები იციან, რის გამოც მოუქნელი და სევდიანი ხდებიან.

– სევდიანი? – გაიმეორა ახალგაზრდა კომერსანტმა და გაოგნებულმა შეხედა ტონიოს, – თქვენ ალბათ აქაური არ ბრძანდებით, არა, ჰერ? – ჰკითხა მან უეცრად...

– აჰ, ჰო, შორიდან ვარ! – უპასუხა ტონიო კრიოგერმა გაურკვეველი ხელის აქნევით, თითქოს რაღაცას იგერიებდა.

– მაგრამ, თქვენ მართალი ხართ, – მიუგო კომერსანტმა, – ღმერთმა უწყის, თქვენ მართალი ხართ ამ მხრივ, რაც სევდიანს შეეხება! მე თითქმის ყოველთვის სევდა მაწევს, განსაკუთრებით კი ისეთ საღამოებში, როგორც ახლაა, როცა ვარსკვლავებითაა ცა მოჭედილი... – ამ სიტყვებზე ისევ ცერა და საჩვენებელი თითები მიიჭდო ნიკაპზე.

„უთუოდ ლექსებსაც წერს, – გაიფიქრა ტონიო კრიოგერმა, – ღრმად განცდილ კომერციულ ლექსებს“.

ღამე ჩამოწვა და ქარიც ისე გამძვინვარდა, რომ ლაპარაკი გაჭირდა. მაშინ გადაწყვიტეს დაესვენათ და ერთმანეთს ძილი ნებისა უსურვეს.

ტონიო კრიოგერი თავის კაიუტაში ვიწრო საწოლზე გაწვა, თუმცა ძილი არ ეკარებოდა. სუსხიანმა ქარმა და მისმა მჭახე სურნელმა ისე უჩვეულოდ ააღელვა და გული ისე აუჩქროლა, როგორც რაიმე სანეტაროს მოლოდინში ემართება ადამიანს. თანაც გემი ისე ირწეოდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა მთისოდენა ტალღის ქეჩოზე მოქცეული ქვემოთ ჩამოცურდებოდა და წყლიდან ამოშვერილი ხრახნი ამაოდ იკრუნჩხებოდა და ტრიალებდა ჰაერში, მაშინ საშინლად ერეოდა გული. წამოდგა, ჩაიცვა და კვლავ გემბანზე ავიდა.

მთვარესთან ღრუბლები მიმოქროდნენ. ზღვა როკავდა. ტალღები ახლა ერთმანეთს თანაბრად დაშორებულნი მომრგვალებული და ერთნაირი სიდიდისანი კი არ იყვნენ, არამედ მთელი ზღვა ირგვლივ, რამდენზედაც თვალი

მისწვდებოდა მთვარის მკრთალად მოკიაფე შუქზე, სულ ერთიანად დაფლეთილი, დასერილი, ალისმაგვარ ვეება ენებს წიაღიდან ისროდა. ეს ტალღები გემის ბორტს ელამუნებოდა, ქაფით სავსე უფსკრულებში საშინელ, გაუგონარ ურჩხულებს გამოსახავდა, გეგონებოდათ, გიჟური თამაშით გართული უზარმაზარი მკლავებით ზვირთებს ჰაერში აბურთავენსო. გემს სვლა უჭირდა. თითქოს ყირაზე დამდგარიყო, დაგდაგით და ქანაობით მიიკვლევდა გზას ამ ორომტრიალში, და ზოგჯერ ზღვის დათვისა და ვეფხვის ბრდღვინვაც მოისმოდა, რომლებიც ვერ შეჭგუებოდნენ ზღვის ამგვარ ღელვას. მგზავრებიდან ერთ-ერთი მამაკაცი მუშამბის საწვიმარში გახვეული, თავზე კაპიუშონჩამოფხატული და ქამარში ფარანგარჭობილი გემბანზე წინ და უკან დადიოდა, ფეხებს გან-გან ადგამდა და მაინც ძლივს ინარჩუნებდა წონასწორობას. იქით, ცოტა უკან, ბორტზე გადაყუდებულიყო ის ჰამბურგელი ახალგაზრდა კომერსანტი და შავი დღე ადგა.

– ღმერთო, – წამოიძახა მან ტონიოს დანახვისას ყრუ ხმით და წყვეტილად, – ერთი შეხედეთ, სტიქიის როგორი ამბოხებაა, ჰერ!

მაგრამ მყისვე გაწყვიტა ლაპარაკი და საჩქაროდ ისევ ბორტისკენ ქნა პირი.

ტონიო კრიოგერი რომელიღაც დაჭიმულ ბაგირს ჩასჭიდებოდა და ბუნების შლეგურ თავაშვებულობას გასცქეროდა. აღტკინებას მოეცვა. ეგონა, რომ იმდენად გაძლიერებულიყო, შეეძლო შტორმი და ღვარცოფი დაეძლია. მასში ხმიანებდა სიმღერა ზღვაზე, სიყვარულით შთაგონებული.

ჩემო სიყრმის ბობოქარო მეგობარო,

ისევ ერთად ვართ,

ერთად ვართ ისევ...

მაგრამ მერე ლექსი შეწყდა. იგი არ იყო სრულად ჩამოყალიბებული და მთლიან ქმნილებად გამოკვეთილი. ტონიოს გული გამოუცოცხლდა...

დიდხანს იდგა ასე. შემდეგ კაიუტასთან ახლოს გრძელ სკამზე გაწვა და ცას მიაშტერდა, სადაც ვარსკვლავები კიაფობდნენ. ცოტა ხნით ჩათვლიმა კიდევ. ხოლო როცა სახეში ცივი ქაფი

შემოეწეწა, ნახევრად მძინარემ ეს სასიყვარულო მოფერებად აღიქვა.

ვერტიკალურად აღმართული ციცაბო ცარცის კლდეები მთვარის შუქზე მოჩვენებებივით უახლოვდებოდნენ; ეს იყო მოიენი, მოიენის კუნძული. და ისევ ჩათვლიმა, მლაშე წყლის შხეფები ისევ აფხიზლებდა, სახეში ნემსებივით რომ ეჩხვლიტებოდა და ნაკვთებს უშეშებდა... როცა მთლიანად გამოფხიზლდა, უკვე დღე იყო, ნათელი, ცინცხალი დღე და ზღვაც მწვანედ და მშვიდად ლივლივებდა. საუზმისას კვლავ შეხვდა ახალგაზრდა კომერსანტს, რომელიც მისი დანახვისას გაწითლდა, უთუოდ სირცხვილისგან, იმ სიბნელეში პოეტურ სახეებზე და რაღაც სისულელეებზე რომ ლაპარაკობდა და ხუთივე თითით მოკლე, წითურ უღვაშს იპრებდა, ტონიოს კი ჯარისკაცურად სხარტად უსურვა დილა მშვიდობისა, რომ მერე ასე მოეშორებინა.

და ტონიო კრიოგერი დანიაში ჩავიდა. იგი კოპენჰაგენში, ერთ-ერთ სასტუმროში დაბინავდა. ყველას უტოვებდა ფენის ქირას, გასამრჯელოს, რომ გული არავის დასწყვეტოდა. სამი დღის განმავლობაში, გამოვიდოდა თუ არა სასტუმროს ნომრიდან, ქალაქში იწყებდა სეირნობას, თან გადაშლილი გზამკვლევი ეჭირა და, საერთოდ ისე იქცეოდა, როგორც რიგიან უცხოელს შეჭფერის, ყველაფერის ნახვა და ყველაფრის ცოდნა რომ სწყურია. მან დაათვალიერა სამეფო მოედანი და მის შუაგულში ცხენის სკულპტურა, რომელსაც თავმოღერებულს მთელი გულისყური მიეპყრო ფრაუნენკირხეს[28] სვეტებისკენ. იგი დიდხანს იდგა ტორვალდსენის[29] კეთილშობილი და საამური ქანდაკებების წინ, მრგვალ კოშკზე ავიდა, დაათვალიერა ციხე-კოშკები და ორი უდარდელი დღე გაატარა ტივოლიში. მაგრამ ყოველივე ამის მიღმა სულ სხვა რამეს ხედავდა.

სახლებზე, რომლებიც გარედან ტონიოს მშობლიური ქალაქის სახლებს წააგავდნენ, ამ მაღალ ფრონტონებიან სახლებზე, კითხულობდა სახელებს, რომლებიც მისთვის ნაცნობი იყო ახალგაზრდობიდანვე და, რომლებიც მისთვისვე გამორჩეულად სათუთსა და ფასეულს წარმოადგენდნენ. ამავე დროს საყვედურს, ჩივილსა და დაკარგულის მონატრებას მოიცავდნენ თავიანთ თავში. და, ყველგან, სადაც კი შენელებული, დაფიქრებული სახით ზღვის ნოტიო ჰაერს

ისუნთქავდა, იმ ცისფერ თვალებს ხედავდა, იმ ქერა თმას, იმ სახეებს, როგორც ღამის უჩვეულო მტკივნეულ და სინანულით აღსავსე სიზმრებში ნახულობდა ხოლმე მშობლიურ ქალაქში. შეიძლება ხდებოდა კიდევ ისე, რომ ღია ქუჩაში ვისიმე შემოხედვა, ერთი წკრიალა ხმა, გაცინება სულის სიღრმეში გაატანდა...

დიდხანს ვერ გაძლო ამ მჩქეფარე ქალაქში. ლალი თუ გიჟური მოუსვენრობა შეუჩნდა, მოლოდინთან გაიგივებულმა მოგონებებმა უჩვეულოდ ააღელვა. თითქმის მოთხოვნილებად ექცა სადმე მშვიდად, პლაჟზე წოლა და არა ცნობისმოყვარე ტურისტის თავს მოხვეული როლის შესრულება. და აი, ერთ მოღრუბლულ დღეს კვლავ ჩაჯდა გემში (ზღვა ამღვრეული იყო) და ზელანდიის ნაპირების გასწვრივ ჩრდილოეთისკენ აიღო გეზი ელსინიორის მიმართულებით. იქიდან დაუყოვნებლივ გადაჯდა ეტლში და მოგზაურობა გზატკეცილზე განაგრძო, სულ მეოთხედი საათი დასჭირდა, ცოტა მაღლა ზღვის დონიდან, სანამ თავის ბოლო და ნამდვილ დანიშნულების ადგილამდე მივიდოდა. ეს იყო პატარა, ზღვისპირა თეთრი სასტუმრო მწვანე ფანჯრის დარაბებით, რომელიც დაბალი, პატარა სახლების გარემოცვაში იდგა და ხის გუმბათით ზუნდსა და შვედეთის სანაპიროს გადაჰყურებდა. აქ გადმოვიდა ეტლიდან, შევიდა ნათელ ოთახში, რომელიც მისთვის წინასწარ გაემზადებინათ. ნივთები, რაც თან ჰქონდა, კარადასა და კამოდში მოათავსა, და მოეწყო კიდევ ერთხანს აქ დასარჩენად.

ამასობაში სექტემბერიც დადგა. აალსგაარდში უკვე აღარ იყვნენ იმდენი დამსვენებლები. დიდ, სვეტებიან სასადილო დარბაზში მიწის პირზე, რომლის ფანჯრები მინის ვერანდასა და ზღვას გადაჰყურებდა, სასტუმროს დიასახლისი ხელმძღვანელობდა საერთო სუფრას. ეს იყო ხანში შესული, ჭაღარათმიანი, ვარდისფერლოყებიანი შინაბერა უფერული თვალებითა და დაუოკებელი ჭიჭყინა ხმით, რომელსაც წითური ხელები სულ სუფრის გადასაფარებლისკენ გაურბოდა. იქვე იდგა დედაქალაქიდან ჩამოსული თევზით მოვაჭრე, მოკლეკისრიანი ხნიერი მამაკაცი ჭაღარა უღვაშითა და მუქი, მოლურჯო პირისახით, რომელმაც გერმანული ენა იცოდა. მას აპოპლექსიისადმი[30] ჰქონდა მიდრეკილება და ეტყობოდა, რომ მთლად გაგუდული იყო, რადგან მძიმედ ისუნთქავდა და დროდადრო ბეჭდიანი საჩვენებელი თითი

ცხვირის ცალ ნესტოსთან მიჰქონდა და ზედ აჭერდა, რომ მეორე ნესტოთი მაგრად ჩაებერა სული და ასე ცოტაოდენი ჰაერი შეესუნთქა. გამალებით „ესაუბრებოდა“ არყის, აქუავიტის ბოთლს, რომელიც მუდამ წინ ედგა, საუზმე იქნებოდა, სადილი თუ ვახშამი. აქვე იმყოფებოდა სამი მაღალი ამერიკელი ყმაწვილი თავიანთი გუვერნიორით თუ შინამასწავლებლით, მოკლედ, თავიანთი თანმხლებით, რომელიც წამდაუწუმ სათვალის სწორებაში იყო და მთელი დღის განმავლობაში ბიჭებს ფეხბურთს ეთამაშებოდა. ყმაწვილებს შუაზე ჰქონდათ გაყოფილი მოწითალო-მოყვითალო ფერის თმა და მოგრძო, გაშეშებული სახეებით ისხდნენ.

– Please, give me the wurst-things there![31] – იტყოდა ერთი.

– That’s not wurst; that’s schinken![32] – გაეპასუხებოდა მეორე ან მესამე. და სულ ამით ამოიწურებოდა მათი, როგორც შეგირდების, ასევე მასწავლებლის წვლილი საუბრის წამოწყებაში; არადა, სხვა მხრივ, ისხდნენ ჩუმად, ხმისამოუღებლად და სვამდნენ ცხელ ჩაის.

ტონიო კრიოგერი ვერც ისურვებდა სუფრასთან უკეთეს საზოგადოებას. იგი ტკბებოდა სიმშვიდით, ისმენდა დანიურ ხორხისმიერ ბგერებს, მკაფიო და ყრუ ხმოვნებს, როცა თევზით მოვაჭრე და დიასახლისი ერთმანეთში საუბრობდნენ, ზოგჯერ პირველთან თვითონაც ჩაერთვებოდა, ვთქვათ რაიმე უმნიშვნელო შენიშვნით, თუნდაც ბარომეტრის ჩვენების შესახებ, მერე წამოდგებოდა, რომ ვერანდის გავლით ისევ პლაჟზე მოხვედრილიყო, სადაც უკვე თითქმის მთელ დილის საათებს ატარებდა.

ზოგჯერ სანაპიროზე სიწყნარე სუფევდა და ისეთი ამინდი იდგა, ზაფხული გეგონებოდა. ზღვა მშვიდად განაბულიყო, თითქოს დასვენებას ლამობსო. ცისფერ, მწვანე და მოწითალო ზოლებად დასერილს, ზედ მოვერცხლისფრო ბრწყინავი შუქის ანარეკლი დასთამაშებდა. წყალმცენარეები შუაგულ მზეზე თივასავით ხმებოდა, ხოლო მედუზები ქვიშაზე იშრიტებოდნენ და დნებოდნენ. ოდნავ შემპალი წყალმცენარეების სუნი მოდიოდა, ფისის სუნიც ატანდა მეთევზეთა ნავიდან, რომელსაც ზურგით მიყრდნობოდა სილაში ჩამჯდარი ტონიო კრიოგერი. სახით ისე მიბრუნებულიყო, რომ მთელ გაშლილ ჰორიზონტს უფრო

უცქერდა, ვიდრე მის თვალწინ არსებულ შვედეთის სანაპიროს; მაგრამ ზღვის ჩუმმა სუნთქვამ ყველაფერს პირწმინდად გადაუსვა ხაზი.

და, აი დადგა რუხი, ქარიშხლიანი დღეები. ტალღებს სარქენად მომზადებული ხარებივით ამოეყოთ თავები, გავემებულები რქებით მოიწევდნენ დასატაკებლად და გამძვინვარებული აწყდებოდნენ ნაპირს, კარგა მანძილზე ასვლებდნენ. სანაპირო ზოლზე სისველისგან მბზინავი ზღვის ბალახი, ნიჟარები და ტალღების მიერ გამორიყული ხის ნაფოტები მოფენილიყო. ტალღათა ბორცვებს შორის, მთაგრეხილივით რომ მოჩანდნენ, ბინდგადაკრული ცის ქვეშ გადაჭიმულიყო ღიაძვანე ქაფიანი ველები; იქ კი, სადაც მზე ღრუბლებს მიღმა ციალებდა, წყალს მოთეთრო ხავერდის ბზინვარება დაჰფენოდა.

ტონიო კრიოგერი იდგა ქარისა და ზღვის შხეფებით გარემოცული, ამ მარადიულ, მძიმე და გამაბრუებელ ბუბუნში ჩაძირული, რაც ასე ძლიერ უყვარდა. როცა გატრიალდა და წავიდა, მის ირგვლივ უცბად სიმშვიდემ და სითბომ დაისადგურა. მაგრამ ზურგს უკან გრძნობდა ზღვას; იგი ეძახდა, თავისკენ იხმობდა და სალამს უძღვნიდა. და ტონიოსაც კმაყოფილებით ეღიმებოდა.

სად არ დადიოდა იგი, სიმარტოვემ ასე იცის... მდელოები გადაიარა, მალე წიფლნარმაც იხმო, რომელიც ამ მხარეში ბორცვზე იყო გადაჭიმული. ხავსზე ჩამოჯდა და ზურგით ხეს მიეყრდნო ისე, რომ ხეებს შორის ზღვის ზოლის დანახვა შესძლებოდა. დროგამოშვებით ქარს მოჰქონდა ზვირთცემის ხმაური და ეს ისეთ ბგერებს გამოსცემდა, თითქოს, სადღაც შორს, ფიცრებს ერთიმეორეზე ახეთქებდნენ, ან, როგორც ყვავების ჩხავილი მოისმის ხოლმე ხის კენწეროების ზემოთ, ჩახლეჩილი ხმით, მიუსაფარი და ნაღვლიანი... წიგნი მუხლებზე ედო, მაგრამ სტრიქონიც კი არ წაეკითხა. ღრმა დავიწყებას მისცემოდა, თავისუფლად დანარნარებდა დროსა და სივრცეში და, მხოლოდ დროგამოშვებით იყო, რომ ტკივილისგან გული შეუტოკდებოდა, რაღაც ხანმოკლე, მონატრებისა თუ სინანულის მჩხვლეთავი გრძნობა გაირბენდა, რომლის სახელის დარქმევა და პასუხის გაცემა იმაზე, თუ საიდან მოდიოდა ეს, ეზარებოდა და არც თავი ჰქონდა ჩაჰკვირვებოდა, თუ რა იყო ეს და საიდან იღებდა

სათავეს.

ასე გავიდა რამდენიმე დღე. ვერც ამბობდა, კერძოდ, რამდენი დღე გავიდა. თანაც არც ჰქონდა სურვილი, დღეები დაეთვალა. მალე კი მართლაც დადგა ის განსაკუთრებული დღე, როცა რაღაც მოხდა! და ეს მოხდა დღისით, მზისით, გარეშეთა თანდასწრებით და ტონიო კრიოგერი დიდად არც განცვიფრებულა.

დილიდანვე საზეიმოდ და მომხიბვლელად დაიწყო ეს დღე. ტონიო კრიოგერს ძალიან ადრე გაეღვიძა, ძილიდან ერთბაშად რაღაც სასიამოვნო და გაურკვეველმა შიშმა გამოაკრთო და ეგონა, სასწაულის მომსწრე ვხდებიო. საუცხოო ჯადოსნურ სხივთა ნათებას ხედავდა. მისი ნომერი, რომლის მინის კარი და აივანი ზუნდის მხარეს გადაჰყურებდა და თხელი, თეთრი გამჭვირვალე ფარდებით ჰყოფდა მისაღებ ოთახს საძინებლისგან, კედელზე ნაზი შპალერითა და მსუბუქი, ღია ფერის ავეჯით, მუდამ ნათელი იყო და სასიამოვნოდ გამოიყურებოდა. ახლა კი ტონიოს ნამძინარევ თვალებს საერთოდ არამიწიერად გაცისკროვნებული წარმოუდგა. ენით აუწერლად მომხიბლავი გამხდარიყო და ვარდის ნაზი სურნელით მთლიანად გაჟღენთილიყო, კედლები და ავეჯი მოოქრულ, ხოლო ფარდა ხასხასა წითელ ფერში ღვიოდა... ტონიო კრიოგერი ფანჯარასთან მივიდა. მზე უკვე ამოდიოდა.

რამდენიმე დღე მოღრუბლული ან წვიმიანი ამინდი იდგა. ახლა კი ცა ისე კამკამებდა ხმელეთისა და ზღვის თავზე, თითქოს მაგრად დაჭიმული ცისფერი აბრეშუმისა ყოფილიყო. წითლად და ოქროსფრად მოელვარე განათებული ღრუბლებით გარშემორტყმული საზეიმოდ მიემართებოდა მზის დისკო ნაზად მოლივლივე ზღვაზე, რომელიც თითქოს თრთოდა და აღმური ასდიოდა... გავარვარებული ჩანდა... ასე დაიწყო დღე. დაბნეულმა და თან ბედნიერმა ტონიო კრიოგერმა სამოსი მოირგო, ისაუზმა ვერანდაზე ყველა სხვა დანარჩენებზე ადრე, ხის მომცრო საბანაო სახლიდან ზუნდში ოდნავ შეცურა და შემდეგ მთელი საათი სეირნობდა სანაპიროზე. როცა უკან დაბრუნდა, სასტუმროს წინ დაინახა რამდენიმე ომნიბუსისმაგვარი ეკიპაჟი გაჩერებულიყო. სასადილო დარბაზიდან შენიშნა, რომ, როგორც მომიჯნავე სასტუმრო ოთახში, სადაც როიალი იდგა, ასევე მის წინ, ვერანდასა და ტერასაზე უამრავი ადამიანი უჯდა მრგვალ მაგიდებს.

ჩაცმულობაზე ეტყობოდათ, წვრილბურჟუაზიულ ფენას წარმოადგენდნენ, გაცხოველებით მუსაიფობდნენ და ლუდსა და ბუტერბროდებს შეექცეოდნენ. როგორც ჩანდა, მთელი ოჯახებით მოსულიყვნენ, უფროსებიდან დაწყებული, პატარებით დამთავრებული. დიახ, სტუმართა შორის ბავშვებიც ერია.

მეორედ საუზმობისას (სუფრა ძლივს უძლებდა ამდენ მშრალ საკვებს, შებოლილ ძეხვსა და ხორციულს, შაშხსა თუ ნამცხვარს) ტონიო კრიოგერი ბოლოს და ბოლოს დაინტერესდა, რა ხდებოდა აქ.

– ეს სტუმრები, – აუხსნა თევზით მოვაჭრემ, – ექსკურსანტები არიან ჰელსინიორიდან. დროს გასატარებლად ჩამოვიდნენ. დიახ, ღმერთო, დაგვიფარე, ამაღამ ნამდვილად არ გვიწერია ძილი! გაიმართება ცეკვა-თამაში, დაუკრავენ, იმღერებენ და, ვშიშობ, ეს გვიანობამდე გასტანს. ეს არის ოჯახური ექსკურსია, სოფელში გასეირნება და მეჯლისი ფსონის დადებით თუ რაღაც ამის მაგვარი და თან რა კარგი დარი დაუდგათ! ნავებითა და ეტლებით ჩამოვიდნენ და ახლა საუზმობენ. შემდეგ ბუნებაში გასეირნებენ, სალამოს კი, როცა დაბრუნდებიან აქ, დარბაზში ცეკვას გამართავენ. დიახ, დიახ, ღმერთმა დასწყევლოს, თვალსაც ვერ მოვხუჭავთ...

– კარგია, ერთფეროვნება აღარ იქნება, – კმაყოფილი ჩანდა ტონიო კრიოგერი.

შემდეგ დიდხანს არავის ამოუღია ხმა. დიასახლისი აწითლებულ თითებს ათამაშებდა მაგიდაზე, თევზით მოვაჭრე ისევ იხურავდა ცხვირის ცალ ნესტოს, მეორით ცოტაოდენი ჰაერი რომ მაინც შეესუნთქა, ხოლო ამერიკელები ისევ ცხელ ჩაის სვამდნენ და მოგრძო სახეებიც კვლავინდებურად გაშეშებოდათ.

და აი, აქ მოულოდნელად რა მოხდა: ჰანს ჰანსენმა და ინგებორგ ჰოლმმა გაიარეს დარბაზში!

ტონიო კრიოგერი, ბანაობისა და მარდი სიარულისგან სასიამოვნოდ დაღლილი, სკამის საზურგეს მიყრდნობილი შეექცეოდა შებოლილი ორაგულისა და გაფიცებული პურის ბუტერბროდს. იგი იჯდა პირშექცევით ვერანდასა და ზღვისგან. და უცბად კარი იღება და შემოდიან ჰანსი და ინგებორგი, ხელგაყრილები, ნებიერად, აუჩქარებლად.

ინგებორგი, ქერა ინგე ღია ფერის სამოსში გამოწყობილიყო, როგორც კნააკის ცეკვის გაკვეთილებზე სჩვეოდა. კოჭებამდე სწვდებოდა ჰაეროვანი, ყვავილებიანი კაბა, რომელიც მხრებზე გაწყობილი იყო ფართო, თეთრი ტიულით[33], სამკუთხედად ამოჭრილი გულზე, რაც მის მოქნილსა და ნარნარ ყელს კიდევ უფრო მომნიბვლელს აჩენდა. ცალ მკლავზე ქუდი გადაეკიდა ორი ერთმანეთზე განასკული ბაფთით. დაქალბუღილიყო და ამიტომაც საუცხოო ნაწნავი თავზე მოხდენილად შემოეხვია. ჰანს ჰანსენი კი ისეთივე იყო, როგორც ყოველთვის. მეზღვაურის ქურთუკი ეცვა მოოქრული ღილებით, მხრებსა და ზურგზე გადმოეფინა ფართო, ლურჯი საყელო. ცალ ხელში, რომელიც ინგებორგისთვის გამოედო, მეზღვაურისავე ქუდი ეჭირა მოკლე ბაფთებით, მეორეს კი აქეთ-იქით იქნევდა უდარდელად. ინგებორგი ვიწრო თვალებით განზე იყურებოდა, ალბათ ცოტათი დარცხვენილი იმის გამო, რომ სუფრასთან ხალხი მიირთმევდა და თან მას აყოლებდნენ მზერას. სამაგიეროდ, ჰანს ჰანსენმა თავი სუფრისკენ მიატრიალა და ლურჯი თვალებით, ფოლადისებრი სხივი რომ დაჰკრავდა, თითქოს ჯინაზე სათითაოდ ყველას მუშტრის თვალთ უცქერდა გამომწვევად და ოდნავ ქედმაღლოურადაც. ინგებორგსაც კი შეუშვა ხელი, მეორე ხელს კი კიდევ უფრო მაგრად აქნევდა აქეთ-იქით, რომ ყველასთვის ეჩვენებინა, ნახეთ, როგორი კაცი ვარო! ასე ჩაიარეს ტონიო კრიოგერის თვალწინ, დარბაზის მთელი სიგრძის გაყოლებაზე წყნარად მოლივლივ ლურჯი ზღვისკენ და მოპირდაპირე კარში, იმ ოთახში გაუჩინარდნენ, რომელშიც როიალი იდგა.

ეს მოხდა შუადღემდე, დაახლოებით თორმეტის ნახევარზე და, სანამ დამსვენებლები ჯერ კიდევ საუზმობდნენ, გვერდით და ვერანდაზე მყოფი საზოგადოება წამოიშალა და დამატებითი გასასვლელიდან, სასადილო დარბაზში შეუსვლელად დატოვა სასტუმრო. გარედან ისმოდა, ხუმრობითა და სიცილ-ხარხარით როგორ ადიოდნენ ეკიპაჟებში და ეტლები ერთიმეორის მიყოლებით ღრჭიალით რომ იძვროდნენ ადგილიდან და მიგორავდნენ...

– ხომ დაბრუნდებიან? – იკითხა ტონიო კრიოგერმა...

– აბა, რას იზამენ! – უთხრა თევზის გამყიდველმა, – ჩემდა სამწუხაროდ. ხომ იცით, მუსიკა შეუკვეთეს! ამ დარბაზის თავზე მაინც არ ვიწვე.

– კარგია, ერთფეროვნებას რომ დაარღვევენ, – გაიმეორა ტონიო კრიოგერმა.

მერე ადგა და წავიდა.

ეს დღევ ისევე გაატარა, როგორც სხვა დანარჩენი, პლაჟზე, ტყეში, მუხლებზე ედო გადაშლილი წიგნი და თვალებს ჭუტავდა მზეზე. მხოლოდ ერთი აწრი უტრიალებდა თავში: ისინი ისევ დაბრუნდებიან და დარბაზში მეჯლისი გაიმართება, იცეკვებენ, როგორც თევზით მოვაჭრე დაჰპირდა; და მას სხვა არაფერი დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ გახარებოდა. ეს იყო შიშნარევი, ტკბილი სიხარული, როგორც დიდი ხანია, მთელი ჩამკვდარი წლების განმავლობაში არ განუცდია. მხოლოდ ერთხელ, რაღაც უცნაური ასოციაციით გაახსენდა თავისი ძველი ნაცნობი, ნოველისტი ადალბერტი, რომელმაც იცოდა, თუ რა უნდოდა და ყავის სახლში წავიდა გაზაფხულის სევდის განსაქარვებლად. გაახსენდა და მხრები აიჩეჩა...

ჩვეულებრივზე ადრე ისადილეს. ვახშამი კი უფრო დროულად ჰქონდათ, ვიდრე სხვა დღეებში. თანაც იმ ოთახში, სადაც პიანინო იდგა, რადგან დარბაზში უკვე სამეჯლისო სამზადისი დაწყებულიყო. ყველაფერი საზეიმოდ ლაგდებოდა და ირთვებოდა. მერე, როცა უკვე ჩამობნელდა და ტონიო კრიოგერი თავის ნომერში იჯდა, შარაგზაზე და შენობაში ისევ აჟრიაშულდნენ. ექსკურსანტები ბრუნდებოდნენ უკან. ჰო, ელსინიორის მხრიდან მათ შემოუერთდნენ ველოსიპედებითა და ეტლებით ახალი სტუმრები და შენობაში უკვე ისმოდა, ქვემოთ ვიღაც ვიოლინოს რომ აწყობდა, ვიღაც კიდეც კლარნეტის დუდღუნა სავარჯიშოებით ერთობოდა...

ყველაფერი იმის მაუწყებელი იყო, რომ ბრწყინვალე სამეჯლისო საღამო გაიმართებოდა.

აი, უკვე პატარა ორკესტრმა მარში დაუკრა. ზემოთ ხმა ყრუდ ატანდა, მაგრამ რიტმი მკაფიოდ ისმოდა. საღამო პოლონეზით[34] გაიხსნა. ტონიო კრიოგერი კიდეც ერთხანს წყნარად იჯდა და ყურს უგდებდა. მაგრამ როგორც კი მარშის რიტმი ვალსის ჰანგებში გადაიზარდა, წამოდგა და ფეხაკრეფით გამოძვრა თავისი ნომრიდან.

დერეფნიდან, სადაც მისი ნომერი იყო, შეიძლებოდა გვერდითი კიბით სასტუმროს მეორე შესასვლელთან და იქიდან, რომელიმე ოთახზე გაუვლელად მინებიან ვერანდაზე

მოხვედრა. ეს გზა აირჩია მან ჩუმად და ქურდულად, თითქოს აკრძალულ კვალზე იდგა, ხელის ფათურით ფრთხილად იკვლევდა გზას სიბნელეში, დაუოკებლად იზიდავდა ეს სულელური და ტკბილად მონანავე მუსიკა, რომლის ჰანგებიც უკვე ნათლად და გარკვევით იჭრებოდა მთელ მის სხეულში.

ვერანდა ცარიელი იყო და ჩაბნელებული, დარბაზში გამავალი მინის კარი კი – ღია, სადაც კრიალა რეფლექტორებიანი ორი დიდი ნავთის ლამპა აკაშკაშებდა იქაურობას. ტონიო ვერანდაზე თითის წვერებზე მიიპარა და, იმის წარმოდგენაზე, რომ ქურდულად დამტკბარიყო სიბნელეში დგომითა და სინათლეში მოცეკვავეთა უჩინრად თვალყურის დევნებით, ტანში ჟრუანტელი უვლიდა. აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს და იმ ორს დაეძებდა...

საზეიმო მზიარულება, როგორც ჩანდა, უკვე ემზში შედიოდა. მიუხედავად იმისა, რომ ნახევარი საათის დაწყებულიც კი არ იყო. დამსვენებლები გაშინაურებული და აღგზნებულები დაბრუნებულიყვნენ მთელი დღის ბედნიერად და უდარდელად გატარების შემდეგ. სასტუმრო ოთახში, სადაც როიალი იდგა, რამდენადაც ტონიო კრიოგერს თვალის შევლება შეეძლო, ცოტათი წინ თუ წამოიწევდა, რამდენიმე ხანდაზმული მამაკაცი ბანქოს თამაშობდა, ეწეოდნენ და სვამდნენ; სხვები კი, წინ ისხდნენ ცოლებთან ერთად ან დარბაზის კედლებთან მიდგმულ ხავერდის სკამებზე მოკალათებულიყვნენ და თვალს აყოლებდნენ მოცეკვავეებს. ხელები განზე გადგმულ მუხლებზე დაეყრდნოთ და კმაყოფილი გამომეტყველებით წამდაუწუმ ლოყებს ბერავდნენ. ამასობაში დედები, კეფაზე პატარა ქუდებით, გულხელდაკრეფილები და გვერდზე გადაწეული თავებით უყურებდნენ ახალგაზრდების რიარას. დარბაზის ერთ გრძელ კედელზე, სადაც ესტრადა გაემართათ, მუსიკოსები გამალებით უკრავდნენ. ორკესტრში საყვირიც შედიოდა, რომელიც ისე ფრთხილად და ყოყმანით გამოსცემდა მელოდიას, თითქოს საკუთარი ხმისა ეშინიაო, და მაინც, ისე უკრავდა, რომ ზოგჯერ ახშობდა კიდევ დანარჩენ საკრავთა ხმას... წყვილები რწევითა და ბზრივით მოძრაობდნენ ერთმანეთის გარშემო, ზოგი კი ისვენებდა და ხელგაყრილი დასეირნობდა დარბაზის გაყოლებით. ისინი არ იყვნენ მეჯლისის შესაფერისად ჩაცმულები, ეცვათ, როგორც ჩვეულებრივ იცვამენ ხოლმე ზაფხულის კვირადღეს ქალაქგარეთ გასასეირნებლად –

კერძოდ, ვაჟები სახელდახელოდ შეკერილ კოსტიუმებში, რომლებსაც სათუთად ინახავდნენ უქმე დღეებისთვის, ხოლო გოგონები ღია ფერის თხელ კაბებში საყელოსთან მინდვრის ყვავილების პაწია თაიგულებით. დარბაზში რამდენიმე ბავშვიც ერია და ისინიც ცეკვავდნენ თავიანთებურად. ერთმანეთში ირეოდნენ, მაშინაც კი ბზრიალებდნენ, როცა ორკესტრი ჩერდებოდა. ამ მეჯლისის ორგანიზატორი და მომწყობი აღმოჩნდა ერთი ფრაკში გამოწყობილი გრძელფეხება მამაკაცი, ეგრეთ წოდებული პროვინციის ლომი, შეტრუსული თმითა და მონოკლით[35], ფოსტის მოხელე თუ რაღაც ამდაგვარი იყო, ხორცშესხმული კომიკური ფიგურა დანიური რომანიდან. გაფაციცებითა და მონდომებით ზუსტად იქ აღმოჩნდებოდა, სადაც საჭირო იყო, ზედმიწევნით საქმიანი კაცის გამომეტყველებითა და ფრაკის ბოლოს ქნევით მიმოდიოდა მთელ დარბაზში, თან ფეხის წვერებით ებჯინებოდა ოსტატურად იატაკს. წვრილცხვირიანი, პრიალა სამხედრო შტიბლეტები ეცვა და ფეხებს რაღაცნაირად დაჯღვარკულად, ჯვარედინად ადგამდა, ხელებს ჰაერში იქნევდა, განკარგულებებს იძლეოდა, ორკესტრს შესძახებდა, ტაშს შემოსცხებდა ხოლმე და თან ყოველ ასეთ მოძრაობაზე მის უკან ფრიალი გაჰქონდა ბაფთის ბოლოებს, გრძელი, ჭრელი ბაფთისა, რომელიც ნიშნად მისი სამეჯლისო რწმუნებისა, მხარზე დაემაგრებინა და, რომლისკენაც ზოგჯერ თავმომწონედ გაურბოდა თვალი.

ღიახაც, ისინი აქ იყვნენ, ორივე, რომელთაც დღეს, დღისით, მზისით ტონიო კრიოგერს ჩაუარეს. ორივე ისევ ერთად დაინახა და სიხარულისგან შეკრთა. ჰანს ჰანსენი კართან იდგა, სულ ახლოს მასთან. ფეხები განზე გაედგა და ოდნავ წინ გადმოხრილი მშვიდად მიირთმევდა ტორტის კარგა მოზრდილ ნაჭერს. ნიკაპთან ხელის მტევანი აეფარებინა, ნამცეცები ძირს რომ არ დაეყარა. იქ, კედელთან კი ინგებორგ ჰოლმი იჯდა, ქერათმიანი ინგე და ახლა სწორედ მას მიეახლა ფოსტის მოხელე, დახვეწილად დაუკრა თავი, რომ საცეკვაოდ გაეწვია: ცალი ხელი ზურგზე დაიდო, ხოლო მეორე მოხდენილად მკერდთან მიიტანა. ინგემ თავი გააქნია და მიანიშნა, რომ ველარ სუნთქავდა და ცოტა უნდა დაესვენა, რის შემდეგაც ფოსტის მოხელე გვერდით ჩამოუჯდა.

ტონიო კრიოგერი უყურებდა მათ, ორივეს, ინგებორგსა და ჰანსს, რომელთა მიმართაც წლების წინათ სიყვარულის

უდიდესი გრძნობა ტანჯავდა. მას უყვარდა ისინი არა მათი ერთმანეთისადმი მსგავსების ცალკეული ნიშნით ან სულაც ტანსაცმლის მიხედვით, არამედ უყვარდა მათი რასისა და ტიპის იგივეობა. უყვარდა მათი გაბადრული სახეები, ფოლადისფერში გადასულ ლურჯთვალა და ქერათმიანთა ჯიში, რაც სიწმინდის, აუმღვრევლობის, მხიარულებისა და ამასთანავე სიამაყისა და უბრალოების, ხელშეუხები სათნოების წარმოდგენას აღვიძებდა მასში... ის მათ აკვირდებოდა, ხედავდა, როგორ იდგა ჰანს ჰანსენი თამამი და უფრო ახოვანი, ვიდრე ოდესმე, განიერი ბეჭებითა და ვიწრო თეძოებით მეზღვაურის პერანგში, ასევე ხედავდა, ინგებორგმა დახვეწილი მანერით სიცილით როგორ გადააგდო თავი გვერდზე, არც უზადოდ თხელი და არც განსაკუთრებით ჩამოქნილი ხელი კეფასთან როგორ მიიტანა, ჰაეროვანი აბრეშუმის სახელო იდაყვზე როგორ ჩამოუცურდა... და უცებ მოძალებულმა ნოსტალგიამ გული აუჩქროლა და ისეთი ტკივილი იგრძნო, რომ სიბნელეშიც კი უნებურად განზე გაიწია, რომ არავის შეემჩნია მისი შეწუხებული სახე.

„განა დამავიწყდით? – ეკითხებოდა ტონიო თავის თავს, – არა, არასოდეს დამვიწყებინართ! ჰანს, არც შენ და არც შენ, ქერათმიანო ინგე! თქვენ ხომ ისინი იყავით, ვისთვისაც მე ვიწვოდი, და როცა ტაშს მიკრავდნენ, მალულად ვიხედებოდი ირგვლივ, თქვენც ხომ არ ერიეთ იმ ჩემი თაყვანისმცემლების რიგებში... წაიკითხე „დონ კარლოსი“, ჰანს ჰანსენ, როგორც ეს შენი ბაღჩის კართან დამპირდი? არა, არ გინდა! მე უკვე აღარ ვითხოვ შენგან ამას. რა შენი საქმეა მეფე, რომელიც ტირის, იმიტომ, რომ მარტოდმარტო დარჩა? შენს ნათელ სახეს არ მოუხდება კაემანი, ნუ დაიბინდავ თვალებს სტრიქონებში ჩაშტერებით და სევდით... ნეტავი შენნაირი ვიყო! თავიდან დამაწყებინა ყველაფერი, შენნაირი გამზარდა, პატიოსანი, მხიარული და უბრალო, წესიერი, მოწესრიგებული, თანაზიარი ღმერთთან და სამყაროსთან შეხმატკბილებული, ვუყვარდე შენებრ უდარდელ და ბედნიერ ხალხს; შენ ცოლად შეგირთავდი, ინგებორგ ჰოლმ, და ისეთ ვაჟიშვილს ვინატრებდი, როგორიც შენ ხარ, ჰანს ჰანსენ! ვიცხოვრებდი თავისუფლად შემეცნების წყევლა-კრულვისა და შემოქმედებითი ტანჯვა-წამების გარეშე, მეყვარებოდა და განვადიდებდი სანეტარო ბანალურობას!.. ყველაფრის თავიდან დაწყება? მაგრამ ეს არაფერს უშველის. ყველაფერი

ისევ ისე იქნება, ყველაფერი ისევე მოხდება, როგორც მოხდა. რადგან მავანთათვის გზის აცდენა აუცილებლობითაა განპირობებული, რადგან მათთვის სწორი გზა ისედაც არ არსებობს“.

მუსიკა შეწყდა. შესვენება იყო და მსუბუქი საუზმე ჩამოატარეს. ფოსტის მოხელე თვითონვე დაარბენინებდა ქაშაყის სალათს ლანგრით და ქალებს უმასპინძლდებოდა. ინგებორგ ჰოლმთან მუხლიც კი მოიხარა და ისე გაუწოდა პატარა ფიალა. ქალს სახე აელეწა სიხარულისგან.

ამასობაში დარბაზში მაინც შენიშნეს, რომ მინის კარს უკან ვიღაც იდგა და თვალყურს ადევნებდა მოცეკვავეებს. ლამაზი, ცეკვისგან ავარდისფრებული სახეებიდან კი მას უცხო, მაძიებელი მზერა მიაპყრეს. იგი მაინც ჯიუტად ინარჩუნებდა თავის ადგილს. ინგებორგმა და ჰანსმაც თითქმის ერთდროულად ისე გულგრილად გაიხედეს მისკენ, რაც თითქმის ზიზღს უდრიდა. უცებ იგრძნო, რომ საიდანღაც ვიღაც დაჟინებით უჭვრეტდა... მან თავი გაატრიალა და, მისი და იმ მომზირლის თვალები ერთმანეთს შეეჯახა. გოგონა არც ისე შორს იდგა მისგან. ის იყო ფერმკრთალი, თხელი და ნაზი პირისახის. იგი ტონიოს მანამდეც ჰყავდა შემჩნეული. გოგონას არც ბევრი უცეკვია და განსაკუთრებით დიდად არც კავალრებს შეუწუხებიათ. ტონიო ხედავდა, კედელთან მარტო რომ იჯდა მოკუმული ტუჩებით. ახლაც მარტო იდგა. მასაც ღია ფერის ჰაეროვანი კაბა ეცვა, როგორც ყველა დანარჩენს. გამჭვირვალე კაბის ქვემოდან კი შიშველი, გაჩნიკული მხრები საცოდავად მოუჩანდა და გამზდარი კისერიც ისე საწყლად ჩასჯდომოდა მხრებში, რომ ეს ჩუმი გოგონა ცოტათი კუზიანიც კი მოგეჩვენებოდა. ხელები, რომლებზედაც თხელი, უთითო ნახევარხელთათმანი ეცვა, ფიცარივით სწორ მკერდთან ისე მიეტანა, რომ თითის წვერები ოდნავ ეხებოდნენ ერთმანეთს. თავდახრილი ქვემოდან ზევით შესცქეროდა ტონიო კრიოგერს შავი, წყლიანი თვალებით. ტონიომ თავი გაატრიალა...

აქ, მისგან სულ ახლოს ისხდნენ ჰანსი და ინგებორგი. ვაჟი ქალს მისჯდომოდა, რომელიც შეიძლება მისი დაც იყო და ადამის მოდგმის წითელლოყება წარმომადგენლებით გარემოცულნი ჭამა-სმით გართულიყვნენ, მუსაიფობდნენ და ერთობოდნენ, ხმამაღლა ეხუმრებოდნენ ერთმანეთს და სიცილ-ხარხარით იკლებდნენ იქაურობას. არ შეიძლებოდა

ცოტათი მათთან ახლოს რომ მისულიყო? ან ჰანსს, ან კიდევ ინგებორგს გახუმრებოდა, რაც პირზე მოადგებოდა, ის ეთქვა. ეს კი მათ, სხვა თუ არაფერი, ღიმილს მაინც მოჰგვრიდა? ეს გააბედნიერებდა მას, სწორედ ამას ნატრობდა! მაშინ ხომ უფრო კმაყოფილი დაბრუნდებოდა თავის ნომერში, იმ შეგნებით, რომ ორივესთან დაამყარა ერთობა. ფიქრობდა, რა შეიძლებოდა ეთქვა, მაგრამ ვერ ბედავდა კი. იგივე განმეორდებოდა, როგორც ყოველთვის: ისინი ისევ ვერ გაუგებდნენ, ცივად მოისმენდნენ მის ნათქვამს. ვინაიდან მათი ენა ხომ მისი ენა არ იყო, ისინი ხომ მართალია გერმანულად, მაგრამ მაინც სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდნენ.

აი, როგორც ჩანს, ისევ უნდა დაწყებულიყო ცეკვა. ფოსტის მოხელე დიდ საქმეში იყო. სწრაფად უვლიდა გარშემო დარბაზს და მთელ საზოგადოებას ეპატიჟებოდა. ოფიციალტების დახმარებით ადგილს უჩენდა ჭიქებსა და სკამებს, გზაზე დაბრკოლება რომ არ შეჰქმნოდათ, მუსიკოსებს დავალებებს აძლევდა და ცალკეულ მოუქნელ სტუმარს, რომელთაც არ იცოდნენ, სად დამდგარიყვნენ, მხრებში ჩაავლებდა ხელს და წინ გაჰყავდა. რას აპირებდნენ? ოთხ-ოთხი წყვილი ეწყობოდა და კარეს[36] ქმნიდა... საშინელმა მოგონებამ სახე აულეწა ტონიო კრიოგერს. კადრილის საცეკვაოდ ემზადებოდნენ.

ორკესტრმა დაკვრა დაიწყო და წყვილები თავის დაკვრით ხან უახლოვდებოდნენ და ხან შორდებოდნენ ერთმანეთს. ორკესტრს ფოსტის მოხელე ხელმძღვანელობდა. ჰოი, ღმერთო, იგი განკარგულებებს იძლეოდა ფრანგულად და ნაზალურ ბგერებს შეუდარებელი დახვეწილობით წარმოთქვამდა. ინგებორგ ჰოლმი ცეკვავდა კარეში, ტონიო კრიოგერის სიახლოვეს, ზედ შემინულ კართან. იგი მის წინ აქეთ-იქით ტრიალებდა, წინ და უკან ხან ნაბიჯს დგამდა, ხან დატრიალდებოდა; სურნელი, რომელსაც მისი თმა თუ კაბის ნაზი ქსოვილი გამოსცემდა, ტონიომდეც ატანდა და ისიც თვალს ხუჭავდა იმ განცდით, რომ ეს სურნელი მისთვის დიდი ხანია ნაცნობია; მის არომატსა და მწკლარტე, მომაჯადოებელ ძალას იგი ამ ბოლო დღეებში სულ გრძნობდა. ამ ძალამ ახლა ისევ ალავსო მთელი თავისი ტკბილი და სევდანარევი მჭმუნვარებით. ნეტა რა იყო ეს? ლტოლვა? სინაზე? შური, საკუთარი თავის სიძულვილი?.. Moulinet de dames! იცინოდი შენ, ქერათმიანო ინგე, დამცინოდი, როცა მე moulinet-ს ვცეკვავდი

და სირცხვილისგან ვიწვოდით? და დღესაც გაიცინებ, დღესაც ასე თუ ისე ცნობილი ადამიანი რომ გავხდით? დიახ, ისევ გაიცინებ და სამმაგად მართალიც იქნები! თუნდაც მაშინ, მარტოდმარტოს რომ შემექმნა ცხრავე სიმფონია, „სამყარო, როგორც ნება და წარმოდგენა“[37] და „მეორედ მოსვლა“, [38] შენ მუდამ მართალი იქნები, რომ გაიცინო... ტონიომ შეხედა ქალს და ლექსის სტრიქონი გაახსენდა, რომელიც დიდი ხანია მივიწყებული ჰქონდა და, რომელიც მისთვის ასე გულში ჩამწვდომი და ამაღელვებელი იყო:

მე მინდა ძილი,

შენ კი –

ცეკვა და ლხინი...

ტონიო კარგად იცნობდა ჩრდილოურ წრფელ, მელანქოლიურ და მოუქნელ გარინდულობას გრძნობისა, რაც ამ სიტყვებიდან გამოსჰვიოდა. ძილი... ეს ნიშნავს, ილტვოდე, მარტივად და მთელი სისავსით დაჰყვე გრძნობას, რომელიც მოვალეობის გარეშე ქმედებად და ცეკვად იქცევა, ბუნებრივად მოიცავს თავის თავში ტკბილსა და ზერელეს, – და მაინც იცეკვო, მარჯვედ და თავდაჯერებით შეასრულო რთული და საშიში როკვა, დამამცირებელი წინააღმდეგობის დავიწყების გარეშე, რაც სწორედაც ის იყო, – რა დროს ცეკვაა მაშინ, როცა უყვარხარ...

ერთბაშად მოცეკვავეები სიანციტა და ცქრიალით ამოძრავდნენ. კარები დაიშალა და მოცეკვავეები ხტუნვა-ხტუნვით სრიალებდნენ დარბაზში; კადრილი მთავრდებოდა გალოპით[39]. წყვილები მუსიკის გიჟურ, აჩქარებულ რიტმში დაფრინავდნენ ტონიო კრიოგერის წინ. ერთმანეთს არ აცლიდნენ, ხელს უშლიდნენ, მძიმედ სუნთქავდნენ, სიცილისგან სუნთქვა შეჰკვროდათ. მათგან ერთი გამოეყო წრეში ტრიალით და წინ გამოექანა. გოგონა ფერმკრთალი, ნაზი და სუსტი პირისახისა იყო, გამხდარი მაღალი მხრებით. და, ანაზდად, იქვე ტონიოს წინ წაბორძიკდა, გასრიალდა და დავარდა... ფერმკრთალი გოგონა ისე მაგრად და მწარედ დაეცა, რომ საშიშიც კი ჩანდა, და კავალერიც თან გაიყოლა. ამ უკანასკნელმა ეტყობა, ისე უმოწყალოდ იტკინა რაღაც, რომ თავისი მეწყვილე სულ გადაავიწყდა, ნახევრად წამომჟდარმა სახის დაღმეჭით მუხლების ზელა დაიწყო; ხოლო გოგონა,

როგორც ჩანს, მთლად გაბრუებული დაცემისგან, ისევ ისე ეგდო იატაკზე. მაშინ ტონიო კრიოგერი გამოვიდა სიბნელიდან, მკლავში მოჰკიდა ხელი და წამოაყენა. შეშინებულმა, დარცხვენილმა და გატანჯულმა გოგონამ ახედა მხსნელს და მაშინვე მის ნაზ სახეს მკრთალი სიწითლე დაედო.

– Tak! O, mange Tak![40] – თქვა მან და მუქი ფერის წყლიანი თვალებით ქვემოდან ამოხედა ტონიოს.

– თქვენ მეტი აღარ უნდა იცეკვოთ, ფროილან, – დაუყვავა ტონიო კრიოგერმა ნაზად. შემდეგ მან კიდეც ერთხელ გადახედა ჰანსსა და ინგებორგს და წავიდა, დატოვა ვერანდა და მეჯლისი და თავის ნომერში ავიდა.

იმ ზეიმმა გააბრუა, რომელშიც მონაწილეობა არ მიუღია, თან კიდეც დაღლილი იყო ეჭვიანობით. ყველაფერი უწინდებურად იყო! აღმურმოდებული სახით იდგა სიბნელეში კუთხეში, თქვენ გამო ტკივილმორეული, თქვენ გამო, ქერათმიანებო, სიცოცხლით აღსავსენო, ბედნიერებო!.. მერე კი ისევ საკუთარ თავში ჩაიძირა. ახლა უნდა მოსულიყო ვინმე! ინგებორგი უნდა მოსულიყო ახლა, მას უნდა შეემჩნია, რომ გავიდა, ფარულად უნდა გამოსდევნებოდა, მისთვის მხარზე ხელი დაედო და ეთქვა: შემოდი ჩვენთან! გამხიარულდი! მე მიყვარხარ!.. მაგრამ ის ხომ არასგზით არ მოდიოდა. ასეთი რამ არ ხდებოდა. დიახ, მაშინდელივით, ისევ ისე რჩებოდა ყველაფერი, და იგი ისევე ბედნიერი იყო, როგორც მაშინ. რადგან გული უჩქეფდა. მაგრამ რა ხდებოდა მთელი ამ ხნის განმავლობაში, სანამ ის გახდა, რაც გახდა? – გაშეშება! სიცარიელე! ყინული!.. და სული! და ხელოვნება!..

გაიხადა, ლოგინში ჩაწვა და მუქი ჩააქრო. ორი სახელი დაიხურჩულა ბალიშში თავჩარგულმა, ორიოდე უმანკო ჩრდილოური მარცვალი, ორი სახელი, რომელიც მისთვის ნიშნავდა მისივე პირველ სიყვარულს, ტკივილსა და ბედნიერ წარსულს, ცხოვრებას, უბრალო და მწველ გრძნობას, სამშობლოს... მან თვალი გადაავლო დღემდე განვლილ წლებს. აგონდებოდა თავისი გზააბნეული თავგადასავლები. გრძნობების, ნერვებისა და აზრთა ჭიდილი, რომელიც უკვე გამოიარა. თავის თავს ირონიასა და სულში გალეულს ხედავდა, შემეცნებისგან დაცლილსა და პარალიზებულს, შემოქმედების ციებ-ცხელებისგან გათანგულს, სინდისის ქენჯნის მიუხედავად, ერთი უკიდურესობიდან მეორეში

გადავარდნილს, მერყევს, წმინდანობასა და გრძნობის ქარცეცხლს შორის აქეთ-იქით მობორიალეს, დახვეწილსაც და გასაწყლებულსაც, გაჩანაგებულს, გატანჯულს, სნეულს და სლუკუნებდა სინანულითა და ნოსტალგიით გათანგული.

ირგვლივ სიჩუმე იდგა და ბნელოდა. მაგრამ ქვემოდან ყრუდ და მონოტონურად აღწევდა ტონიომდე ცხოვრების მოტკბო, გაცვეთილი, ტრივიალური ჰანგები.

ტონიო კრიოგერი ჩრდილოეთში დარჩა და, როგორც დაჰპირდა, თავის მეგობარს, ელიზავეტა ივანოვნას, წერილი არ დაუგვიანა:

„ძვირფასო ლიზავეტა, მკვიდრო არკადიისა[41], სადაც მალე მეც დავბრუნდები, – წერდა იგი, – აგერ ახლა ბარათისმაგვარს გწერ, მაგრამ ალბათ იმედს გაგიცრუებთ, რადგან ვფიქრობ, რომ ის ოდნავ ზოგადია და არა იმიტომ, რომ არაფერი მაქვს სათქმელი, ცოტა რამ ჩემებურად როდი განვიცადე ამდენი ხნის განმავლობაში. შინ, ჩემს მშობლიურ ქალაქში ხომ კინალამ დამაპატიმრეს... მაგრამ ამის შესახებ ჯობია პირისპირ შეხვედრისას გიამბოთ. ზოგჯერ ისეთი დღეები გამოერევა, მირჩევნია, რამე განვაზოგადო, ვიდრე უბრალოდ ამბებს მოვყვე.

უთუოდ გემანსოვრებათ, ლიზავეტა, ერთხელ რომ ბიურგერი მიწოდეთ, გზააბნეული ბიურგერი! და ეს მითხარით მაშინ, როცა ბევრი რამ ვაღიარე თქვენ წინაშე, ისიც მითხარით, რომ ცდუნებას აყოლილი ვიყავი და სიყვარული გამოვთქვი იმისადმი, რასაც ცხოვრება ვუწოდე. ახლა ვეკითხები ჩემს თავს, ნეტა თუ იცოდით, რაოდენ მართალი იყავით, რამდენად იგივეობრივი იყო ჩემი ბიურგერობა და ჩემი სიყვარული „ცხოვრებისადმი“. ამ მოგზაურობამ კიდევ ერთხელ დამაფიქრა ამაზე...

მამაჩემი, იცით თქვენ, ჩრდილოური ტემპერამენტისა იყო: დაკვირვებული, ღრმა, პურიტანული სიზუსტის და სევდისადმი მიდრეკილი; დედა – გაურკვეველი ეგზოტიკური სისხლის, ლამაზი, აზრიანი, გულუბრყვილო და იმავდროულად დაუდევარი, მგზნებარე და გამორჩეული იმპულსური თავაშვებულობით. ეჭვგარეშეა ეს იყო ნაზავი, რომელიც აერთიანებდა არაჩვეულებრივ შესაძლებლობებსა და ასევე არაჩვეულებრივ საშიშროებებს. და შედეგად რაც მივიღეთ, ეს

არის ბიურგერი, რომელსაც გზა აებნა და ხელოვნებას გაჰყვა; ბოჰემური ცხოვრების მიმდევარი, რომელსაც ენატრება სამშობლო და თავისი ბავშვობა, საბავშვო ოთახი; ეს არის ხელოვანი, რომელსაც სინდისი ქენჯნის, ბიურგერული სინდისი, რაც ჩემს შემოქმედებაში არაჩვეულებრივსა და გენიოსურშიც დაგანახვებს რაღაც ორაზროვანს, საეჭვოს, საჭოჭმანოს, რაც მძაფრ სასიყვარულო თავგადასავლებთან ერთად, მარტივისადმი, სიწრფელისადმი, სიმშვიდისადმი, ჩვეულებრივისა და წესიერებისადმი სწრაფვისკენ მიბიძგებს.

მე ვდგავარ ორ სამყაროს შუა, არსად ვგრძნობ თავს შინ და ამის გამო ცოტათი კიდევ მიჭირს. თქვენ, ხელოვანები მე ბიურგერს მიწოდებთ, ხოლო ბიურგერები ჩემს დაჭერას ლამობენ... არ ვიცი, აქედან რა უფრო მტკენს გულს. ბიურგერები ბრიყვები არიან; მაგრამ თქვენ, თაყვანისმცემლებო სილამაზისა, ფლეგმატურსა და აღმაფრენას მოკლებულს რომ მიწოდებთ, დაფიქრდით, რომ არსებობს შემოქმედება ისე ღრმა, მსახვრალი და საბედისწერო, რომ არაფერია მისთვის უფრო ტკბილი და სანუკვარი, ვიდრე სანეტარო ყოველდღიურობა.

მე აღმაფრთოვანებენ ამაყები და გულცივები, რომლებიც დიადი, დემონური მშვენიერების ბილიკზე ეძებენ თავგადასავლებს და „ადამიანი“ ეზიზღებათ, მაგრამ მათი არ მშურს. რადგან, თუ რამეს შეუძლია ლიტერატორი პოეტად აქციოს, ეს არის ჩემი ბიურგერული სიყვარული ადამიანურისადმი, ცოცხლისადმი, ჩვეულებრივისადმი. ყველაფერი: სითბო, სიკეთე, იუმორი მოდის მისგან და მინდა მეჩვენებოდეს, რომ ეს ის სიყვარულია, რომელზედაც ასეა ნათქვამი: ადამიანს შეუძლია იმეტყველოს ადამიანისა და ანგელოზის ენით, მაგრამ სიყვარულის გარეშე ეს იქნება მხოლოდ რკინის ხმა ან ზანზალაკის ჟღარუნი[42].

რაც მე შევქმენი, არარაობაა, არ არის ბევრი, თითქმის არაფერია. მე უკეთესს შევქმენი, ლიზავეტა, გპირდებით! ახლა, როცა ვწერ და ქვემოდან ზღვის შხუილი ჩემამდე აღწევს, თვალს ვხუჭავ და ვხედავ ჯერ არშობილ, მოჩვენებით სამყაროს, რომელიც მოწესრიგებასა და ჩამოყალიბებას მოითხოვს, ვხედავ ადამიანთა მოხეტიალე ლანდებს, რომლებიც მე მიხმობენ, რათა გზა გავუკაფო და ვიხსნა. ისინი ტრაგიკულნიც არიან და კომიკურნიც, მაგრამ გული განსაკუთრებით შემტკივა ისეთებზე, ტრაგიკომიკურნიც რომ არიან. ჩემი ყველაზე ღრმა

და მალული სიყვარული კი ქერათმიანებსა და ცისფერთვალებიანებს ეკუთვნით, სიცოცხლით სავსეთ, ბედნიერებს, სიხარულის მომტანთ და ასე ჩვეულებრივთ.

ლიზავეტა, ნუ განიკითხავთ ამ სიყვარულს! ის სასიკეთო და ნაყოფიერია. მასში ვნებათაღელვაა და სავალალო მოშურნეობაც, ცოტაოდენი ზიზღი და უმანკო ნეტარების მთელი კასკადი“.